



საპედაგოგიკო ცენტრი, 2019

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“
საქართველოს ყველა სკოლაში
უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია
თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი
„მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაქციები:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
თამარ გეგეშიძე,
მიხო მოსულიშვილი,
ილია ჭანტურია,
სოფო კუბლაშვილი,
მიშა ბახსოლიანი,
თამარ ესიტაშვილი,
თორნიკე სიბაშვილი,
ნარგიზ ბუხაიძე, ლევან ლორია,
ქარდა ქარდუხი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურჩანიძე.
ყველა უფლება დაცულია ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაქციის
შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1
8-374

WWW.TPDC.GE

თავარი გეგეშიძე

2 | **მას, მე ვან ნიკო!**

მიხო მოსულიშვილი

7 | **მღოვრის მაჩვენებელი და
ანგარიშებისათვის**

ილია ჭანტურია

19 | **მშვიდად, გაკვეთილი
იწყება**

სოფო კუბლაშვილი

25 | **მონადირე**

მიშა ბახსოლიანი

33 | **კონსტანტინე**

თავარი ესიტაშვილი

37 | **ღამაზი სიზმრები
გაღვიძებისას
ან მთავრდება**

თორნიკე სიბაშვილი

41 | **უჩინარი**

ნარიკო ბუხაიძე

46 | **ხეობის ბერიკაძე,
სახეობის, იმ სახეობში
აღამიანების...**

ლევან დონია

49 | **გაღვიძების ღამით
ან დაფინანსება**

ქარდა ქარდუხი

55 | **აზიკა**



თავისუფალი არჩევნები

მან, მე ვარ ნიკო!

„კიდევ ექვსი რვეული და მორჩა, თავისუფალი ვარ!“ – გავიფიქრე და მანქანა ვიწრო, ფილაქნიან ქუჩაზე შევიყვანე. მიყვარს პატარა ქუჩებით სიარული, ყველაფერი ისე ახლოა, ისე ხელშესახები. მიდიხარ და ტროტუარზე მიმავალი ადამიანების სუნთქვასაც გრძნობ, მათი სიცილი გესმის. გესმის პატარა მაღაზიების კარის ჯახუნი, ღია ფანჯრებიდან – აშლილი პიანინოს ბგერები. თუ გავიმართლა და ფანჯარაში შეიჭყიტე, იქნებ გაბუტული ბავშვის თვალებიც დაინახო. ალბათ, ტელეფონი ჩამოართვეს ან ვიდეოთამაშს მოსწყვიტეს. მეგობრებიც არ არიან შინ – ზოგი მუსიკის გაკვეთილზეა, ზოგი – ბაღის, ზოგიც უცხო სიტყვებს აბარებს ინგლისურის მასწავლებელს... ვერც კი ხვდება, როგორ გაუმართლა, რომ დღეს სკოლიდან პირდაპირ სახლში წამოვიდა და შეუძლია, ეს დრო საკუთარ თავს დაუთმოს, იცელქოს, ითამაშოს, თავგადასავლები ეძებოს. ბავშვებში ყველაზე მეტად ეს მიყვარს – თავგადასავლების წყურვილი. იზრდები და ეს წყურვილიც ქრება, სახლში ჯდება, ფანჯრებს ხურავ, ფინჯანი ყავით ხელში მყუდრო კუთხისკენ მიიწევ. როცა პატარა ხარ, კუთხეში ჯდომა სასჯელია, როცა იზრდები – მყუდროება! აი, პატარა რომ ვიყო, ჩემი მოსწავლეების ხელა რომ ვიყო, კიდევ რამდენ რამეს გავიგებდი მათზე... იქნებ ნიკოსიც გამეგო!

– დავიწყეთ. დავალების რვეულები გადაშალეთ, მე ჩამოვივლი და ვნახავ, როგორ გაართვით თავი, – გამბობ და სწრაფად, ჩვეული მოძრაობით ვიღებ წითელ კალამს. ეს კალამი შარშან მაჩუქა ნინიმ, საფრანგეთიდან ჩამომიტანა და მითხრა, რომ ჩემს თავს აგონებდა. გაკვეთილებს – არა, მხოლოდ ჩემს თავს! საოცარია, არა? შეიძლება, სადღაც, საფრანგეთის რომელიღაც პროვინციაში, ვიღაცამ ვიტრინაში გამოდებული წითელი კალამი დაინახოს და მე მოვაგონდე, პატარა ზღვისპირა ქალაქში მცხოვრები, მუდამ რვეულებით დახუნძლული, მასწავლებლისთვის ჩვეული მყდერი

ხმით, ზურგს უკან დახატული სქემებით, უცნობი სახელებითა და გვარებით, რომლებსაც თავს ვახვევ...

– მას, მე მხოლოდ რამდენიმე ხაზი გამომივიდა, მეტი ვერ დავწერე!
– მთავარია, რამდენად კარგად გიწერია ის რამდენიმე ხაზი, – ვჩერდები და ვკითხულობ.

– მას, ჩემიც ნახეთ!
– ყველას ვნახავ.
– მას, მე ჩემი აზრი დავწერე!
– სწორედ ეს მაინტერესებდა.

– მაგრამ, მას, ჩემი აზრი თქვენსას რომ არ ემთხვევა, ნიშანი არ დამაკლდება?

მეცინება.

– კონსტიტუციით ყველა ადამიანს აქვს სიტყვის გამოხატვის თავისუფლება.

– და ნიშანი?

– დარწმუნებული ვარ, თუ დაწერე, შენი აზრის დაცვასაც შეძლებ, ამიტომ ნიშანზე ნუ იდარდებ.

არც ეს პასუხი აკმაყოფილებს, მაგრამ მირჩევნია, საუბარი აქ გავწყვიტო. არ მინდა იცოდეს, რომ სინამდვილეში ნიშნები ჩემთვის არაფერს წამოადგენს, რომ ისინი მხოლოდ თავს მოხვეული წესრიგის ნაწილია, რომ მათდამი ჩემი კეთილგანწყობა ნიშნებზე ყველაზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ოღონდ ნიკოსთან ყველაფერი სხვაგვარადაა.

– შენი დავალება სად არის, ნიკო?

– აქ არ არის, – ამომხედავს გამომწვევად, – სხვარვეულში დავწერე და დამრჩა!

– რვეული ხშირად გრჩება ან კარგავ. სათაურის ჩაწერა გავიწყდება ან ვერ ასწრებ. მე კი მთელი თვეა, შენი დავალება არ მინახავს.

– ყველაფერს გარჩენებით!

– მართლა? როდის? როცა შენი გრაფა დაბალი ქულებით გაივსება? – ყოველთვის, როცა ნიშნებით ვმანიპულირებ, საკუთარი თავი მეზიზღება. ნიკოს გამომეტყველებამაგრძნობინებს, რომ ყველაფერი ჩემი ნებაა, რომ ნიშნები არ აინტერესებს, რომ ჩემდამი მის დამოკიდებულებას, როგორც უნდა იყოს ის, ნიშნები ვერ განსაზღვრავს. ის თითქმის ჩემსავით ფიქრობს, მაგრამ მე მაინც ვმარცხდები. ნიკო ისევ იმარჯვებს.

გაწვიმდა. თავიდანვე ხმაურით და მძვინვარედ. სანამ პატარა ქუჩას ჩავივლიდი, წვეთები ისე გამსხვილდა, თითქმის ვეღარაფერს ვხედავდი. ვიგრძენი, სახე როგორ წამომიწითლდა, ხელებიც გამოიფლიანდა და იმ იმედით, რომ მანქანას სადმე გავაჩერებდი, სახლს უკვე მესამედ დავარტყი წრე. შუქნიშანზე რომ გავჩერდი, წამით თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, თითქოს სანდრო ვარ შემაჯამებელი წერის წინ. დავყურებ ჩემ წინ დადებული ტესტს, კითხვების სირთულე მოულოდნელად მატყდება თავს და სულ უფრო იმატებს, მე კი გამოსავალს ვერ ვხედავ, პასუხები არ მაქვს, გადაწყვეტილებების მიღების მეშინია, ეს ყველაფერი ჩემს ძალებს აღემატება... მძიმედ ვსუნთქავ და თვალებს ვაცეცებ...

ისევ სახლს რომ მივუახლოვდი, მოპირდაპირე მხრიდან სახელმწიფო არქივის თანამშრომელმა ხელი დამიქნია და მანიშნა, რომ შემეძლო, მანქანა იქვე, გორგასლის ქუჩის კუთხეში დამეყენებინა. გამოვფხიზლდი, გავაჩერე და გადმოვედი. მაშინვე თავიდან ფეხებამდე გავილუმბე, მაგრამ არაფრად ჩამიგდია. მადლიერი ვიყავი, უზომოდ მადლიერი, რადგან ის ადამიანი მხსნელად მომეცლინა. წვიმა სახეში მასხამდა, აოხრებდა ჩემს ახალ ატმისფერ პიჯაკს და ნაჭრის ფეხსაცმელებს, მაგრამ წასვლა არ მინდოდა. წამით ბედნიერების-მაგვარი გრძნობა დამეუფლა და ვიცოდი: როგორც კი წამოვიდოდი, ეს შეგრძნებაც გაქრებოდა. სანდრომაც შვებით ამოისუნთქა და მადლიერებით გადახედა მხსნელს – ნინის, ელენეს ან სულაც საბას. ამ ერთხელაც გადარჩა და შემდეგი წერისთვის უკეთ მოემზადება, ან უბრალოდ შეეცდება, ასე აღარ ინერვიულოს.

კარგახანი გავიდა, სანამ სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე, თმა გავიშრე და ერბოკვერცხი შევჭამე. ნაწერების გასწორება არ შემეძლო, რადგან წვიმა ყოველთვის ძალას მაცლის. თითქოს შეუძლია, ჩემში ყოველივე საუკეთესო ჩარეცხოს. წვიმიან დღეებში გაკვეთილებზეც სხვანაირი ვარ – ფრთხილი და მოზომილი.

– მას, რატომ ხართ სევდიანი? – მეკითხება ხმაურიანი გაკვეთილის შემდეგ თამარი. ბავშვები ჩემ გარშემო დაქრიან, იცინიან თუ ბრაზობენ, მე კი მოცელილივით ვზივარ სკამზე და ფანჯრიდან წვიმის წვეთებს გავცქერი, რომლებმაც ლამისაა ოთახში შემოაღწიონ.

– თავადაც არ ვიცი, თამარ! – აზრი არ აქვს თემას, რომ ეჩვენება. ბავშვებს არასდროს არაფერი ეჩვენებათ, ამიტომ მათ არ ვატყუებ.

– მამჩემი ამბობს, როცა ადამიანს უმიზეზოდ მოეძალდება სევდა, ეს უკვე მარტომისი სევდა აღარ არისო, – თამარს ლია ცისფერი, თითქმის გამჭვირვალე თვალები და ჩაფიქრებული მზერა აქვს.

– აბა, ვისი? – რა ჭკვიანი მამა ჰყოლია თამარს.

– არ ვიცი, ეგ აღარ უთქვამს, – მხრებს იჩეჩავს თამარი. – გინდათ ორცხობილა? სახლში გამომცხვარია.

მესევდის გამაქარვებელ ერთ ცალ ორცხობილას ვიღებ და თამარს ვუღიმი.

ამასობაში მეგობარმა დამირეკა, ნავსადგურის კაფეში ვართ და შენს რვეულს დამოსწავლეების ლანდებს თავს თუ დააღწევ, მოდიო.

– ყოველთვის მათზე ფიქრობ, ყველგან ისინი გელანდება, სიზმარშიც კი მხოლოდ მათ ხედავ, – ასე დაახასიათა ერთხელ ჩემი ცხოვრება. – ისინი თუ ფიქრობენ შენზე?

– არ ვიცი, – ვუპასუხე მე. მან კი წარბი ასწია.

ახლავე პატარა გონდოლას გამოვიძახებ და მოვდივარ-მეთქი, ვუთხარი მეგობარს. ეტყობა, ღრმად ჩაძირულიყო ზღვისა და ყავის სურნელში და თავს ხმას მის გონებაში ვერ ვერ მიეღწია. აივანზე გავედი, ქუჩას გავხედე და გავიფიქრე: თუ ამ ქალაქში წყალსაწრეტი მიწები ნამდვილად არსებობს, ალბათ, მეტისმეტად ღრმადაა, დედამიწის გულთან ახლოს.

მანქანების გრძელი რიგი სადღაც შორეთისკენ მიცურავდა. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა წყალში მოტივტივე მანქანებისა და შარვალაკაპიწებული, ერთგული მძღოლების ყურება, მაგრამ, ცხადია, ხმამალა ეს არასოდეს მითქვამს. მეშინოდა, რომ სწორად ვერ გამიგებდნენ. ისევე, როგორც მუსიკის გაკვეთილების შემთხვევაში. ყოველ ხუთშაბათს, როცა მუსიკის გაკვეთილიდან, სადაც მასწავლებელი ერთ ტონალობაში დამკოდა თავზე თითების გაუვარჯიშებლობის გამო, შინ ვბრუნდებოდი, მიგაბიჯებდი მტკიცე გადაწყვეტილებით – სახლში ულტიმატუმი წამომეყენებინა: ან მუსიკიდან გამომიყვანეთ, ან სახლიდან გამაგდეთ-მეთქი. ბებია წინ მიმიძღოდა და მშვიდად მიპაუვნებდა ქუსლიან ფეხსაცმელებს. დროდადრო უკან იხედებოდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად მივყვებოდი დარომელიმე ბოძს არ დაეტაკებოდი, როგორც მემართებოდა ხოლმე, როცა ფიქრები ცისკენ გამიტაცებდა. მივდიოდი და ათასგვარ გეგმას ვხლართავდი, როგორ მეთქვა ეს ყველაფერი დედაჩემისთვის. გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ სახლიდან არავინ გამაგდებდა, მაგრამ მაშინებდა იმაზე ფიქრი, რომ ვერ გამიგებდნენ.

ასეა, ბავშვს იმდენი რამის ეშინია, უფროსები ვერც კი წარმოიდგენენ. მაგალითად, ეშინია, რომ მასწავლებლის კითხვას უცნაურ პასუხს გაცემს და ამის გამო ან მეგობრები დასცინებენ, ან თავად მასწავლებელი გადმოხედავს გამციცხავი მზერით. ურჩევნია, ჩუმად იყოს. ეშინია, აღიაროს, რომ რაღაცის გაკეთება სცადა, არ გამოუვიდა და დახმარება სჭირდება. ამიტომ ამბობს, რომ ვერ მოასწრო და აიტანს, თუ უპასუხისმგებლოს დაუძახებენ. ეშინია, რომ თუ ცუდი ნიშანი მიიღო, მშობლებს იმედს გაუცრუებს და ცდილობს, გაკვეთილზე შეუმჩნეველი დარჩეს... ნეტავ ნიკოსაც რამე ასეთის ხომ არ ეშინია?

– ნიკო, გეგმას მიჰყევი და აუცილებლად გამოვივა, – ვეუბნები ხმადაბლა, როცა მის მერხს ვუახლოვდები და ვხედავ, რომ ფურცელი ცარიელია. კიდევ ერთხელ დავივიწყე ძველი წყენა და ვცდილობ, კეთილგანწყობილი ვიყო. თითქოს გუშინ პატარა ქალაქის ბურთებით არ ცდილობდა ჩემი გაკვეთილის არეგას.

– ვერ დავეწერ, მას, – მეუბნება გულგრილად, – შემოქმედებითი ნიჭი არ მაქვს.

– საიდან იცი, რომ არ გაქვს, როცა არც კი გიცდია, დაგეწერა? თანაც შემოქმედებითი ნიჭი არ არის საჭირო მარტივი აღწერითი ტექსტის



შესადგენად. უბრალოდ, რამე აღწერე, თუნდაც ჩვენი საკლასო ოთახი, – არ ვნებდები.

– ეს საინტერესო არ იქნება!

– შენთვის რა არის საინტერესო, ნიკო? – პასუხის მოლოდინში გული მიჩერდება. ნიკო მონუსხულივით დასცქერის თავის თითებს.

– არ ვიცი, მგონი, არაფერი მაინტერესებს! – ხმა ურბილდება.

– შეუძლებელია, ასე იყოს! – ვამბობ ძალიან ნელა, რომ ფიქრი მოასწროს. – შენ საინტერესო ბიჭი ხარ, მხოლოდ მე არ გიცნობ.

გაოცებული თვალებით მიყურებს და ხმას არ იღებს.

– იმედია, ერთხელაც გამაცნობ შენს თავს, – ვტრიალდები და დაფისკენ მივდივარ სახეზე გამარჯვების ღიმილით. ასეთ წამებს ვუფრთხილდები და ჩემთვის ვინახავ, თუმცა მესმის, რომ ეს დროებითი გამარჯვებაა. ხვალ ნიკო ისევ ხატვით გაერთობა ან პატარა ფურცელზე რამეს მივლაბნის და ჩუმად ესვრის მეგობარს, მერე კი პასუხს დაელოდება, ან თავს მომაჩვენებს, რომ ტექსტს კითხულობს, სინამდვილეში კი წიგნში სათაურებს გააფერადებს და თუ რამე არ გამოუვა, ფურცელს ამოხვეს.

კარზე ზარი დარეკეს. გასაღებად გავვარდი. ვიფიქრე, ასეთ თავსებაში ვინ უნდა იყოს, უთუოდ ღმერთმა გამომიგზავნა ვინმე მოწყალების გასაცემად და, აი, ჩემი შანსიც-მეთქი. საფულეში ოცი ლარი მეგულბოდა და მხნედ მივაბიჯედი.

– მას, თქვენს გაკვეთილებზე ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ კეთილი ხარო, – მეუბნება ერთ დღეს საბა.

– მართლა?

– კი, ყოველთვის ისე იქცევით, რასაც გვასწავლით და რასაც აკეთებთ, იმას ამბობთ!

– ჩახლართული, მაგრამ ბრძნული ნათქვამია, – ვუღიმი მე, – მიხარია, თუ ასე ფიქრობ!

– ასე ვფიქრობ, – საბა, როგორც ყოველთვის, დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში. პერანგის ღილები ბოლომდე აქვს შეკრული და მის სათვალეს ნათითურები საერთოდ არ ეტყობა.

– სიკეთის ასეთი უჩვეული განმარტება არც მომისმენია!

საბა კმაყოფილია. ზარი ირეკება და საბა მერხისკენ გარბის, მე კი, ასე უცნაურად კეთილი, საკლასო ოთახიდან გამოვდივარ.

კარი გავაღე – საკაბელო ტელევიზიის გადასახადის ამკრეფი კაცი აღმოჩნდა. ყოველთვე ერთსა და იმავე დროს მოდის, ზრდილი და თავაზიანია. ამიტომ გავიფიქრე, თარიღი შეეშალა-მეთქი. მან კი მითხრა, რამდენიმე დღეში უნდა მოვსულიყავი, მაგრამ წვიმამ თქვენს სადარბაზოსთან მომისწრო და ბარემ ფულსაც გამოგართმევთ. უცნაური მიზეზია-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს. მერჩივნა, ხელფასამდე დარჩენილი ფული სიკეთეში დამეხარჯა. გამიხარებოდა, თუ კარში ჩამოძინდი, სველ მათხოვარს დავინახავდი, შემოვიყვანდი, ეროვნულს უწუილადებდი, თავზე ხელს გადავუსვამდი, როგორც ჩემს რომელიმე გულაჩუყებულ მოსწავლეს. და ალბათ საბას სიტყვებსაც გავამართლებდი... ნეტავ მართლა რამდენიმე დღეში მოსულიყო-მეთქი, გავიფიქრე, თემით კი ვუთხარი: შემობრძანდით, ჩაით გაგიმასპინძლებით, – მაგრამ თავაზიანად იუარა და წავიდა.

– მას, უცნაური ამბავი რომ გითხრათ... – გამომცდელად მიყურებს ილია. დერეფანში წამომეწია და გვერდით მომყვება.

– შეგიძლია, მითხრა.

– თქვენ ხომ ბავშვების გესმით?

– ზოგჯერ კი.

– საიდუმლოს შენახვა შეგიძლიათ?

– რომც მაწამონ, საიდუმლოს არ გავცემ! – აშკარად მოსწონს ჩემი შემართება, უფრო მიახლოვდება და ჩურჩულით ამბობს.

– იცით, მე უცნაური ძმა მყავს! – თითქოს შვებით ამოისუნთქა.

– მართლა?

– კი, მართლა უცნაურია, არ ლაპარაკობს, არც ყურადღებას გვაქცევს, ხანდახან უმიზეზოდ ტირის და მთელი დღე მარტო თამაშობს. გაგიგონიათ ასეთი ბავშვების შესახებ?

– რა თქმა უნდა! მათ უბრალოდ მეტი ყურადღება სჭირდებათ, ვიდრე სხვებს. მაგრამ, მგონი, სანერვიულო არაფერი აქვს, მას ხომ შენ ჰყავხარ! – თავს ხრის და ფეხებს დაჰყურებს.

– იცით, ხანდახან ყველაფერი მბეზრდება!

– ხანდახან მეც მბეზრდება ყველაფერი.

მაკვირდება, მგონი, ბოლომდე არ მიჯერებს. იქნებ კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, უფრო მტკიცე არგუმენტი...

– გაკვეთილებიც? – თვლებში მოლოდინი აქვს.

– გაკვეთილებიც! – მოლოდინი ქრება და სიმშვიდე ისადგურებს.

მეტსტუმარს აღარ გელოდი, ტელევიზორი ჩავრთე, ტახტზე მოგვალათი დამეზობლის მოწოდებული მანდარინი გაფუცქენი. კეთილი, აწოწილი მოხუცია. ეზოში ჩამოფეხდარმა, სამსახურიდან მომავალი თუ დამინახა, ყოველთვის მჩუქნის ერთ ცალ მანდარინს ან ფორთოხალს, როგორც პატარა ბავშვს, რომლის გახარებაც უნდათ. მეც მიხარია საჩუქარი, სახლში ამომავს, ერთხანს მაგიდაზე დადებულს ვუყურებ და მერე ვჭამ. გასაოცარი არაფერია, შემოდგომის მიწურულს ან ზამთარში მანდარინი ვის არ უყვარს? მზის გულივით ყვითელი, მოგონებებით ტკბილი, წვნიანი, თავბრუდამხვევი... როცა პატარა ვიყავი, ყველგან ჰხედავდი: მანდარინი სახილეზე, მანდარინი დახლზე, თოვლის ბაბუს კალათაში, სოფლიდან გამოგზავნილ ნობათში, სკოლის ჩანთაში, გაყინული ხელებისა და გულის გასათბობად...

– მანდარინი გაქვს? – წამოიძახა თემო და საბას მიუბრუნდა. საბამ თავი დაუქნია. – გეგონა, ვერ მივხვდებოდი? გამიყავი რა!

– საბას მანდარინი აქვს!

– აქეთ მოდით, მანდარინი! – ბავშვები საბას მერხს ეხვევიან, საბაც გულმოდგინედ ანაწილებს ლეზნებს. ერთი მეც მხვდება. კლასში საოცარი სურნელი და ჰარმონიაა.

– მას, რამე წაგვივითხეთ რა, ან მოგვიყვით!

– მას, გთხოვთ რა, რამე საინტერესო გავაკეთოთ!

– რამე კარგი!

საერთო აღტაცება მეც გადმომეძება. ჩანთიდან პატარა, ლამაზ-დიან წიგნს ვიღებ და ხმაურსა და გადაძახილებში ხმადაბლა ვიწყებ კითხვას. ხმაური ნელ-ნელა გუზდება და ქრება, გულები მშვიდდება და თვლები ფართოვდება. ნეტავი ნიკო თუ მისმენს?

ტელევიზორში საინტერესო არაფერი იყო, გადავწყვიტე, ცოტა წამეკითხა და თაროდან გუშინ დაწყებული საბავშვო წიგნი გადმო-

ვიღე. რამდენიმე გვერდიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მივმხვდარიყავი, ძალიან მოეწონებოდათ – მეგობრობა, ერთგულება, საერთო განსაცდელი, ცოტა ჯადოსნური ამბები და ცოტაც სიყვარული. ცოტა სიყვარული აუცილებელია, თუნდაც ბავშვი იყო.

– დემეტრე, გაფანტული მეჩვენები, – გუზნები და გაჩეჩილ თმაზე ხელს ვუსვამ. – რამე გაწუხებს?

– კი, მას, – ამომხედავს საცოდავი თვალებით.

– რამე მოხდა? – შეშფოთებული ვარ.

– არა, მას, ისე... – ფანჯარაში იყურება. რაღაცას ვხვდები და ვრწმუნდები. ჯერ კიდევ წინა კვირაში შევამჩნიე, როგორ უმტერდებოდა თვალი, როცა მარის უყურებდა.

– რას იზამ, ყველას გვემართება, – ვეუბნები და დაფისკენ მივდივარ.

– თქვენც? – მომადევნებს უკან.

– მეც!

ცამეტი წლის ვიყავი, როცა ჩემი კლასელი შემიყვარდა. მე – გამხდარი, გაწეწილი, წიგნებში თავჩარგული, ის – მაღალი, გრძელთმიანი, რწევით მოსიარულე. რა თქმა უნდა, ერთი მიზეზიც არ არსებობდა, რომ ჩემთვის ყურადღება მოექცია. სამაგიეროდ, დღიური ლექსებით გავავსე და ოცნებაში არაერთი ღამე გავატენე.

წვიმამ ძალა დაკარგა და ხმაურმაც იკლო. ჩემი ექვსი რვეული არ მასვენებდა. გადავწყვიტე, თავისთვის ძალა დამეტანებინა, გასწორება დამესრულებინა და შაბათი დღე მხოლოდ საკუთარი თავისთვის მიმეძღვნა. მეგობარს დაუფრეკავდი, ჭრელ კაბას ჩავიცვამდი და დილიდანვე სანაპიროზე გავიდოდი სასიერნოდ. თუ ბილიკი გაშრობას მოასწრებდა, იქნებ ველოსიპედზეც წაგველო.

ჩანთიდან რვეულები ამოვიღე და მაგიდას მივუჯექი. პირველივე რვეული ნიკოსი აღმოჩნდა. დავალება მოკლედ, თითქმის გაურკვეველად, უსწორმასწორო ასოებით ეწერა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. როცა გადავშალე, რვეულიდან პატარა, რამდენჯერმე გადაცეცილი ფურცელი გადმოვარდა. ვიფიქრე, რომ ეს მისი მორიგი ნახატი იქნებოდა, მაგრამ ცალმხარეს დიდი ასოებით ეწერა: „წერილი“.

ფურცელი გავეშალე: „მას, მე ვარ. არ ვიცოდი, ეს ყველაფერი როგორ მეთქვა და იმიტომ მოგწერეთ. მინდა, იცოდეთ, თქვენს გაკვეთილზე რომ ცუდად ვიქცევი, დავალებებს არ ვასრულებ, არ გისმენთ და ნერვებს გიშლით, თქვენი ბრალი არ არის. იმ დღეს სიმართლე დამოქმედება ვითამაშეთ და საყვარელ მასწავლებლად ყველამ თქვენ დაგასახელათ. მეც ვეთანხმები. როცა სკოლაზე ვფიქრობ, სულ რამდენიმე ადამიანი მახსენდება კარგად და მათ შორის თქვენც ხართ. მაგრამ გაკვეთილებზე ყველაფერი სხვაგვარადაა, გაკვეთილზე თავს ვერაფერს ვუხერხებ და კარგად ვერ ვიქცევი. მას, ხო მიცნით? მე ვარ, ნიკო!“

ფურცელი ფაქიზად დავკეცი და წიგნში შევინახე. აღარ წვიმდა. აიგინს კარი გამოვალე და გარეთ გავედი. მანქანების გრძელი რიგი ისევ შორეთისკენ მიცურავდა. ბორბლები თითქმის მთლიანად დაეფარა წყალს, მაგრამ მაინც ამაყად იდგნენ დატბორილ ქუჩაზე. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიდევქე აიგანზე და თავისუფლად ვსუნთქავდი ნაწვიმარ, ნოტიო ჰაერს.





მისი მოსალოდნელი

მეოცის მაჩვენებელი და ანგარიშებისათვის

21 განცხადება სამნაწილიანი მოთხრობისთვის

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მე-11 საფორტეპიანო სონატის (ლა-მაჟორი) თანხლებით

პინჰაინ ნაწილი: ANDANTE GRAZIOSO

1.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ
ლუკა რაზიკაშვილის
თხოვნა

უმორჩილესად ვსთხოვ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, უკეთუ დაინახოს ღირსად თვის გამგეობის ქვეშ სამსახურისა, ჩამაბაროს დიდი-თონეთის სკოლა, რადგან ამ სკოლის მასწავლებლის ადგილი დღეს დაცლილია, ამასთანავე თუ ჩემი თხოვნა შეწყნარებულ იქმნას, მაუწყოს შემდეგი ადრესით: (რუსულად)

დუშეთის გავლით სოფელ თიანეთში ნიკოლაი ხიზანოვს. გადაეცეს ლუკა რაზიკაშვილს.

1886 წ., მკათათვის 27-სა

2.

წ.კ.გ.ს-ის საზოგადოების გამგეობის დადგენილება:

ეცნობოს რაზიკაშვილს, რომ ის დანიშნულია თონეთის სკოლის მასწავლებლად. ჯამაგირი მიეცეს იმ დღიდან, როდესაც ის გამოცხადდება სკოლაში. დოკუმენტები რაზიკაშვილის დანიშვნის შესახებ მიეკეროს საქმეს.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე
თფილისი, 30 სექტემბერი, 1886 წ.

3.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოებას

დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლის

ლ. რაზიკაშვილის

მოხსენება

მაქვს პატივი, ვაცნობო მმართველობას, რომ დანიშნულს ადგილას გამოვცხადდი 16 ამ თვისას, 17-ს შევეუდექი სწავლას. სწავლა ისევ ძველ შენობაში მიმდინარეობს. ჯერჯერობით ოცამდე მოსწავლეა, მათ შორის ორი სულ ახლები არიან. როგორც საზოგადოება და მამასახლისი იმედს მაძლევენ, მოსწავლეთა რიცხვმა ერთი-ორად უნდა იმატოს. სკოლისთვის საჭიროა „ბუნების კარი“ არა ნაკლებ 5 ეგზემპლარი, დაფები, გრიფელები, კარანდაშები, საწერლები, კალმები, რვეულები. ახალი სკოლის შენობა ჯერ არ დაუსრულებიათ. ამასთანავე ვსთხოვ უმორჩილესად, ერთი ეკზ. პროგრამაც გამომიგზავნოს მმართველობამ, რომლითაც მოვალე ვარ ვიხელმძღვანელო.

18 ოქტომბერი, 1886 წ.

4.

ქართველებში წიგნის ცოდნის გამავრცელებელ

საზოგადოების მმართველობას

დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლის

მოხსენება

მაქვს პატივი, ვაცნობო საზოგადოების მმართველობას, რომ სოფ. თონეთში ახალი სკოლის შენობა დასრულდა 15 ნოემბერს; ამრიცხვიდამდე დაიწყეს მასში მოწაფეთ სწავლა. შენობა უნაკლებოდ არ არის გაკეთებული და სამკოდაშვილი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული სკოლის შენობის გაკეთება და ამისათვის იმან, კანდრაბტის ძალით, რვა წელიწადი უნდა უხარჯოდ დუქანი ამუ-



შაოს ს. დ. თონეთში, ძმანი სამკოდაშვილები დუქანს ამუშავებენ, თუმცა სკოლის ნაკლულოვნება არ შეუვსიათ. გარდა ამისა, თონეთის ახალი სკოლის შენობას მომეტებული შეშა სჭირდება, ვიდრე წინანდელ სკოლის შენობას სჭირვებია. სოფელს თითო ურმოებით მოაქვთ შეშა და ეს მოტანილი ვერაფერს უზდება. ამასთან თვითონ მე იძულებული ვხდები, ხშირად ვაწუხებ ხალხს; უმჯობესი იქნება, ერთბაშად მოიტანონ და დადგან სკოლის ეზოში. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ, აცნობოს ეს გარემოება იმას, ვისაც ჯერ არს.

სკოლას ესაჭიროება შემდეგი სასწავლო ნივთები: რვეულები რუსულის წერისა 60, კალმისტარები 30, გრიფელები ერთი კოლოფი, უბრალო ქაღალდი ერთი ობმა #6.

მასწ. ლუკა რაზიკაშვილი

მამასახლისის მინაწერი: კანდრაბტში სამი საუენი შეშაო წელიწადში, საუენი შეშა 50 მანათი ჰღირს და სად არი მაგისი ფული, სადა?

5.

სოფელ დიდი თონეთის სკოლის მასწავლებელს
ლუკა რაზიკაშვილს
ამავე სკოლის მეორე განყოფილების შეგირდის
გლახო ბადალაშვილის
ახსნა-განმარტება

პატ. მასწ, სამი ცალი შექარ-ყინულისად ვანო შავშიშვილს საშინაო დავალება დავუწერე მღვდელ თევდორე კვეთელზე, 1609 წელს თურქების ლაშქარს გზა-კვალი რომ აურია, გაიტყუა შორსა ცხირეთის ციხიდანა, მემრე რო მოჰკლეს და აესე გადაარჩინა მეფე

ლუარსაბ მეორე. მაგრამ შექარყინულები არ მომცა ვანომა, არამედ მცემა და თანსუიმას დამძახოდა - მამაშვილურადა გცემ, რახან სხვა დროსაც უნდა მომემსახურო, ყველაზე პატარა ხარ და მაგიტომო.

ეს რომ გაიგო ჩემმა ამხანაგმა თანდილა ლონდარიძემ, ჯერ ხო ვანო მიბეგვა კაი გემრიელადა, მემრე მთელი ყუთი შექარყინული წაართვა და დაგვირიგა ამხანაგებსა: აზურმელაშვილ ცოტისა, მაჩაიძე მანანასა, ლოლაძე თომესა, ნადირაძე ბერუასა, თოროზოვ არუთინასა, დემეტრაშვილ ნანოსა, ასლამაზოვ გევორიკსა, მჭედლიძე პავლიასა, მუჯირიშვილ ბაგრატასა, თაყნიაშვილ თამაროსა, გოზალოვხაზოსა, მანველიძე ხუციასა, პავლიაშვილ აბრამასა და სხვებსაცა.

ჰოდა, ბოდიში, მასწ, და ამის მერე არაფერსაც აღარ დავუწერ. თანაც შევაგროვებთ ფულსა, სამკოდანთ დუქანში ვიყიდით იმ ერთ ყუთ შექარყინულს და უკან დავუბრუნებთ ვანოსა.

მასწ, თქვენ რომ სამღთოსჯულის გაკვეთილზე მოგვიყვით მდოგვის მარცვალზე, მემრე არსენას გამოქვაბულშიც რომ მივდიოდით „არსენას ლექსის“ წასაკითხად და გზაშიც გვაჩვენეთ შლეგა-ბალახი, ეს არი იგივე მდოგვიო, მე ის შლეგა-ბალახი მაშინ კარგად დავიმახსოვრე და ვეცდები, ისევე იმისი პატარა მარცვალ ვიყო, რომელიც რო თქვენ შემარქვით და „მდოგვის მარცვალს“ მეძახიან უკვე ამხანაგები. შლეგა-ბალახის თესლი ხომ ყველას სხვა დასათეს მარცვალზე პატარაა, მაგრამ როცა ამოვა, ყველაზე დიდი ხდება და ეგეთ ხედ გადაიქცევა, რომა მოფრინავენ ცის მფრინველები და იმის ტოტებზე იზუდებენ. ეს ცის მფრინველები კიდევხო უფლის ანგელოზები არიან და სუ მთავარი თქვენი ნათქვამი არ დამავიწყდება, რომ ადამიანობა სხვა არაფერია, თუ არა ამ ანგელოზების ზოგჯერ მაინც დანახვა.

დიდი თონეთი,
3 ოქტომბერი, 1886 წ.

მეორე ნაწილი: MENUETTO

6.

სოფელ პრიუტის საპოლიციო უბნის უფროსს
ბოქაულ ლუკავასკოი ანდრეი პეტროვიჩს
თქვენდამი რწმუნებული სოფელ დიდი თონეთის
მამასახლისის
დიმიტრი შავშიშვილის, წმინდა გიორგის ეკლესიის
მთავრის, მამა ოქროპირ შავერდაშვილის და დაბლითკენ
ხელისმომწერ სუდიების ერთობლივი
შუამდგომლობა

თქვენო აღმატებულებავ, მოგახსენებთ, რომ მასწავლებელ რაზიკოვი ლუკა პავლოვიჩის ქმედებები არაკეთილსაიმედოდ გცანით, რამეთუ:

1. არ დაიარება წირვა-ლოცვებზე და არ ინახავს მარხვას. სკოლის დარაჯს კი ეუბნება: მარხვა ისაა, ჩემო ალექსი, კაცი არ მოატყუო, არ დააბეზლო, ბოროტება არ ჩაიდინოვო და ერთ-მორწმუნის ნილბით მოსული დამპყრობელიც კარგად დაინახო, რომელმაც ჩვენი ენა ეკლესიითგან გამოაძევაო.

2. როცა შეიტყო, რომ სოფლის მცხოვრებლებისგან მღვდელი მოითხოვს, გადაიხადონ კომლზე ერთი კოდი პური და კომლზე ერთი კოდი ქერი, მოურიდებლად მიახალა: ძალიან ძვირს ითხოვ და საწყალ ხალხს ტყავს აძრობო.

ხოლო თავად შეგირდებს საღვთო სჯულსა და გალობას კი არ ასწავლის, არამედ უსამართლოდ ცემა-ტყეპას.

3. სკოლაში სწავლობს მამასახლისის შვილი ვანო, რომელსაც სცემა კლასელმა ლონდარიძემ. მეორე დღეს, დილით, სწავლის დაწყებამდე სკოლაში მივიდა მამასახლისი დიმიტრი შავშიშვილი, გამოიძახა ლონდარიძე და მხოლოდ რამდენიმე ალიყური უთავაზა. ამ დროს რაზიკოვი თავის ოთახში ჩაის სვამდა და სკოლის დარაჯმა ალექსი გოგიშვილმა აცნობა, რაც ხდებოდა. რაზიკოვი გამოვარდა აივანზე, ეცა მამასახლისის და გეგონება ლინეიკას ურტყამენ მაგიდაზეო, ისეთი ალიყური დასთხლიშა და წააქცია კიდეც. მერე დასტატა ხელები წაქცეულ მამასახლისსა და აივნიდან ძირს გადმოვადო, რაც სულაც არ გასჭირვებია, რადგან რუსულ ნალს აიღებს და თავისუფლად დაგრეხს; ანდა სადმე, დღეობაში ორ კაცს დაისვამს მუშტებზე და ზემოთ ასწევს ხოლმე. მერე თავად რაზიკოვიც გადმოუხტა აივნიდან, წაქცეულ მამასახლისის წიხლიც ჩააზილა და უთხრა: წადი ახლა და ნაჩაღნიკთან მიჩივლეო. როცა მამასახლისი წვალბებით წამოვდა და უყვირა: ჩემ შვილს გავიყვან შენი სკოლიდანო, - მასწავლებელმა მიუგო: - შვილი სკოლაში გამოგზავნე, თორემ უარეს დღეს დაგაყენებო. მეორე დღეს მამასახლისმა სკოლასთან ჩაიარა და ცერად გამოხედა, რაზიკოვმა კი დამცინავი ლექსი უთხრა, მაგრამ ჩაწერა ვერ მოვასწარით.

4. მამასახლისის ბიძაშვილმა, ივანე შავშიშვილმა შვილი გაიყვანა სკოლიდან. რაზიკოვი მივიდა და უთხრა: უნდა დაგაჯარიმო, შენ შვილს სკოლისთვის რომ თავი დაანებებინეო. შემინებულმა ივანემ შვილი სკოლაში დააბრუნა, მაგრამა რა უფლებით გვაჯარიმებს?

5. ამ ამბიდან დიდი ხანი არ გამომხდარა, რომ მასწავლებელი კანცელარიაში მიუვარდა მამასახლისს: შენ მამასახლისი კი არა, მა-

მაძალისიხარო და მასწავლებლურად უნდამიგბეგვო, ღარიბები რომ აღარ დაჩაგროო. წაიგდო წიხლქვეშ და ძლივს გააგდებინეს, ისე სცემა იმის მაგიერში, რომ აქაურმან ღარიბებმან, ბადალაშვილმან და სულეიმანაშვილმან მამასახლისს საჩუქრად მიუტანეს თითო ტომარა ფქვილი, რა არის, რომ მიწების გაყოფისთვის ხელი არ შეეშალა. მამასახლისმა ეს მცირედი ძღვენი მიიღო, მერე კი ორთავეს სახრით სცემა, თანაც იქავე განუმარტა, რომ მართო მამაშვილურად კი აღარ, მამასახლისურადაც გცემთ, ცდომილებაში რომ არ შეგიყვანონ ბუნტოვშიკებმა და ნილილისტებმაო.

6. რაზიკოვი ამბოხებისკენ მოუწოდებს გლეხებს და ვინც შეეწინააღმდეგება, მასზედ ხანჯლით მიიწევს, თავის მოსაჭრელად.

7. ერთხელაც, სადილოთუკან, წმინდის გიორგის ეკლესიის გალავანზედ რაზიკოვმა გააკრა სამთავრობო გაზეთი „კავკაზის“ ნომერი, გადაზომა ოცი ნაბიჯი და თოფის სროლა დაუწყო დამიზნებით. მღვდელმა ოქროპირმა, როგორც კი ეს სცნო, დიაკვანი ვასილ ზაკარაევი აფრინა მამასახლისთან და სუდიებთანა. ყველანი რომ შევიკრიბენით, რაზიკოს მივმართეთ წინადადებით, შეეწყვიტა თოფის სროლა ამ ნაკურთხს და წმინდათაწმინდას ალაგას! მაგრამ ამ უკანასკნელმა ჩამოგვაგლიჯა ჯვრები, შემოგვახია ტანისამოსი, გვირტყა პანლურები, მანამდე კი ალიყურები დაუნანებლივ და ესე ყოველი ისეთის ძალით, რომ მიწაზე ვეყარენით ყველანი და გონს მოსვლას ამაოდ გსცდილობდით.

8. ჩვენ მოვახერხეთ ხელში ჩაგვგედო გაზეთი „კავკაზის“ ის ნომერი, რომელსაც თოფის სამიზნედ იყენებდა რაზიკოვი და რა გამოირკვა? ეს სწორედ ის ნომერია, სადაც დაბეჭდილია ეგზარხოს პავლეს ის სიტყვები, სიონის ამბიონიდან რომ წარმოსთქვა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, პავლე ჩუდეცკის ცხედართან, რომელიც იოსებ ლალიაშვილმა მოკლა ხანჯლით ამა წლის 24 მაისს, მას შემდეგ, რაც მორიგ თხოვნაზე სემინარიაში აღდგენის შესახებ უარით უპასუხეს. აღნიშნული გაზეთი, სრულიად დაცხრილული რაზიკოვის ბერდანკას ტყვიებით, ამ შუამდგომლობას თან ერთვის.

9. ჩვენი ეკლესიის მთავრის შეკითხვის პასუხად თიანეთის მაზრის სოფელ ტოლათ-სოფლიდან მოვიდა მღვდელ აღნიევის წერილი, საიდანაც ვცხადებთ, რომ სამის წლის წინეთ ამ სოფელშიაც მასწავლებლად ყოფილა რაზიკოვი და ისეთები ჩაუდენია, რომ მღვდელმა აღნიევმა სახალხო სკოლების დირექტორ დარსკის მიმართა: მასწავლებელი რაზიკოვი აქ დასატოვი არ არის, ნილილისტი და სოციალისტი, მოწაფეებს ხელმწიფის საწინააღმდეგო ზრებს უნერგავსო, რის შემდეგაც ბატონმა დარსკიმ იქიდან გამოავდო.

თქვენო კეთილშობილებავ, სწორედ ამ უაღრესად მძიმე და ეჭმუეუვალ გარემოებათა გამო, უმორჩილესად გსთხოვთ, ეს ღვთის პირიდან გავარდნილი, ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი, რომლის თავზეც სახარება ამაოდ არ უნდა იკითხოს არავინ, მასწავლებელი რაზიკოვი, როგორც კრამოლნიკი, რაზბოინიკი და ბუნტოვშიკი, გაძევებულ იქმნეს სოფლიდან და მიეცეს პასუხისგებაში.

სოფელ დიდი თონეთის მამასახლისი –
შავშიშვილი დიმიტრი (ხელმოწერა)
წმინდა გიორგის ეკლესიის მთავარი –
მამა ოქროპირ შავერდაშვილი (ხელმოწერა)

სუდიები – გოგიჩაშვილი პავლე (ხელმოწერა), მჭედლიძე
სოლომონ (ხელმოწერა), გოგიშვილი გიორგი (ხელმოწერა),
კანცელარიის მწერალი – თეთრაძე ლევან (ხელმოწერა)
სოფელი დიდი თონეთი, 17 დეკემბერი, 1886 წ.

სოფელ პრიუტის საპოლიციო უბნის ბოქაულის, ლუკავსკოი
ანდრეი პეტროვიჩის მინაწერი: გადაეგზავნოს მის მაღალკეთილ-
შობილებას, ტფილისის მაზრის უფროსს, თავად ერასტი ჩოლოყაშვილს.

7.

მის მაღალკეთილშობილებას, ტფილისის მაზრის უფროსს,
თავად ერასტი ჩოლოყაშვილს
დიდი თონეთის სკოლის მზრუნველს
კონსტანტინე ყავრიშვილის
თავდებობა

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, სოფელ დიდი თონეთის
მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი არის უნიჭიერესი პოეტი და
მოთხრობების მწერალი გაზეთ „ივერიის“ რომლის რედაქტორი,
თავადი ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მომავალ უდიდეს მწერ-
ლად პრაქტს და ეს დასტურდება კიდევაც მისი პუბლიკაციებით
ტფილისის სხვადასხვა გაზეთებშიც.

არა მგონია, მისი დატუსაღება გამართლებული იყვეს იმის გა-
მოც, რომ სოფელ დიდი თონეთის მოხელეთა საჩივრის ზოგიერთი
პუნქტი მათ მიერვე უნდა იყოს მოგონილი, რაკი მტრად მოეკიდნენ
ახალგაზრდა მასწავლებელს მისი ერთგვარი პირდაპირობის, შე-
უვალობისა და გამოუცდლობის გამოც.

მე, როგორც სოფელ დიდი თონეთის სკოლის მზრუნველი,
თავდებობას ვიღებ მასწავლებელ ლუკა რაზიკაშვილზე და გაბრ-
დებით, რომ გავაკეთებ ყოველივეს, რათა მსგავსი საქციელები
ალარ განმეორდეს მისის მხრიდან.

ისიც უწყოდეთ, რომ ამ თავდებობის დიდს წილს საკუთარ
თავზედ იღებს როგორც გაზეთ „ივერიის“ მთელი რედაქცია,
თავად ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ასევე ქართველთა შორის
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაც.

კონსტანტინე ყავრიშვილი (ხელმოწერა)
ტფილისი, 7 იანვარი, 1887 წ.

8.

სოფელ თონეთის მამასახლისის
დიმიტრი შავშიშვილს
ამავე სოფლის სკოლის დარაჯის
ალექსი გოგიშვილის
მოხსენება

რეებს მეუბნებით, რეებსა? რა უნდა ჩაიწერო, შენი ჭირიმე,
ერთი უსწავლელი კაცი ვარ და ჩემი ლაპარაკი მოხსენება რანა-
ირათ გამოვა?

ეს ამოტოლა ზონზროხი კაცი სულ თავში უჩაუუნებდა მუშ-
ტებსა იმ ერთი ბეწო ბაღლსა და მე დავიჭერდი იმასა? არ მეთქვა
მასწავლებლისთვისა?

ლუკამა? ჩვენმა მასწავლებელმა ლუკამა? არა, შენი ჭირიმე,
არაფერი... დაიცა, არა, არა, გატყუებთ. ერთხელა მკითხა, აბა,

როგორა სცხოვრობთ, რაც თავისუფლება მიიღეთო. როგორა
ვცხოვრობთ და, ეჰ... განა გლეხის გაჩენაში ღმერთი რეულა?
როგორც ძალღურად ვიყავით წინათა, ისე ეხლა ვართ. წელებზე
ვიდგამთ ფეხსა და სიმშლის თავი მაინც ვერ ავაშორეთ. ის რაღაცა
„ნადელები“ რო დაგვირიგეს, წაიღონ უკანვე, შიგ არაფერი ყრია
და ხარჯებით და სარგებლის გადახდით კიდევ სული ამოგვხადეს.
წელში გავწყდით, თავი მაღლა ველარ აგვიღია...

აბა, მაშ, რას მეკითხებით, ვერ მიგხვდით, შენი ჭირიმე...

მაშა, მაშა, მასწავლებლის ცოლი ეკატერინე ნებიერიძე არი იგივე
კეკე. ეგ კეკე იმიტომ დაუშეგობრდა ეფემია-ლაპანტასა... ჰო, ჰო,
ეფემია შავშიშვილ-შავერდაშვილისასა, რომა იმისმა ქმარმა, მაშა
ოქროპირმა, წინა კვირას ქალაქილამ კარეგით ამოუტანა ფორტე-
პიანო. განა თავად მაგისმა ძმამ, ამ ჩვენმა დიმიტრმა მამასახლისმა
არ გააგზავნა თავის დროზედ ტფილისის სამუსიკო სკოლაშია, ალოიზ
მიხანდართანა და იმან არ შეასწავლა ფორტეპიანოზედ თამაშობა?!
მაშა, მაშა, მაგანა და კონსტანტინე ალიხანოვმა კიდევაც... ძან პრო-
ფესორი ხალხი ყოფილა ეგენი, აი, ძანა... ეს „ლაპანტა“ საიდანაა და,
ფრანგულიც ხო იქ ისწავლა ეფემიამა და ერთ შემოდგომაზე აქ რო
დაბრუნდა, მაშა ოქროპირი მოდენილიყო ტყიდანა, მწიფე პანტით
სამსე აბგა მეფხსნა ზურგიდანა – პანტას ხომ არ ინებებთაო? – და
იმას კიდევაც – „კეს კე სე ლა პანტაო?“ – ეკითხნა და მაგიტომაც
ცოლად შეირთო, განათლებული არისაო და მერე დაარქვეს მაგ
ქალსა „ლაპანტა“.

მარტო კეკე კი არა, აი, ამხელა კაცი მოვიყარე და ფორტეპიანო-
ზედ თამაშობას რომ დაიწყებს ხოლმე ეფემია-ლაპანტაი, წამოუბე-
რამს რაღაცა ქარი და წამიღებს ხან სადა და ხან სადა. თან აი, მეც
სულ მეტირება, მეცა და... კეკეს კიდევაც დაირაზე დავკრა შეუძლიან,
გარმონზედაც ეხერხება და ახლა კიდევაც სწავლობს იმისგან ფორ-
ტეპიანოზე თამაშობასა. მაშა, მაშა!.. მეძრე ჩაის სმასაც გამართ-
ვენ ხოლმე, თავიანთი გამოცხოხილი გემრიელი ნამცხვრის ზედ
დაყოლებითა და ლაპარაკ-ლაპარაკითა... გემრიელი რატომა და
იმიტომ, რომა მეც ხო მამაწვდიან ხოლმე თითო ნაჭერსა, მე კიდევ
შვილიშვილები არ მაღირსა ღმერთმა და ცოტას მოვაციტენი და
დანარჩენს იმ ბაღლს შევუნახავ ხოლმე, ბადალანთ გლახოსა...

აბა, რას მეკითხებით, ვერ გავიგე, შენი ჭირიმე...

საათი? ეგ საათი არი იუნგჰანისისა და პეტერბურგიდან ჩამო-
უტანია ლუკა მასწავლებელსა და მაიყოლა აქაცა... მუსიკასაც
უკრამს, მაშა, მაშა! და მოიპარებიან ხოლმე ბაღლები ლუკა მას-
წავლებლის ფანჯარასთანა, რო ხმა გაიგონ და იმის მუსიკაზედ
დაუვლიან ხოლმე... რა ვიცი, რასა? აი, რაც იცეკვება მაგ საათის
მუსიკაზე, იმას დაუვლიან, თავიანთებური მიმოხვრებითა და
ბრუნვა-ტრიალებითა, რა ვი... არა, ამზე არ მეტირება, მაგრამა
ვუყურებ ჩუმადა, ვუყურებ და დავიდარდებ ხოლმე... ჩემი ცოლი
რო არ მეეკლა ხორველასა და ბიჭი მყოლიყო, ეხლა ხო... ეხლა ხო
ამათი ტოლა შვილიშვილი მეყოლებოდა...

ვისა, ამ ჩვენ ლუკა მასწავლებელსა? რომ ეცეკვოს ეფემია-
ლაპანტასთანა? არა, არა... და მაგათ რომ ერთი-ერთმანეთში
რამე შარბიშური და ისა-ესა?... რას ამოფ, შენი ჭირიმე, რასა? ლუკა
მასწავლებელსა რომ რამე იმნაირი ისა ვინმე ქალთანა, არა, სულ
არა... მარტო იმის ფორტეპიანოზე თამაშობას უსმენს ხოლმე

გამტერებული და, რაღა შორს მივდივარ, მე უარესი მამდის, სულ მეტირება, სულა, შენი ჭირიმე... რა ვი...

ვილაცა მუსიკის კაცი ყოფილა ევროპაში, სახელი გადამვარდა გულიდანა, მოცხარივით რაღაცა ჰქვინ, მოცხარი, მოცხარი... იმისი გამოგონილი ფორტეპიანოზედ თამაშობაა აი, აი, ძან რაღაცნაირი ისა-ესა, ნუმერი თერთმეტი...

საიდან ვიცი და იქიდანა, რომა ეფემია-ლაპანტამ უთხრა ესა კეკესა და დიახაც რომ დავიმახსოვრე. მაშა, მაშა, სონატა არი იმ ევროპიელისა, ნუმერი თერთმეტი... მოცხარი, მოცხარი და ჯანდაბა ამჩემ უტვინო თავსა და ტანსა, ველარ ვიხსენებ... სონატა რაღაა და აი, ის ფორტეპიანოზედ თამაშობა ძალიან რაღაცნაირი, როგორც ისა-ესა... რა ვი...

ეჰ, მე რომ კარგი პატრონი მყოლიყო და სწავლის ფული მეჩონი-ყო, ეგრე კი არ დავრჩებოდი, მუსიკობის გარეშე... მეც გავმართავდი ფორტეპიანოზედ ეგეთ თამაშობასა და მაგის გამგონე ანგელოზები შამოსხდებოდნენ ამჩვენი წმინდა გიორგის ეკლესიის გუმბათზედა, რომ მოესმინათ... მაშა, მაშა, მაგ მუსიკაზე ანგელოზები მოფრინავენ და შემოსხდებიან ხოლმე გუმბათზე მოსასმენადა, მაშა...

რა ვუყო, შენი ჭირიმე, მე თუ მივედ-მოვედები, სუჩავიგდებ ენა-სა... მაშ, აბადა, ჩემი ყბედობა მოხსენება რანაირათ გამოვიდოდა?..

ალექსი გოგიშვილი

(ხელმოწერის ნაცვლად დასმულია ჯვარი)

რადგან წერა არ იცოდა, ამისის თხოვნით ხელს ვაწერ კანცე-
ლარიის მწერალი: ლევან თეთრაძე

9.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების
მმართველობას

ამავე საზოგადოების მდივნის,

იაკობ მანსვეტაშვილის

ანგარიში თონეთის სკოლის რევიზიისა

იმ ამბების გამგონი, რომელიც აქ ითქვა თონეთის სკოლის მას-წავლებლის და თვით ხალხის შესახებ, არასასიამოვნო გრძნობით მივდიოდი თონეთში და ვშიშობდი, ვაითუ მართლა ყველაფერი ნამდვილი აღმოჩნდეს-მეთქი. უფრო მეტმა შიშმა და რაღაც ცუდ-მა წინათგრძნობამ ამიტანა, როდესაც პრიუტში ერთი უცნაური და ფრიად სამწუხარო ამბავი შევიტყე: თონეთში ეს არის ეხლა პროკურორი, ჟანდარმის კაპიტანი და მაზრის პოლიცია წავიდა საქმის გამოსაძიებლად, თონეთელებს იმპერატორის პორტრეტი დაუხვეიათ სოფლის კანცელარიაში. შევწუხდი, ვთქვი, რაღაც უბედურება მომხდარა-მეთქი...

მივედი თონეთს. იქნებოდა სალამოს ცხრა საათი. სოფელში მართლაც არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ყველგან სინათლე ჩანდა. ვიკითხე მასწავლებელი, შინ დამხვდა. ეს ძლიერ მიამა, მაშ, ჯერ ერთი, ის ამბავი, რომ მასწავლებელი არ მოსულაო, ტყუილი გამოდგა. ვკითხე, რა არის, რა ამბავია, მართალია ყველაფერი, რაც მითხრეს-მეთქი? მართალიაო, – მითხრა, – და აი, ხალხსაც აქამდის იმიტომ არ სძინავს, რომ გამოძიება სწარმოებსო. ეს არის, შენი მოსვლის წინ წავიდა ხალხი ჩემგან, დარიგებას მკითხავდა – როგორ

მოვიტყუო, რა ვთქვათ, რა ჩვენება მივცეთ გამოძიებელსო... და მერე დაწვრილებით მიაბო ამ საქმის გარემოება. აი, რა აღმოჩნდა: თონეთში, თითქმის როგორც ყველა ჩვენს სოფლებში, ხალხი ორ დასად ყოფილა გაყოფილი. ერთს დასს შეადგენენ მდიდრები, შეძლებულნი, მეტის მამულების, მიწა-წყლის პატრონები; მეორეს – ღარიბები, ნაკლებ მიწა-წყლის პატრონები. ამათ შორის ისეც მუდმივი მტრობა და განხეთქილება ყოფილა, და ესეთი არასასიამოვნო ურთიერთ შორის განწყობილება უფრო გამწვავებულა მას შემდეგ, რაც ტიხევის აგენტების შთაგონებით გლეხებს მიწების თანასწორი გაყოფა დაუწყიათ. ღარიბები, რასაკვირველია, ერთგულად შესდგომიან ამ საქმეს, მაგრამ მდიდრებს არაფრად ეპიტნავათ თურმე ასეთი გაყოფა მიწებისა. ატყდა თურმე ჩხუბი, დავიდარაბა, ყველა ამას ხშირად ზედ დაერთობოდა კიდევ ხოლმე ცემა-ტყეპა შიგ სასოფლო კანცელარიაში, სადაც ხელმწიფის პორტრეტი ძალიან დაბლა კიდებულა კედელზე. ამ ჩხუბის დროს თუ სხვაგვარად როგორმე მომხდარა, სწორედ არავინ იცის, მხოლოდ ერთს დღეს უნახავთ, რომ ხელმწიფის პორტრეტი დახეულია. ხალხში დაუწყიათ ლაპარაკი, რომ ეს სწორედ იმათი ბრალია, ვინც მიწების გაყოფას არის მოწადინებულიო.

ადვილი მისახვდომია, ვის უნდა გაეგრცელებინა ეს ხმა. შეძლებულმა დასმა დაიხვია თურმე ხელზე ეს გარემოება და ემუქრებოდა თავის მოწინააღმდეგე დასს: აბა, თქვენ ნუ დაიშლით თქვენსას და ჩვენ გაჩვენებთ საქმესაო, – უთქვამთ და სისრულეშიაც მოუყვანიათ. ვილასაც – ამბობენ, მამასახლისია ამაში ბრალიო და დასაჯერებელიც არის, რადგან მამასახლისი ნამიკიტნარია და ძალიან გაიძვერა და გაქლესილი კაციცა ჩანს, რამდენადაც მე ის გავიცანი – შეუდგენია ქალაღი, დაუსახელებია ღარიბ დასის მოთავეები, ვითომ ამათ დაეხიოთ განგებ განზრახვით პორტრეტი, და გაუგზავნია პრისტავთან.

პრისტავსაც არც აუღია, არც დაუღია, არც გამოუკვლევია საქმე ადგილობრივ; ეტყობა, უფიქრია: ეს არის, ბუნტი, ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოვაჩინეო, დავასმენ ამას მთავრობას და ჯილდოს მივიღებო, და ქალაღი უმაღლეს მთავრობისთვის გადაუცია. მთავრობაც მაშინვე დაფაცურებულა და აი, მთელი სასტიკი გამოძიება დაუნიშნავს პროკურორით, ჟანდარმის უფროსით და სხვა ამაღლით. მერე რა გამოირკვა ამ სასტიკ გამოძიებიდან? აღმოჩნდა მხოლოდ ის, რომ სურათი თავის ადგილას არ ყოფილა დაკიდებული და ჩხუბის დროს, ან სხვა დროს როგორმე ხელი დაუკრავს და ცოტად გვერდი აუხვევია პორტრეტისათვის. ამგვარად, მთელი ეს ბოროტ განზრახვით აშენებული საქმე ტყუილი ცილისწამება გამოდგა და ყველანი, ვისაც ეს მძიმე დანაშაული ჰბრალდებოდათ, გაამართლა პროკურორმა და საქმე უყურადღებოდ დასტოვა.

ეს ამბავი დაწვრილებით მე იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა ზნეობითი სახე თონეთელებისა უმეტეს და გავლენიან ნაწილისა, მეორე კიდევ იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ამ საქმეს კავშირი აქვს სკოლის საქმესთან.

მე ვგონებ, რომ სათავე იმ ხმებისა, რომელიც აქ გვითხრეს, ვითომ თონეთელებს განზრახვა აქვთ, გუბერნატორს ქალაღი

მისცენ სკოლის დახურვის თაობაზედაო, აქ უნდა იყოს. ეს ხმები უნდა დაეყაროთ და ეს განზრახვა უნდა დაჰბადებოდეთ იმათვე, რომელთაც თავისი ღარიბი მოძმენი არ დაიშურეს და ისეთი მძიმე დანაშაულობა დასწამეს, როგორც ხელმწიფის პორტრეტის დახევა.

და რადგანაც ამასთანავე მასწავლებელზე გუმანი ჰქონდათ შეტანილი, რომ ვითომ ის უმართავდა ხელსა და გზას უჩვენებდა იმ გლეხებს, რომელნიც მიწის გაყოფას იყენენ მოწადინებულნი, ამიტომ ამისთვისაც ხელი მიუყვიათ, რომ ეგებ აქედან მოვიშოროთო. მაგრამ, რადგანაც პირველი ბოროტი საქმე ვერ აუსრულდათ, ეხლა ამისთვისაც თავი დაუხეზებიათ და ყველა ერთხმად მეფიცებოდა, რომ ჩვენ თავის დღეში მაგისთანა არაფერი გაგვივლია გულშიო, სკოლისაც და მასწავლებლისაც კმაყოფილნი და მადლიერნი ვართო. ეს მითხრა მე მამასახლისმა, რომელსაც ცალკე ველაპარაკე. მაგრამ ამას ბევრს ვერ დაუჯერებდი, რადგან ვაჭყობდი, რომ ცბიერობდა და ბევრსაც აშკარად ტყუოდა.

მერე თონეთის ეკლესიის მთავარს გამოვკითხე ამ ამბის გარემოება და აგრეთვე, რაც სკოლის შესახებ ხმები ისმის-მეთქი. ესეც მამასახლისს და მის მომხრეებს აბრალებს ამ საქმეს. მთავარს მე მით უფრო დავერწმუნე, რომ მამასახლისი ამისი სიძე ყოფილა და, მამასადამე, მართალი რომ არა ყოფილიყოს, რასაც იმაზე ამბობენ, უფრო ეცდებოდა თავის ნათესავისკენ ელაპარაკნა, ვიდრე მის წინააღმდეგ.

შაბათი დღე სკოლის გასინჯვას მოვანდომე. სკოლაში სულ 26 მოსწავლე მოვიდა: ქალი – 14 და ვაჟი – 12. 17 ახლები იყვნენ, წელს მისულები სასწავლებელში. ამათში 6 ქალია და 11 – ვაჟი. ორი მეორე წელიწადსა სწავლობს, ერთი ქალია, მეორე – ვაჟი. მესამე და მეოთხე წლისა სულ სულ ქალები იყვნენ. 6 – მესამისა და 1 – მეოთხე წლისა. სკოლამ და ყმაწვილებმა ძრიელ სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზედა.

სასიამოვნო სანახავი იყო ღია, მზიარული, ცოცხალი სახე ყმაწვილებისა, იმათი სიცოცხლით საცხე მიხვრა-მოხვრა, თამამად, გაბედვით, მკაფიოთ და თან გულუბრყვილოდ სიტყვა-პასუხის თქმა. მასწავლებელს თამამად ეპყრობიან და ამასთანავე დისციპლინაც კი მშვენივრად არის დაცული. ეტყობა, მასწავლებელს ყმაწვილები შიშით კი არა, სიყვარულით მოუნადირებია თავისკენ. ერთი-ორი კვირის მოსული ყმაწვილები წესსა და რიგს არიან მიჩვეულნი, პასუხს რიგიანად იძლევიან და, ეტყობათ, ესმით, რაზეც პასუხს ამბობენ და არა თუთიყუშისვით გაუხეპირებიათ. კლასის აღწერა, ყველა ნივთებისა, რაც კლასშია მდგარი, მწოლარე საგნებისა, დაკლავნილისა და ჯვრების ხატვა და გაკვრით დაწერა ერთი-ორის კვირის მოსულმა ყმაწვილებმაც კარგად იციან. სასწავლო საგნები საზოგადოდ კარგად აქვთ გავლილი. მეტადრე მშვენივრად და სრულიად ლოგიკურად გვიამბობდნენ მოთხრობებს საღმრთო წერილიდან. არითმეტიკა უფრო სუსტად იციან, მეტადრე მესამე და მეოთხე წლისეებმა. მაგალითად, 70-დან უკან დათვლა ოროლის გამოკლებით ვერც მესამე და ვერც მეოთხე წლისამ მოახერხა. მეორე წელიწადს ნამყოფმა ქალმა კი მშვენივრად დათვალა.

სკოლა კარგი, მკვიდრი შენობაა, საკლასო ოთახი ფართოა, მაღალი და ნათელი, მაგრამ ორი ნაკლი აქვს. ერთი, რომ მაღლობზე

დგას, ქარი ძრიელა სცემს და ოთახებში ძალიანაც ცივა. მთელი დღე და ღამე პალტოში ვიჯექი და ბევრი ვინანე, რომ კალოშებიც არ წავიღე, ფეხები სულ მაძრებოდა. ფეხები ისე უხეიროდ არის გაკეთებული, რომ მთელი ურემი რომ შეაყარო ერთ გახურებაზე, – მითხრეს მასწავლებელმა, მთავარმა და მამასახლისმა, – მაინც ვერ გაათბობო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ერთი დიდი გაჭირვება და საავაგლახო თონეთელებისათვის შეშის მოტანა სკოლისათვის, რადგან სოფელს ტყე არა აქვს და შეშა ძალიან ძვირია თურმე. მეორე ნაკლი ის არის, რომ სკოლას ზედ აკრავს სასაფლაო. არა მგონია, რომ ესეთი სიახლოვე მკვდრებისა კარგი იყოს. სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, ერთი ცუდი შედეგი ამ სიახლოვისა ის არის, რომ ყმაწვილებს მკვდრის საფლავები სათამაშოდ გადუქცევიათ. მაგალითად, მე ჩემის თვალითა ვნახე, რომ ყმაწვილები მკვდრის ტირილობას თამაშობდნენ: შემოხვეოდნენ პატარა გოგო და ბიჭები გარსა, შიგნით ცოტა მოზრდილი გოგოები ისხდნენ და თავში და მუხლებში ცემით, მაღლა ხმით, მოწყობით და მოძახილით დასტიროდნენ მკვდარსა, სწორედ ისე, როგორც დიდრონები ჩადიან ხოლმე. სასიამოვნო არ იყო ეს სანახავი!..

ბოლოს უნდა შევნიშნო კიდევ, რომ ძალიან კარგი და სასარგებლო, აუცილებლად საჭირო იქნება, სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც წავიდეს რევიზორი ხოლმე და დასინჯოს სკოლები...

1887 წლის 8, 9 და 10 ოქტომბერი

10.

მისი საიმპერატორო უდიდებულესობის
მეცამეტე ლეიბ-გვარდიის ერეგნის პოლკის მეთაურს,
მის მაღალკეთილშობილებას, პოლკოვნიკ სტოლიცა
კონსტანტინ აკიმოვიჩს
ამავე პოლკის ალაღის ფურმისტერის,
გაფრილოვი სერგეი ანატოლიევიჩის
რაპორტი

თქვენო მაღალკეთილშობილებაც, მოგახსენებთ, რომ არა-სამწყობრო ნაწილის კვარტერმეისტერ დესაჟე მიტროფან ფიოდოროვიჩის დავალებით, ამა წლის 14 ოქტომბერს ფელდფებელ მერცი ივან პავლოვიჩთან და კაშევარ ლუკავსკოი ივან პეტროვიჩთან ერთად ვიმყოფებოდი სოფელ დიდ თონეთში, სადაც მეთვალყურეობა უნდა გაგვეწია ფურაჟის ჩაბარებისთვის შედგავითიან ფასად (ქერი – 18 შაურის ნაცვლად 14, შვრია – 1 მანეთის ნაცვლად 4 აბაზი, თივა – 2 აბაზის ნაცვლად 1, ბზე – 6 შაურის ნაცვლად 4).

სოფლის კანცელარიაში ვერ აღმოვაჩინეთ მამასახლისი, იქაურმა მწერალმა გვაცნობა, რომ ცოტა არ იყოს, მიუდგომელის ნასოფლარის, „ხორბუკის“ ტერიტორიაზე გასული თივის ზვინების მისახედადო. აქ ფელდფებელმა მერცმა მართებულად შენიშნა, მიუდგომლობას ნუ შიშობსთ, სადაც ირემიც კი ვერ გაივლის, რუსის სალდათი გააღწევსო. წავედით და ბევრი ვეძებეთ იმ ნასოფლარის ტერიტორია, მაგრამ სულ სხვა ნასოფლარის, სახელად „მოლავის“ ალაგებში მოვხვდით.

დაღლილები რომ დავბრუნდით კანცელარიასთან, მამასახლისი კიდევ არ გამოჩენილიყო და ამიტომ მახლობლად მდებარე

სამკოდაანთ დუქანს (ძმები მუჯირიშვილების, კოსწია და კოლია) მივაშურეთ სადილისთვის, რადგან, მოგესხენებათ, ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დასდგება.

სუფრას რომ გვიშლიდნენ, დუქანში შემოვიდა ვიღაც თვალებბრიალა ჩოხიანი კაცი ჩიბუხის თამბაქოს საყიდლად, რომელიც მედუქნემ გაგვაცნო როგორც რაზიკოვი ლუკა პავლოვიჩი, ადგილობრივი მასწავლებელი და უცხო მესტიხე, ტფილისის გაზეთებშიც ბეჭდავს ლექსებსაო.

ფელდფებელი მერცი სიამოვნებით გაიბადრა, მეც მიყვარს ხელოვნებაო, მერე უბისჯიბიდან ამოღებული ქაღალდი გაშალა და აჩვენა იმ ნახატის რეპროდუქცია, სადაც 1882-ში სააღლუმო ფორმაში ჩაცმულ გრენადერად გამოსახა დიდმა ფერმწერმა ადოლფ იოსებოვიჩ შარლემანმა, მერე კი სუფრაზეც მოიპატიჟა.

მესამე იყო თუ უფრო მეოთხე ჭიქაზე, კარგად ველარ ვისხენებ, ფელდფებელმა მერცმა სიამაყით წამოსთქვა ეგზარხოს პავლეს სადღეგრძელო და იქვე შენიშნა, რომ ეგზარხოსმა ძალიანაც მართებულად შეაჩვენა ადგილობრივი ბუნტოვშიკი ხალხის სასულიერო სემინარიის რექტორის, პავლე ჩუდეცკის მკვლელობისთვის, რადგან აქაურები მეტწილად სულ ინსურგენტები არიან და იმედია, მასწავლებელი არ მიეკუთვნება მათ რიცხვს, ამიტომ ისიც შემოუერთდება ამ სადღეგრძელოსაო. სანამ შევეკითხებოდით, იქვე აგვისნა, რომ „ინსურგენტი“ ლათინურია და ნიშნავს მეამბოხეს, მოღალატესა და ყაჩაღსო.

იმ თქვენის აწ განსვენებულის სასულიერო სემინარიის რექტორის ცოლი რომ საყვარლადა ჰყავს, იმ ეგზარხოს პავლეზე ამბობთო? – ყასიდად განიკვირვა რაზიკოვმა. – წინააღმდეგქრისტეს რჯულისა რომ დაწყევლა მთელი ქართველი ერიო?!

დაგწყევლათ და სწორადაც მოიქცა, რადგან ველურები ხართ და ძაღლის ენაზე ლაპარაკი ვერ მოიშალეთო, – დაუბეჯითა განაწყენებულმა ფელდფებელმა მერცმა.

მაშინ რაზიკოვმა წამოდგომა შესთავაზა.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მოგესხენებათ, ფელდფებელი მერცი სიმაღლით ორი არშინი და თორმეტ-ნახევარი ვერშოკია (როგორც ეს წერია კიდეცა შარლემანის ზემოთხსენებულ ნახატზე) და მისთვის სილის გაწვნა იოლი არ უნდა იყოს, მაგრამ, როგორც სჩანს, კრივში ნავარჯიშემა მასწავლებელმა ჯერ გულის კოვზთან უთავაზა მუშტი და მეტოქე რომ წელში მოიხარა ტკივილისგან, მაშინ ისეთი ძალით გააწნა სილა, თითქოს ლამის სიჩუმეში კარაბინმა დაიქუხაო, რის შემდეგაც ფელდფებელი მერცი სკამზე დავარდა და სახე რომელიღაც ადგილობრივი კერძის ახლად შემოტანილსა და ჯერაც ცხელს მათლაფაში ჩაყო უნებურად, ხოლო მარცხენა ყურიდან სისხლიც წამოუვიდა.

ამასობაში კაშვევარმა ხრმალი იმიშვლა, მაგრამ რაკი არასამწყობრო ნაწილში მსახურობს და ფაფისა და ბორშჩის მოხარშვა უფრო ეხერხება, ჯეროვნად ვერ გამოიყენა იარაღი, რადგან რაზიკოვმა ხელზედ უტაცა მარჯვენა ხელი, ხოლო მარცხენით იმასაც მჭახე ალიყური აჭამა, მარცხენა ყურიდან სისხლის წამოსვლითა და გმინვის თანხლებით.

მე არყის ბოთლი იმ ანგარიშით მოვუქნიე არაკეთილმოსურნეს, რომ თავში ჩამერტყა დათხლეშვით, მაგრამ ხელი ამიკრა, ბოთლი

მხარში მოხვდა, რამაც დიდი არაფერი დაუშავა, რაკი თავით გამამტკრევინა დუქნის ფანჯარა. კიდეც კარგი, ბოხობი მეხურა, თორემ უარესად დავმავდებოდი გარეთ, მიწაზე დაცემისას. გარკვეული დროის შემდეგ, დუქანში რომ შევბრუნდი, იქ შექმნილიყო ერთი აურზაური, ვაი-უშველებელი და არეულობა, მედუქნეები კოსწია და კოლია მოჩხუბართა დაშოშმინებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ამიტომ როდის მოხვდა მტრის სილა, ვერ მოგახსენებთ, თუმცა ისეც რომ არ გამოსულიყო, რომ ჩვენის სახელგანთქმულის, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეცამეტე ერევის პოლკის სამი აფიცერი გალახა ვიღაც კრამოლნიკმა. სამივენი ვცემდით მეტოქეს, სანამ ზემოთხსენებული მედუქნეები გაგვავლელდნენ ამ დროს დაბრუნებული მამასახლისისა და მისგან მოყვანილი რამდენიმე გლეხის მონაწილეობით.

ბოლოს, სანამ ცხენებზე შევსხდებოდით მანგლისში დასაბრუნებლად, მამასახლისმა გვიჩიო, რომ ამ ყოვლად უმსგავს მასწავლებელ რაზიკოვზედ საჩივარი შეგვეტანა სოფელ პრიუტის ბოქაულთან, რომელიც ამ ჩვენი კაშვევარის ძმა არის.

აი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ამით ამოიწურა ეს ინციდენტი და ამჟამად ჰაუპტგახტში ერთი კვირით დაპატიმრებული ვარ და ველოდები თქვენს გადაწყვეტილებას, ვუჩივლოთ თუ არა იმ მასწავლებელს, რომელიც ნილილისტი და მთავრობის მოწინააღმდეგე ყოფილა.

მანგლისი, 1887 წლის 15 ოქტომბერი

მინაწერი პოლკოვნიკ სტოლიცა კონსტანტინ აკიმოვიჩის ხელმოწერით:

„ამ შემთხვევაში ჩვენი პოლკის არასამწყობრო ნაწილში სამსახური თავის მართლებად არ გამოდგება. სირცხვილით როგორ ვიჩივლოთ, რომ ვიღაც მასწავლებელმა ჩვენი სამი ოფიცერი გალახა?! სამივეს ჰაუპტგახტში თითო კვირიან პატიმრობაზე კიდეც დაემატოს თითო კვირაც და იქიდან გამოსვლის შემდეგ იძულებით დაენიშნოთ სამწყობრო ოფიცრებისთვის განკუთვნილი ფიზიკური და სამხედრო ვარჯიშები, სრულის პროგრამით!“

11.

წ.კ.გ. საზოგადოების გამგეობა

თონეთის სკოლის მასწავლებელს, ლუკა რაზიკაშვილს შეტყობინება

თქვენზე არასასიამოვნო ამბები მოგვდის. ჩივიან, რომ ხალხს მკაცრად ეპყრობით, ლანძღავთ, აგინებთ და ვითომ სცემთ კიდეცა. თუ მასწავლებელმა თავის ხასიათი და ყოფა-ქცევა არ დაიშალაო, – გვითხრეს მანდედამ ჩამოსულმა მომჩივრებმა, – ერთი რამ შფოთი და უბედურება მოხდება ჩვენსა და იმას შორისო. ყმაწვილებიც აღარ დაიარებიან სკოლაში, სულ ზუთიოდ შეგირდილა დადისო: ყმაწვილებს ცუდად ექცევა, და ისინიც სულ დაფრთხნენ და სკოლაში აღარ დაიარებიანო.

გთხოვთ, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ, ნამდვილია ეს ამბები თუ ცილისწამება.

თქვენ თითონაც ხომ კარგად გესმით, რომ თუ მასწავლებელსა და სოფელს შორის განხეთქილება და უსიამოვნება სუფევს,

მაშინ მასწავლებელს იმ სკოლაში აღარ დაედგო მება. ამიტომ, თუ მაგ სოფელში დარჩომა გაქვთ სახეში, ეცადეთ, რომ ყველა ეს ცილისწამება თავიდან აიცილოთ და გამართლდეთ, და აგრეთვე მოახერხეთ, რომ ხალხის სიყვარული მოიპოვოთ და ყოველგვარი უსიამოვნება და განხეთქილება მოსპოთ.

საქ. მწ. ი. მანსვეტაშვილი
27 ნოემბერი, 1887 წელი

12.

ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელ
საზოგადოების გამგეობას
თონეთის სკოლის მასწავლებლის
მოხსენება

გამგეობის მოწერილობა 27 ნოემბრიდან მივიღე. რაც დაგს-მენიათ, ჭორი და სიცრუეა. გამგეობამ კარგად უწყის, რომ ამ ერთი თვის წინათ ჩემს სკოლას დაჰხედა გამგეობის მდივანმა, ბ-ნმა მანსვეტოვმა, ხალხიც დაიბარა და ჰკითხა ჩემი ავი და კარგი. ხალხს ერთხმად კარგის მეტი ჩემზე არა უთქვამს რა.

ეხლა, თუ გამოჩენილან ვინღაც დიაკვან-მამასახლისები და ავრცელებენ ჩემზედ ჭორებს, ეგ იმათი საკუთარი ინტერესის გამო გახლავს და არა ჩემის მიზეზით. რა აწუხებს პირველს და მეორეს, აქ მაგის მიზეზს საჭიროდ არა ვრაცხ, გამოვაცხადო.

ჩემს სკოლაში დღეს 40 შეგირდი სწავლობს. მეტი ადგილი არც კი არის. თუ „ხუთიოდე“ შეგირდის მეტი არა მყავს, მაშ, რის მუშა ვარ? ნუთუ 300 მანათია თავი და ბოლო ჩემის კაცობისა და სხვა არაფერია? არ ვიცი, ღმერთმანი, რაღა ვსთქვა?!

გამგეობას ჩემი მასწავლებლობა სწორედ საჭიროდ გაუხდა. იმასაც აღარ კითხულობენ, ვინ არის ეს მომტანი ენისა, რა აწუხებს, რა სტკივა – სწუხდებიან თვითონაც და მეც მაწუხებენ. უმორჩილესად ვსთხოვ გამგეობას, თუ ჭორი სიმართლედ მიაჩნია, მეორე დღესვე მიღებისავე ამისა, გამოგზავნოს კიდეც სარწმუნო პირი და ადგილობრივ ნახოს საქმე.

დიდ-თონეთის მოსახლეობას 1200 სული შეადგენს. დიდი და პატარა, ყველა დაიბაროს და იკითხოს. თუ ერთმა, გარდა მამასახლისისა და მის ცოლისძმის მთავრისა, ჩემზედ ცუდი სთქვას, მაშინ მე უარს ვყოფ ჩემს ხელობას და ვიტყვი, რომ არა ვვარგებულვარ არც კაცად, არც მასწავლებლად. და თუ საზოგადოება, დღეს ასე ვხედავ საქმეს და სწორედ ესეც არის, მეტყვის – შენზე კარგი მასწავლებელი არ გვინდაო, მაშინ მე დავრჩები ჩემს ხელობაში.

ჯერ ღმერთი არ ასიამოვნებს ყველას და მე როგორ ვასიამოვნო კაცუნა-არაკაცებს, რომლებიც მე პირად უსიამოვნობას მაყენებენ და სკოლასაც ძირს უთხრიან?

ესენი გახლავან ეს პირნი და ჭორებიც ამათგან იქმნება. ამათ მთელი სოფელი უჩივისთ, და ნუ გაგიკვირდებათ, ამათაც ჩემზედ ჭორები ავრცელონ თავის შემოჩენილი კაცების პირით. ეს კი არა, უფრო სამადლო საქმეს იზამდა გამგეობა, რომ თონეთის საზოგადოებას ჩამოაცილებდეს ეხლანდელს მამასახლისს. ამისათვის დიდი შრომა არ დასჭირდება, მხოლოდ სთხოვოს თბ. მზრის უფროსს, ბ-ნს ჩოლაყაშვილს, რომლისთვისაც აქაურ მამასახლისზე მე რამდენიმე საჩივარი მიმიწერია შარშან და წელსაც, რომ გადააყენოს იგი და ჩა-

აბაროს სხვას ვისმეხელობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამითი მეც ბევრს უსიამოვნებას ამაცილებთ, სკოლის საქმეც უკეთესად წავა და ჭორებსაც ბოლო მოელება.

2 დეკემბერი, 1887 წელი

13.

მის ბრწყინვალეობას, ბატონ ილია ჭავჭავაძეს
(გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს)
დიდი თონეთის სოფლის საზოგადოების მოსამართლეების –
გიორგი გოგიშვილის, სოლომონ მჭედლიძის – და
მამასახლისის დიმიტრი შავშიშვილის
არზა

აღნიშნული სოფლის მცხოვრებთა შვილების სასწავლებლად თქვენს მიერ გამოგზავნილია მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი. ეს კაცი თქვენი ბრწყინვალეების მიერ გამოგზავნილია შეგირდების აღსაზრდელად და გასანათლებლად; მაგრამ თქვენი ბრწყინვალეების კეთილშობილი მიზანი ვერ განხორციელდა, იმის გამო, ჯერ ერთი, რომ იგი მთელ თავის პირად დროს უთმობს ნადირობას და სხვადასხვა პირად სიამოვნებას და მეორეც, ეს ადამიანი იმდენად დესპოტურად ექცევა შეგირდებს, რომ ძველი, ყოფილი მასწავლებლის დროს არსებული 70 მოსწავლიდან ახლა შემორჩა სულ რაღაც 5 თუ 6 სული, აქედან მარტივად დაინახავს თქვენი ბრწყინვალეობა, რამდენად სარგებლობა მოაქვს მას საზოგადოებისათვის, პირიქით, მთელს სოფელში სახელი აქვს გავარდნილი, როგორც მთელის საზოგადოების მეამბოხეს, ყველა სიავის წამომწყებსა და სკანდალისტს. მის ყოველდღიურ მუქარებს, მოუსპოს ყველას სიცოცხლე, ადგილობრივი მცხოვრებლები მოთმინებიდან გამოჰყავს, რასაც, რასაკვირველია, შეიძლება იოლად მოჰყვეს მსხვერპლი. მსგავსი სუბიექტი არ არის საზოგადოებისთვის სასარგებლო, არამედ, პირიქით, აღსაზრდელების ჭირი და საწამლაია. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ბ-ნ კავრიევს თხოვნით, მოემართა თქვენი ბრწყინვალეებისთვის, რათა შეგვეცვალა იგი, დაგენიშნათ ვინმე უფრო მოაზროვნე კაცი, რომელიც მეტ სარგებელს მოიტანდა. არავისაც არ უნდა სასწავლებელში წასვლა, რადგანაც ამ დესპოტს უფროთიან. ეს ყველაფერი არაფერია იმასთან, რომ ის მცხოვრებთა შორის ქმნის ბუჩქსა და სკანდალს და მოსახლეობის რომელიმე წარმომადგენლისგან სულ მცირე წინააღმდეგობაზე, ის ხანჯალს იშოშვლებს და ოღონდაც პირველივე შემხვედრს თავი მოაჭრას. ერთის სიტყვით, მისი ამგვარი საქციელების უამრავი რაოდენობაა, რომლებზეც ზედმეტად მიგვაჩნია გაცნობით.

ვაცნობებთ რა ამას თქვენს ბრწყინვალეობას, უმორჩილესად ვთხოვთ, შეცვალოთ იგი! მის მაგივრად დანიშნოთ ვინმე სხვა, სარგებელს რომ მოიტანდა და აღზრდიდა ბავშვებს, რომლებიც აქამდე ველურებად რჩებიან.

დიდი თონეთის მამასახლისის დიმიტრა შავშიშვილი

დიდი თონეთის სულია გიორგი გოგიშვილი,
სოლომონ მჭედლიძე და დასმითა ბეჭდისათა (დასმულია
სამი ბეჭედი, ორი მოსამართლის და ერთი – მამასახლისის)

11 იანვარი, 1888 წ.

ქ. ტიფლისი

14.

ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელ
საზოგადოების გამგეობას
დიდ-თონეთის სკოლის მასწავლებლის
ლუკა რაზიკაშვილის
მოხსენება

თონეთის მამასახლისის შემოუტანია ჩემზედ საჩივარი გამგეობაში. დასამტკიცებლად იმისა, რომ იგი ცილს მწამებს, შემოძლიან მივმართო გამგეობის ყურადღება იმ შემთხვევაზე, რომლის მოწამეც მეყიყავი 19 იანვარს 1888 წლისას. დიდ-თონეთის საზოგადოებამ წარუდგინა ტფილისის მაზრის უფროსს განაჩენი იმაზე, რომ დაეთხოვნათ მამასახლისობიდან დიმიტრი შავშიშვილი, პირადად 50 კაცი წარსდგა მაზრის უფროსთან. თუ რომ ჩემზედაც ჰქონდათ საჩივარი, განა არ შეეძლო ამხალხს გამგეობისთვის მოეხსენებინა ჩემი ურიგო ყოფა-ქცევა?

1888 წ. იანვრის 21

15.

წ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის
მიმართვა

დ. თონეთის სკოლის მასწავლებელს, ლუკა რაზიკაშვილს

საზოგადოების გამგეობამ მოისმინა მამასახლისის საჩივარი და შენი პასუხი ამ საჩივრის გამო, მაგრამ, რადგან გამგეობას სურვილი აქვს, მსვლელობა მისცეს ამ საქმეს, მაზრის უფროსს ყველაფერი შეატყობინოს, ამიტომ საჭიროდ დაინახა, მოგთხოვოს უფრო დაწვრილებითი პასუხი.

საქმეთ მწარმოებელი ი. მანსვეტაშვილი
4 თებერვალი, 1888 წ.

16.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტს
დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლის
ლუკა რაზიკაშვილის
ახსნა-განმარტება

საზოგადოების გამგეობა ამა 1888 წლის 4 თებერვლის #7 წერილით მავალეს ახსნა-განმარტებას დიდი თონეთის ყოფილი მამასახლისის, დიმიტრი შავშიშვილის საჩივარზედ. ამ ჩივილის გამო ახსნა-განმარტება მესამედ მიწევს, თუმცა იგი არავითარი ყურადღების ღირსი არ არის, რადგან მასში (გარდა) შარისა და იმის მცდელობისა, რომ როგორმე მავნოს, არაფერი არ არის. თუკი საზოგადოების გამგეობა ეჭვებშია და ფიქრობს, რომ მე მართლაც მთელ დროს ვუთმოზ ნადირობას და სხვადასხვა პირად სიამოვნებებს, როგორც დიმიტრი შავშიშვილი მაბეზღებს, მაშინ ეჭვის გაფანტვის ყველაზე უებარი საშუალებების არის, რომ თავისი ერთ-ერთი წევრი მოავლინოს სარევიზიოდ, არ ერწმუნოს არც ჩემს სიტყვიერ თავის მართლებას, არც მხოლოდ სიტყვებით ბრალდებებს ჩემი მომჩივარისგან. სხვანაირად, სხვადასხვა შერიანებისა და ინტრიგანების ყალბი დაბეზღებების მეოხებით, მიწერ-მოწერასა და ჩემსა და გამგეობას შორის წარმოქმნილს

გაუგებრობას დასასრული არ ექნება. იმ პუნქტის უარსაყოფად, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს მე ისე დესპოტურად ვექცევი ბავშვებს, „ძველი“ მასწავლებლის დროს არსებული 70 სულიდან დღეს 5-6 სული დარჩა, მე ვიტყვი შემდეგს: პირველი მასწავლებლის დროს შეუძლებელი იყო 70 მოსწავლე ყოფილიყო იმ მიზეზის გამო, რომ თონეთის სკოლას გააჩნია მხოლოდ 15 მერხი, თითოეული მერხი მოწყობილია 3 ბავშვზე, აქედან გამომდინარე, თუნდაც ყველა ვაკანსია შეივსოს, სულ გამოვა 45 (15 X 3), ხოლო მე ამჟამად მყავს 40 შეგირდი. ჩემი წინამორბედის საკლასო უურნალოდ არ ჩანს, რომ მისი მოსწავლეების რიცხვს გადაეჭარბებინოს 42-ისთვის. იმ პუნქტებზე, სადაც ლაპარაკია, რომ მასწავლებელი მეამბოხება, და ამის მსგავსი რამეები, მე ზედმეტად მიმარჩნია, მოგცეთ რაიმე ახსნა-განმარტება...

ჩვენ შორის რომელია დამნაშავე საზოგადოების წინაშე, მე თუ მამასახლისი, ეს უკვე გაირკვა მიმდინარე წელს, 26 იანვარს, ტიფლისის სამაზრო უფროსის თანდასწრებით, რომელიც გუბერნატორმა მოავლინა პოლიციური მოკვლევის საწარმოებლად და მამასახლისი დიმიტრი შავშიშვილის თანამდებობიდან მოსაშორებლად, თანახმად დიდი თონეთის საზოგადოების საჩივრისა. მამასახლისმა ვერ იმსახურა ვადამდე და შეიცვალა ხმათა უმრავლესობით – 140 ხმა 4-ის წინააღმდეგ. ვფიქრობ, ამ ფაქტს ბევრი რამის თქმა შეუძლია იმ აზრის სასარგებლოდ, რომ მასწავლებლის წინაშე ისევე სცოდავს მომჩივანი, როგორც საზოგადოების წინაშე აღმოჩნდა იგი შემცოდველი და დამნაშავე.

1888 წ. 9 თებერვალი

მესაქენაწილი: ALLA TURCA

17.

ქ. შ. წ-კ. გ. საზოგადოების გამგეობის მიწერილობა
თონეთის სკოლის მასწავლებელს

გამგეობის გადაწყვეტილების ძალით, ერთი წევრი გამგეობისა დაესწრება ეგზამენებზე თქვენდამი რწმუნებულ სკოლაში, ამიტომ გთხოვთ, ვიდრე ხსენებული წევრი არ მოვიდეს, ყმაწვილები არ დაითხოვოთ და არც ეგზამენები მოახდინოთ.

საქმ. მწ. ი. მანსვეტაშვილი
15 მაისს, 1888 წ.

18.

მოკლე მოხსენება წ.-კ.ს. გამგეობისადმი
დიდი თონეთის სკოლის შესახებ, რომელიც მე
დავათავალიერე 7-ს თიბათვეს ამა 1888 წ.

თუმცა გამგეობამ მასწავლებელს ბ. რაზიკაშვილს წინადაც აცნობა, მოეცა და ბავშვები საზაფხულოდ არ დაეთხოვა, მასწავლებელი სკოლაში ვერ ვპოვე და ამის ნამდვილი მიზეზიც ვერ შევიტყვე.

შემდეგ მამასახლისის შემწეობით შევკრიბე ცოტაოდენი შეგირდები: დავსხი ეს შეგირდები, გამოვკითხე, გამოვცადე ყველა საგნებიდამ და აღმოვაჩინე, რომ:

1) წლის განმავლობაში მეოთხე განყოფილება არ ყოფილა სკოლაში; 2) არ ყოფილა სრულიად ნასადილე სწავლება; 3) სამლო სჯული მეტად სუსტად იცინა ბავშვებმა ყველა განყოფილებაში; 4) პირველ განყოფილებაში ბავშვები ჩათვლით კითხულობენ ქართულს; სუსტად კითხულობს აგრეთვე მეორე განყოფილების მომეტებული ნაწილი. ჯეროვნად ვერა კითხულობენ ლექსებს ყველა განყოფილებაში: არ ახსოვთ კარგად ზეპირად, საიდანაც სჩანს, რომ არ უმეორებიან ნასწავლი; ლექსების კითხვაში ჩქარობენ, მიუხედავად დასვენების ნიშნებისა და აზრისა; 5) არითმეტიკა სუსტად იცინა ყველა განყოფილებაში: პირველ განყოფილების შეგირდებმა სრულად არ იცინა, მაგალითად, თვეს რამდენი დღე აქვს და გირვანქას რამდენი მისხალი, მეორისაში კი ამბავად მიპასუხეს - თვეს 21 (ერთმა), 25 (მეორემ) და 28 (მესამემ) დღე აქვსო და 500 (ერთმა), 200 (მეორემ) მისხალი აქვს გირვანქასო; მეორე განყოფილების შეგირდებმა ვერ გაჰყვეს რიცხვი 30 ხუთთანასწორ ნაწილად და სხ.; 6) საწერი სავარჯიშო უფრო ძლიერად ყოფილა სამწუხარო მდგომარეობაში. არითმეტიკის ამოცანების რვეულები სრულიად არავის ჰქონდა; ბავშვებმა მითხრეს, ამოცანები მთელი წლის განმავლობაში არ გვიწერიაო; პირველ განყოფილებაში მთელი წლის განმავლობაში ხატვა არ ყოფილა, მეორეში - მცირედ. სხვადასხვაგვარ საწერ სავარჯიშოთაგან მხოლოდ ერთი ფორმა - გადაწერა (წიგნითგან) ყოფილა სკოლაში. გადაწერილიც ძლიერ ცოტა სჩანს და ამასთან ყველა რვეულებში მხოლოდ ერთ ადგილას შევნიშნე, რომ მასწავლებელს ორიოდე ასო გაესწორებინა, დანარჩენი ხელუხლებელია, რის გამოც ქართული წერა ცუდს მდგომარეობაშია; 7) სოფლის მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი უჩივის მასწავლებლის მოქმედებას სკოლის გარეშე და ჰსურს, რომ იგი გადაყვანილ იქნას სხვაგან.

ამასთანვე ვაცნობებ გამგეობას, რომ დაწვრილებით ცნობებს და ანგარიშს რევიზიისას წარმოვადგენ მოკლე ხანში.

გამგეობის წევრი ალექსი მირიანაშვილი
10-ს თიბათვეს 1888 წ. ქ. თბილისი

19.

ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელ
საზოგადოების გამგეობას
დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლის
ლუკა რაზიკაშვილის
მოხსენება

გამგეობის წევრთა შორის გავრცელებულა ჩემზედ უცხო და არასასიამოვნო ამბები: 1) ვითომ არაფერი მესწავლებინოს მოსწავლეთათვის და 2) მქონდეს დიდი განხეთქილება თონეთის საზოგადოებასთან. რადგანაც ეს მართალი არ არის, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, გამოვუცხადო პატივცემულს გამგეობას, რომ დანიშნოს კომისია საქმის გამოსარკვევად და გასაგებად, ორი-სამის კაცის საჩივარს ყური არ უგდოს - იმ კაცებისა, ვისიც სკოლაში არავინ სწავლობს, ჯერ ერთი, და მეორე იმიტომ, რომ ისინი არიან დამცარავნი სოფლის და სკოლის საქმეებისა. ბ-ნი მირიანაშვილის რევიზია უნდა უკანონოდ ჩაითვალოს, როგორც ჩემს დაუსწრებლად

მომხდარი. აზრი ბ-ნი მირიანაშვილისა ჩემი მოქმედების შესახებ არ არის საყურადღებო, რადგან მირიანაშვილი ჰსტუმრებია ჩემს მომჩივარს, რომლისგანაც სიმართლეს ვერა დროს ვერ შეიტყოდა. შეგირდები მე დავითხოვე პირველს თიბათვეს, რადგან ყვავილით ხდებოდნენ ავად და ვგონებ, ესრეთი მოქცევა ჩემის მხრით უკანონო არ უნდა იყოს. ორ რიგად ყმაწვილების სწავლება არ მოხერხდა, ამბავ თავის დროზე კიდევ ვაცნობე გამგეობას, მაგრამ მდივანმა სთქვა, არ მიმიღიაო. მოვითხოვე რვეულები განყოფილებისთვის და არ მომივიდა, რის გამოთაც შეგირდებს მთელი ერთი თვე არაფერი დაუწერიათ რვეულებზე. ვიკითხე მიზეზი და იგივე პასუხი მივიღე. გამოვგზავნე სკოლის ანგარიში, არც ის მიუღია კანცელარიას. რადგანაც ყველა ის მოწერილობანი, რომელზედაც ბედ-ილბალი სკოლისა დამოკიდებული იყო, გაქრნენ უნუგემოდ, ამიტომ ეხლანდელს ჩემს მოხსენებას ვაგზავნი ბ-ნი იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის სახელობაზე და ვითხოვ, წაკითხულ იქნას გამგეობის სხდომაზე.

თუ პირობა, რომელსაც მე ვუსახავ გამგეობას თავის გასამართლებლად, ე.ი. კომისიის დანიშვნა, ასრულებული არ იქმნა, მაშინ მე მეცოდინება, დავრწმუნდები, რომ გამგეობას ორის წლით დაუვნიშნავარ მასწავლებლად, ვადა გავიდა და უნდა ავიბარგო; რასაც ამბობენ და რასაც ფიქრობენ ისინი, უნდა გაიყიდოს ჭეშმარიტებისა და სიმართლის ფასად.

1888 წ. 21 თიბათვე

გადაწყვეტილება გამგეობისა გთხოვთ, მაცნობოთ ამ ადრესით: (რუსულად) სოფელი თიანეთი, თიანეთის სამაზრო სამმართველო, ლუკა რაზიკაშვილისთვის გადასაცემად.

20.

მის ბრწყინვალეობას, თავადს ილია ჭავჭავაძეს
დიდი თონეთის საზოგადოების
თხოვნა

ჩვენ, ამის ქვემოთ ხელის მომწერელთ, დიდი თონეთის საზოგადოებამ, შევიტყვეთ, რომ ჩვენს მასწავლებელზედ ლუკა რაზიკაშვილზედ მიზეზი მიუტანია მთავრობასა. რადგანაც ჩვენ, მთელ თონეთის საზოგადოებას, გვსურს ლუკა რაზიკაშვილი ისევ მასწავლებლად, არაფერი დანაშაული არა აქვს სოფელთან სიკეთის მეტი და არც სკოლის შეგირდებთან. ჩვენ ამბავედ უკეთესი მასწავლებელი არ გვინდა და წერა-კითხვის გამგეობასაც ვსთხოვთ, ჩვენი თხოვნა მიიღოს. თუ ერთი-ორი კაცი უჩივის ჩვენს მასწავლებელს, საზოგადოებასთან იმათ საქმე არა აქვთ.

ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალეობას, ჩვენი თხოვნა მიიღოთ და ყურადღება არ მიაქციოთ მასწავლებელზედ მოჩივარ და სოფლის ამრევ კაცებსა, რომელზედაც ხელს ვაწერთ ჩვენ, დიდი-თონეთის საზოგადოება.

(შემდეგ მოდის 80 ხელის მოწერა, ბოლოს დოკუმენტს მიწერილი აქვს შემდეგი):

რადგანაც წერვა არ იცოდნენ, მათის თხოვნით და ხელ ჩამორთმევით ხელს ვაწერ დიდი თონეთის ეკლესიის მთავარდიაკვანი ვასილ ზაქარევი.

(ამის შემდეგ ზემოხსენებულ პირთა სიას საკუთარი ხელის მოწერით მიმატებულია 3 ხელის მოწერა): ზაქრო ლონდარიძე, ივანე მჭედლიძე და ისაკა სარდლიშვილი.

(დაბოლოს, მიწერილი აქვს): ამ ხელის მომწერთ ვამტკიცებთ და ხელს ვაწერთ დიდი თონეთის მამასახლისი - ნიკო ბერუაშვილი.

ვამტკიცებთ დიდი თონეთის საზოგადოების სუდიები: პავლე გოგიჩაშვილი სახელმწიფო ბეჭდის დასმით და სუდია სოლომონ მჭედლიძე.

(დასმულია ბეჭდები მამასახლისისა და მოსამართლეების)

ქ.შ. წ.-გ. საზოგადოების გამგეობის დადგენილება:

არზა თონეთელებისა უყურადღებოდ იქნას დატოვებული. თონეთის სკოლის მასწავლებლად დროებით (18 ოქტომბრიდან) დაინიშნოს ივანე წიკლაური.

თ. ამხ. ი. მაჩაბელი.

წევრნი: გრ. ვოლსკი, ი. გოგებაშვილი, გ. იოსელიანი,
ნ. ცხვედაძე, ალ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი
20 სექტემბერი, 1888

21.

ქ.შ. წ.-გ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთა
მწარმოებელს,
ბატონ იაკობ მანსვეტაშვილს
სოფელ დიდი თონეთის სკოლის მასწავლებლის
ივანე წიკლაურის
მოხსენება

ამა წლის შობას ისე რა გამახარებდა, როგორც ის ოთხცხენიანი დილიჟანსი, სამმანათად და ხუთ შაურად რომ დაიარება ტფლისის სოლოლაკის ქუჩაზედ მოთავსებულ გევორიკ საკაიანცის საკონ-დიტროდან მანგლისამდის, რომლითაც დიდ თონეთში ჩამოვიდა ვაჟა-ფშაველა, იგივე ლუკა რაზიკაშვილი, ჩემი უფროსი მეგობარი გორის საოსტატო სემინარიიდან. მიკითხვა-მოკითხვის მერე წაყოლა მთხოვა ყოფილ მამასახლისთან შესარიგებლად და იმანაც – რახან მის ბრწყინვალეობას, კნიაზ ჭავჭავაძეს უსურვებია, შეგირიდებო, მაგრამ ერთი ალიყური მაინც ხომ გმართებს ჩემიო, – და ეშმაკური ლიმილით ხელი ჩამოართვა წარბებზეკრულ ლუკას. იგივე განმეორდა ეკლესიის მთავართანაც და მოსამართლეებთანაც.

ამის მერე ერთი გაკვეთილის ჩატარება მთხოვა და ისე გამოვი-და, სიზმარს გამოემგვანა ეს ამბავი, საშობაო სიზმარსა. საკლასო ოთახში შეკრებილ სამივე განყოფილების 41 მოწაფეს (სამმა ვერ მოახერხა მოსვლა ავადმყოფობის გამო) თან წამოღებული საჩივ-რები წაუკითხა, გააცნო მისი სკოლიდან დათხოვნის საქმის ვითა-რება. ამას რომ მორჩა, თქვა: თუ ვერაფერი გასწავლეთ, მდოგვის მარცვლებო, ახლა მაინც გასწავლითო და მარტო თქვენ კი არა, მთელ სოფელ-ქვეყანასაცო. მერე ამაყად გადახედა შეგირდებს და იმათ უკან ჩამომდგარ მშობლებსა თუ სხვა დაინტერესებუ-ლებსაც, ჩოხის უბიდგან ამოიღო გაზეთ „ივერიის“ ამა წლის 13-14 დეკემბრის ნომრები, სადაც მოთავსებულია მისი პოემა „ალუდა ქეთელაური“.

ორი წელიწადი ხომ მე გიწერდით ნიშნებსაო, – შეგირდებს მიჰმართა ლუკამ, – ახლა კი თქვენ იქნებით მასწავლებლები, აი, ამ ჩემს ნამუშევარს წაგვიტხავთ, მერე ჩამოვატარებ და ყველამ თქვენი შეფასება უნდა დამიწეროთო.

შემდეგ გამოთქმით წაგვიკითხა „ალუდა ქეთელაური“. ამას რომ მორჩა, მართლა გადააწოდა გაზეთები ბავშვებს. იმათ ჯერ ერიდებოდათ ნიშნების დაწერა, მაგრამ ლუკამ გაამხნევა, აქ არ გავესინჯავ ნიშნებს, სახლში ვნახავო, რის შემდეგაც მოწაფეებმა, რომლებიც აგრე მოულოდნელად შეიქმნენ მასწავლებლები, თავ-თავიანთი ნიშნები დაუწერეს ზედ გაზეთებზევე.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ ლუკას მიერ შეგირდებისთვის და-რიგებულს ხუთ კოლოფ შაქარყინულზე და საშობაო ქეიფზე, ამის მერე რომ ჰქონდა ადგილი. მხოლოდ იმასლა დავსძენ, რომ მეორე დილას ლუკამ „საზაფხულო თეატრის“ ორი ბილითი აჩვენა სკოლის დარაჯს, ალექსი გოგიშვილს და აუხსნა, რომ ეს იყო ბილითები მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინებაზე“ დასასწრებად და უნდა გამზადებულიყო, რადგან დაპატიუებული იყო. აღარც დარაჯის აცრემლებულს თვალეზე და მის ბუტბუტზე – მოცხარი-მოცარტი, მოცხარი-მოცარტო – მოგახსენებთ რამეს, რადგან იმ ბილითებმა მეც ამიწყლიანა თვალეები, ვინაიდან ალექსის ძრიელ უყვარს მუსიკა, მღვდლის სახლთან მიიპარება ხოლმე და აცრემლებული უსმენს მღვდლის ცოლის თამაშობას ფორტეპიანოზე და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფრანგულად ბუტბუტებს: Qu'est-ce que c'est la panta?

დილიჟანსს რომ ველოდებოდით სამეკოდაანთ დუქანთან, დათოვლილ სოფელს და სათოვლე ნისლში ჩაძირულ ალგეთის ხეობას დარდიანად გაჰყურებდა ლუკა. საით დასწუხდი-მეთქი, ლუკურნიკავ, საითა? – შევეკითხე. კარგა ხანს დუმდა და ბოლოს ესლა მითხრა: დავწუხდი ტირილისაკა, ცრემლი არ მეკარებისაო...

27 დეკემბერი, 1888 წ.

მინაწერი: „ივერიის“ რედაქტორს, ბატონ ილია ჭავჭავაძეს – თქვენის სახელით გატანებული თუ მან-ნახევარი ურიგოდ არ დახარჯულა, თავადლო.

იაკობ მანსვეტაშვილი
29 დეკემბერი, 1888 წ.





ილია ჭანტუჩია

მშვიდარ, გაკვეთილი იწყება

1.

ქალბატონ ნათია მასწავლებელს

მას, ბაჩი ბაჩი მუნდს ქუმაჩი მე მართლა არ დამიწერია კედელზე დედას ფიცავარ, მეგრული არ ვიცისაერთოდ დარანაირად დავეწერდი. ღირეცტორი რო შემოვიდა თქვენ გაკვეთილზე და რო თქვა რო კოკას დაწერილი იქნება ესო არაა მართალი. ღირეცტორი არ მოიტყუებდამას მარა, მე იმიტო ვეგონე რო როცა ჩვენთან ქონდა გაკვეთილი ერთხელ ეზოში დაჭერილი შველა ჩოფუდე შვაფში და მაგის მერე უზდელი ვგონივარ მარა, არ ვარ მას. დედას ჩიყვიჭირსო ექიმმა და ღირეცტორისგან რო გეიგოს ეგ ამბავი გაბრაზდება და გამლახავს მას და ამიტო გთხოვთ რო აუხსნათ ღირეცტორს ქალბატონ მზიას, იმიტო რო მე არ ვყოფილვარ და არ ვიცი მართლა ვინ დაწერა ეგ სიტყვები მას.

კოკა აბესაძე



ამ ბოლო დროს არც არავინ დადისო, ერთი მაიკოა და მისი მზახალი, მესამე კილო შენ და შენი რძალიო, მეტი არავინ საერთოდო, იმ მღვდელმა გაუწყალა ამათ საქმე, იმის ბრალია, იმწასაგებელისო. კუხნაში არიან დედაჩემი და ნანა, ჩვენი მეზობელი როა გვერდით, კოფეს სვამენ. მე აქეთ ვარო თახში, ქართულის წიგნი მაქვს გადაშლილი და ვერაფერს ვერ ვკითხულობ. თავიდან დაფვდები, ვითომ წაფიციოთხავ, მერეს უსხვარალაცები მახსენდება და მაგაზე ვფიქრობ, ხან აქეთ ამათ ლაპარაკს ვუსმენ. ღორონთით ქიინია მუდგარენ, დარიკო, ღმერთის ნებით იქნება რამეო, ნანა ამშვიდებს დედაჩემს. თენა ვამწანსიამა, არ მწამს მე მაგისო, უკვე კაი ხანიაო, დედაჩემმა. ეშმაკობას და დემონობას

მაბრალებს ეგ მღვდელიო, მჩხიბავიაო, ამბობსო, ვიცი მე ეს, მაიკოს მზახალია მაგის მრევლი და ეუბნება თურმეო, ვიცი ყველაფერიო, ერთი ამით ვშოულობ, ამით ვარჩენ ჩემს გაბოს, მოუკვდეს დედა, და მეორე კიდე კი იცი, ყოველ დილით და საღამოს რო მიწევს ზუგდიდში ჩასვლა, მატარებლის ლოდინი. პრავადნიკი არაფრით მიშვებს უკვე ზევით, ძა, წინათ ავდიოდი მაინც, ახლა ქვევით ვდგები და ისე ვყვირი: ლობიანი, ხაჭაპური, პერაშკი! მერე გავალ და მთელ ქალაქს დავივლი. ჩვენთან მაინც არავინ ყიდულობს და ზუგდიდში დავდივარ, მის მუშოთ ოკო სკან ნაცოდება ხაჭაპურ დო პერაშკ, ძა, ხვალე ბალანეფ იიდენა, მეტ ვარ.

ზის დედაჩემი და ყვება თავის ამბებს, ვის რად უნდა ჩემი ნაცოდ-ვილარი საქმელიო, ბავშვები თუ იყიდიან მართლო. ნანა ჩუმად ზის და პასუხს არ სცემს, უსმენს, მობეზრდება ამასაც და გავა ალბათ მალე. აბა, ამდენი ხანი ვილაცის გაჭირვებას რო უსმინო, ვერაა კაი საქმე. არც ნანა დადიოდა ამ ბოლო დროს ხშირად დედაჩემთან სამკითხაოდ, თავისი ბიჭი ჩამოუვიდა რუსეთიდან, ბიზმესმენი თუ რაცხაა მანდო, იქაურ მღვდლებთან მეგობრობს, ეკლესიურია სულ და რაც ჩამოვიდა, დედამისს ეუბნება, შეეშვიმაგ წიკვალ ქალთან სიარულსო, ვაშინერსია, არაა ქრისტიანულიო. მაიკომ უთხრა ეს ყველაფერი დედაჩემს, მაგიტოა რო ნანას კარგად დახვდა დღეს და რამეფრად თავი შეეცადო, გადმოულაგა თავისი საცოდავი ამბები.

მე წამით თავს ვანებებ ამათ მოსმენას, წიგნს ვშლი და ისე ვიწყებ კითხვას.

„და მეღანდება მე მის წიაღში –

მოხუცი მამა, მოხუცი მამა

სასხლავით ხელში დადის ვენახში“.



ვკითხულობ და ვერც ვერაფერს ვგებულობ. მამაჩემი მახსენდება მარტო, სადაა ახლა? საზღვართან რაც გაიტაცეს, აღარავის აღარაფერი გაუგონია. აღდგომის დილა იყო, წინა საღამოს მესაზღვრებმა საზღვრები გადაკეტეს, აღდგომა იყო და მამაჩემის საფლავთან უნდა მივიდო, აიტეხა. დედამ ვერ გადააფიქრებინა. მე არ გამიყოლა, ჩემი ბიძაშვილები გაიყოლა, უფროსები არიან ჩემზე. ენგურის ხიდს მოუარეს და მავთულებზე რო გადავიდნენ, მაშინ ნახეს მესაზღვრეებმა. სროლით ერთი-ორჯერ უსვრიათ. თუ დაგიჭირეს, ძირს გაგიგდებენ და ცემაში გაგხვევენ. გამოეკიდნენ მესაზღვრეები, ესენი გაიქცნენ მავთულებიდან. მამამ რო ნახა, რო ეწოდნენ და სხვა საშველი არ იყო, ესენი გაუშვა, უკან გამობრუნდა და ამათ შეეჩეხა, ჩემ ბიძაშვილებს დრო რო მიცემოდათ. ისინი გამოიქცნენ, მამა დარჩა, მერე არც არავის გაუგია მაგის ამბავი. აფხაზებს ყავთო ციხეშიო, ჯილაგარმა მოიტანა ამბავი წინათ. ეგ იქ დადის ხოლმე, იქაური პასპორტი აქვს და უშვებენ, პლანი გადმოაქვს ხოლმე აქეთ გასაყიდად, ციხეშია და ორ თვეში უშვებენო. მაგის მერე ორ თვეზე მეტი გავიდა, დედაჩემმა ადგილობრივ პარტიულებსაც მიწერა, სულ იქ დადიოდა, მარა პასუხი არავის განაა.

მთავარი სათქმელი, მთავარი სათქმელიო, სულ მაგას გვიჩინებდა მზია ფიფია. ახლა დირექტორია და ჩვენ არ გვასწავლის. რა მთავარი სათქმელი უნდა გამოვიტანო, არ ვიცი, მე ვერც ვერასდროს ვხვდებოდი ეგეთებს და ვერც ვიზუპირებდი, მაგის გამო მყავდა სულ ორიანები. დიასკანს ქუწინქია ირფელს, კეტითრექია ოლახარ, დედაშენს ვეტყვი ყველაფერსო, ჯოხითხარ საცემიო, მზია მეუბნებოდა, მე თავს ვხრიდი და გულში სულ დედას ვაგინებდი. ასეთი ქალია, ავი, ავი. მერე ცალკე დედაჩემის ყვირილი უნდა მესმინა სახლში.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!“

თავიდან ვიწყებ კითხვას, წამით დილა მახსენდება, ბავშვები ფეხშიშველები მინდორზე ფეხბურთს რომ ვთამაშობთ, მე თეთრი შორტი მაცვია, თამაშისას სულ მიმწვანდება ბალახით და ვიცი, დედა გამიწყრება, რეცხვით ამას ვერ ამოვიყვანო. კარგი ლექსია, მარა რაზეა, მაინც არ ვიცი, რა ბალახი და რა მამული. სკვამი ნათია გვეტყვის ალბათ შემდეგ გაკვეთილზე. ასე დავარქვით, ამ სემესტრში გადმოვიდა ჩვენთან, რატომ ან რისთვის, მართლა არ ვიცი, მარა პირველ გაკვეთილზე რომ შემოვიდა, ბიჭებს ყველას მოგვეწონა და სკვამი ნათია დავარქვით. ეგ იმიტო, რომეორე მასწავლებელიც გვყავს ნათია, ისტორიის, და ეგ ასაკიანია უფრო, ეს კიდეც ლამაზია, ამიტო სკვამი ნათია ერქვას-მეთქი. მაინც რა უნდა ასეთ ლამაზ გოგოს ჩვენს სოფელში, არ ვიცი. დედას ეცოდინება.

ძროხა მოვიდოდა და უნდა მოვწველო ახლაო, ნანამ, სულ გამომრჩა და უნდა წავიდეო. დედაჩემიც აქოთქოთდა, ჰო, ჰო, მოგაციდინე ნამეტანიო, მეც ქვეყნის საქმეები მაქვსო. ნანამ კოფეს ჭიქა გადადგა გვერდზე. ეს მერე იყოსო. დედამ გააცილა სტუმარი. მერე სახლში დაბრუნდა. „ეს მერე იყოს, ჰმ, დინაფილიშურ“, – ნანას სიტყვები დამცინავად გაიმეორა დედაჩემმა და ბოლოს მიაღწა. ოთახში შემოყო თავი - ისწავლეო? ჯერ არა, ცოტა დამრჩა-მეთქი, ხო იცი, მალე უნდა ჩამაბაროო, ონჯლორე ვაბძირათ თი ოსურწკუშავა, სირცხვილი არ გჭამოთ იმ ქალთანო, ახალი მასწავლებელია და თავი უნდა მოაწონოო, სკვამ ნათიაზე ამბობდა დედა.

2.

რალაც მოხდება და ყველა მაგას გაიძახის – კოკა, კოკაო, სულ მე შეიძლება რო ვიყო შუაში? ვერ გვეიგე, სულ მე ყველაფერი რაფერ უნდა დავაშავო? კაი, წინათ იყო, რო რაცხა ცუდები გამიცეთებია, გოგოებს უუვაჩებს მე ვაწეებდი თმებში და მასწების სკამზეც დამიძია. ისიც კაი, ქავჭავაძის სურათის უკან მე დავდე ტელეფონი, მერე შუა გაკვეთილზე დოვფურეკე და, მას, ილიას ურეკავენ, უთხარით აილოსთქვა, მარა მთელი კლასი ჰო გაგაცინე. აბა, მზია მარტო გვიბლევრდა სულ და რამით ჰო უნდა გამერთო ბავშვები? ახლაც შენ მიაწერე ბაჩი, ბაჩი, მუნდს ქუმაჩი გინდა თუ არაო, მე საერთოდ არც ვიცი მეგრული ნორმალურად. მერე მითხრეს ბავშვებმა, რო მუნდი ტრაკს ნიშნავს და ქუმაჩი კიდეც – მიკბინეს. მე აქაური არც ვარ, ქვიტირიდან ვარ და მანდ არ ვლაპარაკობდით მეგრულად ბავშვები და რანაირად მცოდნოდა? ორი წელია, რაც აქეთ ვარ, იმიზა, როსაზღვართან თუ სწავლობ, მერე უფასოდ ეწყობი უნივერსიტეტში და დედაჩემი აქაურია და შენი ამბავი რო ვიცი, ფული მექნება სახდელი, შე სასიკვტილეო, და გადმოვედით აქეთ მე და დედაჩემი ბაბუაჩემთან და ბებიჩემთან. თან მოხუცდნენ და მოვუვლიო, დედაჩემმა.

მოვიდა მზია, რაცხა უნდა ეცნობებინა ჩვენთვის. შემოსვლისას ყველა ფეხზე წამოდგა. ნამეტანი ფიცხი ქალია მზია და ეს რო ნახა მიწერილი კედელზე, დოუშვა და დოუშვა. ნათია მასწი გვითარებდა მაშინ ისტორიის გაკვეთილს. ეს კოკას გაკვეთებული იქნება, ამ ახლა შემოთრეულისო და მლანძღა და მლანძღა. ნათია მასწმა, მზია, მე მივხედავ ამ ყველაფერს, ნუ ბრაზდები და ნურც ილანძღები ასეო. შენ ნუ მასწავლი, ქალო, როგორ ვილაპარაკო, დოუბღვრა ამან. ნათია მასწი გაჩუმდა და ხმა არ გუჟიცია. მზია მე მომიბრუნდა, ახსნა-განმარტებით წერილს დამიწერ და ხვალ მომიყვან შშობელსო, გავიდა და კარიც გაიჯახუნა. გასვლის მერე ნათია მასწი ჩუმად იჯდა სკამზე, გაბრაზებული სახით იყურა კაი ხანი, პირველად გნაზე ასეთი ნაწყენი. ლიმილიანი და ბუნწულა ქალია ნათია მასწი, აი, ისეთი, მაგის გაკვეთილზე სულ ხმაური როა. სანამ კლასში შემოვა, ნამეტანს ვხვანცალებთ, შემოდგამს ფეხს და: „აბა, ახლა მშვიდად, გაკვეთილი იწყება,“ – გვეტყვის, მარა მოკალი და დამშვიდებით ველარ ვმშვიდებით. ნიშნებსაც ცუდს არ დავიწერს, ყველას აქებს, მთლა ზედმეტად არა, მარა ყველას რაცხა კარგს უპოვის.

მერე წამოდგა და დროზე გაკვეთილი ჩამაბარეთო, მე მომიბრუნდა და ყველაფერს დაწერ, რაც გააკეთე და ისე მომცემ წერილსო, მე მივუტან დირექტორსო. ვინც მოყვა გაკვეთილი, არცერთის არ მოეწონა. მე ხელს არ ვიწევდი, ჩემი კლასელი ნინოსი არ მოეწონა და ჩემზე მთლად გადაირევათქვა. როგორც ვთქვი, ხელი არ ამიწევია იმ დღეს, გაკვეთილის მერე წერილი დავეწერე, ვუთხარი ყველაფერი, დედაჩემმა რო გაიგოს აი ამბავი, გამლახავს, ექიმებმა დოუდგინეს რაცხა და ისეთი ავანტყოფობაა, რო აბრაზებს მაგრა. წერილი ნათია მასწს გადავეცი, სახლში თუ მოახერხეთ გადაავლეთ თვალი, თქვენც იცოდეთ, რა მოხდათქვა. თავი დამიქნია და ისე გავიდა რაცხაფრად, აი, ისე, ცივად, ცივად, ნამეტანი ცივად.



19 საუკუნეები

დღეს მეოთხე გაკვეთილი ჩავატარე სკოლაში. ჯერ მხოლოდ მეათეკლასელებს ვუტარებ. დირექტორმა დამიბარა და მომავლის გეგმებზე მესაუბრა. ძალიან ბევრი მაქო, შენაირი ლამაზი და ჭკვიანი ახალგაზრდები გვჭირდება ზუსტად სკოლაშიო, მითხრა, ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა რომ არა, გავუშვებდი ამ მოხუცებს და იმათ მოვიყვანდიო. მერე მკითხა, მაინც რატომ გადაწყვიტე აქეთ ჩამოსვლა, არაა მთლად დაცული ადგილი, კი იცი ახლა შენ ესო. მე ვუთხარი: თუ სოფელზე მეკითხებით, აქაური სიტუაციის შესწავლა მინდა, მინდა გავიგო, ხალხი როგორ ცხოვრობს, რა პრობლემები აქვთ და რა ამბების მოყოლა სურთ, მინდა, მასწავლებლობას ესეც შევუთავსო-მეთქი. ურუნალისტური ინტერესები გამომძრავებსო? არა მარტო ეს, მგონია, რომ ბავშვებთან მეგობრობა კარგად გამომდის და როგორც ჩემგან სწავლობენ ბევრს, ორჯერ მეტს მათგან ვსწავლობ-მეთქი. ამაზე გაცინა, რაებს იტყვით ზოგჯერ ეს ახალგაზრდებიო. უცნაური ქალია. მერე საუბარი კიდე გამიგრძელა, პირად ცხოვრებაზე მკითხა ბევრი, მაგრამ მე ძალიან ზედაპირულად ვუპასუხე, არ მომწონს, როცა ჩემი პირადით უცნობები ინტერესდებიან. მერე დავემშვიდობე და გამოვედი.

დღეს განსაკუთრებული გაკვეთილი გვექნოდა. ძალიან იმოქმედა ამ დღემ ჩემზე. გალაკტიონის ერთ-ერთ ლექსზე უნდა გვესაუბრა. როცა გაკვეთილი დაიწყო, ბავშვებმა ხელი აიწიეს, მე მოვეცევი, მე მოვეცევიო. მე ვუთხარი, არ არის საჭირო, ზეპირად ჩამაბარეთ, უბრალოდ ლექსზე მესაუბრეთ, რა მოგეწონათ, რა ემოციები აღგიძრათ-მეთქი. ყველა გაჩუმდა, სულ შვიდნი სხედან ერთ კლასში და არავის აუწევია ხელი. შუა ოთახში ვიდექი. ჩემგვერდით გაბოიჯდა, დაბალი, ზუჭუჭაბიჭი. ვკითხე, აბა, შენთვის როგორი იყო ეს ლექსი, რა ემოციები გაგახსენა, ან იქნებ საერთოდ არც მოგეწონა-მეთქი. თავიდან რცხვენოდა, მერე ნელ-ნელა დაიწყო: მეო, ფეხბურთის თამაში გამახსენდა დილითო, მინდორში რო ვთამაშობდითო. ყველას სიცილი წასკდა, გაბოს შერცხვა და გაწითლდა. ბავშვები ძლივს დავამოშმინე, ვუთხარი, რომ საერთოდ არ არის სირცხვილი, ლექსმა შენი ცხოვრების დეტალები გაგახსენოს, პირიქით, ლექსი იმისთვისაა, რომ ემოციურად იგრძნო, სიტყვებს ეს ძალა აქვს-მეთქი. მაგალითად, მე ეს მახსენდება: ერთ ცხელ ზაფხულს, პატარა გოგო რომ ვიყავი, ქალაქიდან სოფელში ჩამომიყვანეს შშობლებმა. მეც მთელი ზაფხული სოფლის მინდვრებზე დავტანტალებდი სულ ფეხმწივლა. ერთხელაც, როცა ეზოში დავბრბოდი, ცვრიან სლიპინა ბალახზე ფეხი ამიცდა და შიგ ჩვენი კამეჩის მოსაქმებულში მოვადინე ზღართან-მეთქი. ექსიგვს სიცილი წასკდა. გაბოს ჯერ რცხვენოდა, მერე ველარ გაუძლო და აჰყვა კლასელებს. ნელ-ნელა დამშვიდდნენ. ისეც გაბოს მივუბრუნდი, ახლამიდი დამოგვიყვი შენს ემოციებზე, ჩემზე დასაცინს, ვიცი, ვერაფერს იტყვი-მეთქი. გაბოს გაელიმა, ცოტახანს დაფიქრდა და მერე, როცა დაინახა, რომ ყველა მას უყურებდა ინტერესით, დაიწყო თავისი ამბის თხრობა. მოჰყვამდილაზე, ფეხბურთს რომ თამაშობდნენ

მეზობლის ეზოში, მოჰყვა, როგორ ცდილობდა, თავისი თეთრი შორტი არ დაესვარა, ბალახით არ გაემწვანებინა, იმიტომ რომ დედა გაუწყრებოდა, მერე მოჰყვა თავის მეგობარზე, გამთენიისას მეზობლების ცხენების მოსაპარად რომ გაიპარნენ, თან თოკი რომ მიჰქონდათ, ფეხებს გრილი ცვარი რომ უსველებდათ. ნელა მიეპარებოდნენ ცხენს, წყნარად მოაჯდებოდნენ, მოხვედნენ თოკს და გააჭენებდნენ ცვრიან ბალახზე და ეს იყო ძალიან სასიამოვნო – ტრიალ მინდორზე ცხენით ჯირითი, ეს იყო ძალიან დიდი თავისუფლება და თქვა გაბომ, რომ ალბათ, აი, ეს არის მამულიც და სამშობლოც და ალბათ ამას გრძნობდა ის კაცი, ამ ლექსს რომ წერდა, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა ფეხბურთის თამაშია სამშობლო და ცხენის ჭენება ტრიალ მინდორზე დილაუთენია, ისე, რომ სახლში დაქანცული და დაღლილი მიხვიდე, მარა დაკარგული მამაც არის სამშობლო, დაკარგული მოხუცი მამა, საზღვართან რომ დაიჭირეს მშვიდობის მყოფელებმა და ახლა რომ არ იცის, სადაა. აი, ამ კაცისთვის – მოხუცი მამა, რომელიც ვენახში დაიარება, ჩემთვის კიდევ – ციხეში გამოკეტილი მოხუცი მამაო მამული, გაბომ, თვეები რო გადის და მისგან არაფერი ისმის, დაკარგული მოხუცი მამაო სამშობლო, თქვა და ცრემლი ისე წასკდა, ველარ გაჩერდა. მივედი და ჩავეხუტე, არ ვიცოდი, რა მექნა, უბრალოდ ჩავეხუტე. ბავშვებიც შემოგვეხვივნენ. ზოგი აწყლიანებულ თვალებს მაღავდა. გაბოს ამშვიდებდნენ.

სახლში საღამოს დაგბრუნდი. არაფერი მიჭამია, ოთახში ავედი, ქვედა უჯრა გამოვაღე, ქაღალდი გამოვიღე და წერილის წერა დავიწყე.

„გაბრიელს...“

3.

მზიკო, მზიკო, ჩემო მზიკო, ჩემო საყვარელო გოგო. როდის დაგიძახე ასე ბოლოს, რომ არ მახსოვს? რა ეშველება ამას? როგორ შეიცვალა ყველაფერი, გოგო, როგორ ცუდად შეიცვალა ყველაფერი. შენ გგონია, ვბრაზობ ალბათ, შენ ისიც გგონია, მთელი სამასწავლებლო შენზე ბოლმით რომ ვიცხებით. ვიცი, ვხვდები მაგას შენი ნათქვამებიდან და შენი გამოხედვიდან. არ ვიცი, მზიკო, არ ვიცი, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი. გახსოვს, ბოლოს როდის გავუღიმეთ ერთმანეთს, როდის ვეჭუკჭუკეთ ერთმანეთს, როდის მოვესიყვარულეთ? ბაღნობა გაიხსენე, ბაღნობა, ჩვენი ბაღნობა გაიხსენე, მზიკო, ჩემო გოგო, აი, ხო ხედავ, როგორ სითბოთი გიხსენებ, იმიტო, რო შენი ბაღნობა არ დამევიწყებია მე და არც ჩემი. როცა გიყურებ, იმ ბრაზიან გამოხედვაში, არა, აი, წამითრო გაიღიმებ, მაშინ მახსენდება ის პატარა გოგო, კიკინებიანი, ყვავილებით მოხატული სარაფნით, ის პატარა გოგო, რომელთან ერთადაც გამოვიარე მთელი ჩემი ახალგაზრდობის წლები. გახსოვს, გოგო? გახსოვს, როგორები ვიყავით? ერთ დღესაც რომ არ ვტოვებდით უერთმანეთოდ, შენ რომ ნაბიჯებს დგამდი, მე ვეცემოდი და შენგან ვსწავლობდი. სკოლაც მახსოვს და ჩვენი პირველი სიყვარულიც, მეზობლის ბიჭი, რიჟა ნოდარი რომ მოგვწონდა ორივეს, გახსოვს, როგორ ვჭამდით ერთმანეთს? ბოლოს მთლა თმების პუტვით რომ ვამთავრებდით, დედაჩემი რომ გვაშველებდა ბოლოს და

ვრიგდებოდით მერე. ჩაბარდარიჟა ნოდარის ტრფოზა პატრონს, მარა ჩვენი დობა არ მოშლილა. გახსოვს სოხუმის წლები? უნივერსიტეტის დღეები. ეშვართან რომ გქონდა პირველი პაემანი, ის დღეც მახსოვს გუშინდელივით. რა დამავიწყებს, ჩემი წითელი იუბკა რომ გათხოვე, „ამრაში“ რომ დაგპატიჟა ეშვარმა. რა ლამაზი დღე იყო მაგი, თითქოს მე მპატიჟებდნენო, ისე მიხაროდა. ვიცი, მზიკო, ჩემო გოგო, ვიცი, არ გინდა ალბათ ეშვარის გახსენება, დაგწყვიტავ გულს ალბათ მაგის გახსენებით. ნეტავი ჩემი მტერი მოყოლილიყო მანდ, ნეტავი ჩემს მტერს ჩამოეცეოდა მიწა იმ ჭაში და ეშვარის არა, ვიცი, არაფერი იქნება ახლა ჩემი ნუგეში, მარა სიტყვები გვამაგრებს ჩვენ, სიტყვები. უნდა გვაპატიო ყველას, გოგო, უნდა გვაპატიო, რაც გავაკეთეთ, ვიცი, ახლა არ მოგინდება ამის მოსმენა, შენზე ვბრუნავდითო, რო გითხრა, მარა ასეა, მზიკო, ასეა, ჩემო გოგო. უნდა გვაპატიო მე, თინკოს, მზექლას. თინკომ მითხრა, არ გამოდის სახლიდან, არაფერს პირს არ აკარებს, გუშინ სახლში მეც არ შემეშვაო, ბაღანა დედამისთან ყავს გაშვებული, მონაზვნად უნდა წასვლა მახარიას დედათა მონასტერშიო. რო ამბობენ, ტვინში სისხლი ჩამექცაო, ე, მაშინ ვიგრძენი ეგ, მზიკო, ე, ზუსტად მაშინ ვიგრძენი ეგ ყველაფერი. მაგიტომ ავტყებთ ერთი ამბავი, მაგიტომ ჩავრეით დიდი მღვდლობა მაგ ამბავში. აბა, ბაღანას ხო ვერ დატოვებდი, მზიკო, ცხოვრება უნდა გაგეგრძელებინა, ჩემო გოგო. ასე არ იყო, რო გითხარი, შენ ნაბიჯს დგამდი, მე ვეცემოდი და შენგან ვსწავლობდი-მეთქი? მაგის მერე რამდენჯერ დავეცი, მზიკო, დარამდენჯერ წამომაყენე, მეც ეგ ვცაღე, მეგონა, წამოვაყენებ-მეთქი, ფეხი დაუცდა-მეთქი. მაგის მერე ვერ გცნობ და ყოველ საღამოს სულ ამზე ვფიქრობ. გავიდა მაგის მერე წლები და აჰა, ისევ ერთად აღმოვიჩნდით ამ ჩვენს შერჩენებულ სოფელში. მშობლები ვერ დავტოვეთ, ვერ მივატოვეთ. ისინიც, ხო იცი, ფეხის გადგმა არ უნდათ სხვაგან, ვერ დავტოვეთ მარტო მოხუცი მშობლები, ამ ჩვენი საცოდავი ხელფასებით უნდა ვარჩინოთ. შევხვდით ისევ. როგორ ვიფიქრებდი, ისევ აქ თუ გადავყვებოდით, ამ სოფელში, ამ სკოლაში, სადაც გავიზარდეთ. როგორ მეგონა, როცა პირველად გნახე, მოვა, დაივიწყებს ყველაფერს დალიმილით გადამხვევა-მეთქი. რაფერხარ, ნათი? - მკითხავს თავისი ცქრილა ხმით-მეთქი. ამ ბაღნებს რომ ვუყურებ, სულ ჩვენი თავი მახსენდება, გოგო, ჩვენი ბაღნობა მახსენდება. უყურე ამათ ხშირად, ბევრ რამეს განახებენ, ბევრ რამეს გაგახსენებენ. აი, იმ პატარა ბაღანას სიცლქეს და გულწრფელობას გაგიღვივებენ გულში, რომელიც ასე გვიჩლუნგდება, როცა ვიზრდებით.

კოკამ მომცა გუშინ შენთვის გადმოსაცემი წერილი. მთხოვა, თვალი გადავლეთო. მე მწერდა მაგას, შენ ვერ შემოგბედა, მე მომწერა ეგ წერილი. ძალიან მაწყენინე გუშინ, ასე რომ მიპასუხე. ხო იცი, როგორ ვიცი ხოლმე, გავბრაზდი მაგრად, მეგონა, წამოვტყებოდი და წავიდოდი ამ სკოლიდან საერთოდ, მარა თავი შევიკავე, მერე მოვლბი. შენი გაბრაზება გაბრაზება არააო, შენ არ მეუბნებოდი? კარგი ბაღანაა კოკა, შენ არ იცი, ისეთი ბიჭია... ცელქი და ეშმაკირო ჩანს, მაგას გულში რა უდევს, არ იცი. სხვებიც ეგეთები არიან. უნდა ანახო ბავშვებს სითბო და იცი, როგორ გიპასუხებენ ამზე? ბაღანას სითბოს რომ ანახებ, ასმა-

გად დაგიბრუნებს მაგას. კოვამ მითხრა ერთხელ, თქვენი გაკვეთილი რო გვეწყება, მას, სულ მგონია, გაკვეთილი არცაა და თან ვისვენებო და თან ვსწავლობო ისტორიასო. ის სიმკაცრე გონიათ ამით მარტო გაკვეთილი, სულ შიშში რო არიან, არიქა, მასწავლებელმა რამეში არ ჩამჭრას და მერე არ გამციცხონ ან არ გამლახონო. მე მაგზე ვფიქრობ, გოგო, ჩვენ რომ გადავშლით ჟურნალს და რო ვუწეროთ ნიშნებს, აი, მაგათ რო ქონოდათ ჟურნალი, ჩვენზე რას დაწერდნენ-მეთქი. შენ თუ გიფიქრია ამაზე? მზია როგორიაო, რას იტყოდნენ? მე სულ ამას ვფიქრობ და ვცდილობ, რამე არ შემეშალოს, არიქა, ნიშანი არ გამიფუჭდეს-მეთქი. ნიშანიც ხო ეგაა, მეგობრობა და სიყვარული. თუ ეს იცი, ჩათვალე, დანარჩენი მარტივად გამოგივა. ნუ გაუწყრები კოვას და ნურც დედამისს ეტყვი რამეს. არ იცის იმ ბაღანამ მეგრული და ვერ მიაწერდა მაგას, ნურც მაგის გამოძიებას დაიწყებ, ვინ მიაწერა. წავშლი მაგას მე, არაა პრობლემა. არ ვიცი, ამას მიიღებ თუ არა ჩემგან, არ ვიცი, გულთან მიიტან თუ არა, მარა თუ ის ბაღანა კიდევ არის შენში, ის კიკინებიანი გოგო, გამიგებ და ალბათ ღიმილით, ცრემლმომდგარი და ასრულებ ამის კითხვას, ვიცი მე შენი ამბავი.

შენი ნათი



გაბიჩილს

ჩიტები გიყვარს? გადამფრენი ჩიტები, წელიწადის ყოველ დროს ადგილს რომ იცვლიან, ყოველთვის სითბოს კენ რომ მიიღებიან. შენ-ხელა ვიქნებოდი ალბათ, ერთი ძალიან კარგი ამერიკელი მწერლის წიგნი რომ წავიკითხე. ნოველა ზუსტად შენხელა ბიჭზეა, რომელიც სახლში ვერ ბრუნდება და მთელ შობის წინა დღეებს მარტო ატარებს ნიუ-იორკში, იმიტომ, რომ კოლეჯიდან აგდებენ. კითხვების დასმა ძალიან მიყვარდა იმ დროს, შეიძლება უამრავი კითხვა დამესვა და პასუხს არც დავლოდებოდი. ამიტომაც ამ წიგნიდან სიუჟეტის ერთი ნაწილი მქონდა აკვიატებული. ამბავი ასეთია: ბიჭი ტაქსიში ზის, მანქანა ნიუ-იორკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს, ცენტრალ-პარკს ჩაუვლის და ბიჭი ტაქსისტს უცნაურ კითხვას უსვამს: „საით მიფრინავენ იხვები, როცა ცენტრალური პარკის ტბა იყინება?“ საოცარია, არა? თან ისეთი პატარა გოგოსთვის, რომელსაც სიგიჟედ უყვარს პასუხგაუცემელი, უცნაური კითხვების დასმა. ეს კითხვა ამეკვიცა, დედაჩემს სულ ამას ვეკითხებოდი, ჩემს თანატოლებს ამ კითხვით ვაწუხებდი. ვერავინ მპასუხობდა და მომწონდა. მაგრამ ერთხელაც, როცა ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გადამფრენ ფრინველებზე გვიხსნიდა გაკვეთილს, თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, საით გაფრინდებიან ჩიტები, როცა ამერიკაში ის რომელიღაც ტბა გაიყინება-მეთქი? როგორ არ მინდოდა, პასუხი მიმეღო. კითხვა უფრო იდუმალა, როცა პასუხი არ აქვს, ხომ ასეა? და მან იცი, რა მიპასუხა? სამხრეთით, ჩემო კარგო, სამხრეთით, იქ, სადაც უფრო მეტი სითბო და ტენიანობააო. იმწამსვე დაკარგა მისტიკურობა ამ კითხვამ. იქნებ არ არის მართალი-მეთქი, თავს ვინუგეშებდი... მერე ჩემმა კლასელმა

ჰკითხა: და უკან არ დაბრუნდებიანო? მასწავლებელმა უპასუხა: აუცილებლად, როგორც კი იმ მხარეში აგრილდება, აუცილებლად დაბრუნდებიან იქ, საიდანაც გაფრინდნენო. იმწამს თითქოს არც მიმიტყევია ამ პასუხისთვის ყურადღება, მაგრამ, როგორც ჩანს, გონებაში მაინც ჩამრჩა.

მაშინ მე, დედაჩემი და მამაჩემი თბილისში ვცხოვრობდით, ერთ გარეუბანში, დევნილების დასახლებაში. ყოველ დღით მამა სამსახურში დადიოდა, სტამბაში. ამისთვის ჩვენი უბნის ხიდზე უნდა გადასულიყო და ღამით იმავე გზით დაბრუნებულიყო უკან, ქუჩაში ღამით სიარული კი საშინო იყო, ამიტომ ყოველ საღამოს დედა ნერვიულობდა მამაზე. მეც ყოველ საღამოს ამავე ვფიქრობდი და მაშინ მახსენდებოდა ჩემი ბუნების მასწავლებლის სიტყვები, რომ გადამფრენი ჩიტები აუცილებლად ბრუნდებიან იქ, საიდანაც გაფრინდნენ და ეს მამშვიდებდა. რა მარტივი რამეა, არა? მაგრამ მე მჯერა სიტყვების ჯადოსნურობის. როგორ მეშინოდა ხოლმე მაშინ, შიში მთლიანად მიპყრობდა, მაგრამ უმალ გაქრებოდა, როცა ვიხსენებდი, რომ სხვა გზა არ აქვთ გადამფრენ ჩიტებს, უნდა დაბრუნდნენ.

ვიცი, ალბათ მცირედი იყო ეს ყველაფერი, რასაც გწერ, უმნიშვნელო, მაგრამ იქნებ მაშინ, როცა იგრძნობ, რომ სისუსტე გჯავბის, ამ ყველაფერზე დაფიქრდე.

ისე, მართლა მაინტერესებს, გიყვარს ჩიტები?

4.

დღეს პირველი გაკვეთილი ისტორია გვაქვს. კლასში როცა შემოვდივარ, წინა მერხთან წამოვჯდარი ნინო მხედება. ვესალმები და უკანა მერხზე ვჯდები. მალე სხვებიც მოდიან. კატლეტის სუნი ტრიალებს. გვერდით ვიხედები – კოკა გაცხარებული ჭამს კატლეტს და პურს. „გინდა?“ – მეკითხება პირამოტენილი. „დატოვებ რამე?“ – ვეკითხები და მეცინება. კოკა ტრიალდება და ჭამას აგრძელებს. მე კევს ვიღებ ჯიბიდან და პირში ვიღებ. გვერდით ნინო მიდგას.

– მზია რო შემოვა, ჟუაჩაზე გაგიწყრება, – მეუბნება.

– არ შემოვა, – ვპასუხობ და თავს ვარიდებ.

– შემოვა, გუშინ თქვა, ჩამოვივლი კლასებსო.

კევს პირიდან ვიღებ და მერხზე ქვემოდან ვაწებებ.

– ფუუუ, – ნინო მიყურებს და იჯვანება.

– კაი, ჰო, კაი, – კევს მერხიდან ვაძრობ და სანაგვე ყუთში ჩასაგდებად მივდივარ.

კლასი უკვე გაივსო. ყველა ერთმანეთში ლაპარაკობს წყვილებად და ყაყანია. დერეფნიდან ფეხის ხმა ისმის. კარს უახლოვდება.

– ჰე, მშვიდად ახლა, მშვიდად, გაკვეთილი იწყება, – ოთახში ნათია მასწავლებელი შემოდის და თავისი მაგიდისკენ მიდის.

– გაბო, დაჯექი შენს ადგილზე, – მეუბნება ღიმილით.

– დიახ, მას, – ვპასუხობ და მერხისკენ მივდივარ.





სოფო კუბაშვილი

მონადირე

დედამიწას ცა ქუდად აღარ ახურავს.

ცხელა. მზე წვავს. მიწა ოხრავს. დაქრის მცხუნვარება. სუნ-თქვა ჭირს. ასეთ დროს იტყვიან, ცრემლი დადუღდა, აორთქლდა, ჰაერი დანესტიანდა, ამიტომაა ოფლი წებოვანი, სუნთქვა გაუსაძლისიო.

ორპირი ქროლა არ ასვენებს ქათქათა ქსოვილს, არც ღილებიანი პერანგის წინაგულს, არც დაფენილ საყელოს, არც ფერდადებულ შლილ თმას.

ქარისპირისპირ დგას ახალგაზრდა კაცი, თავდახრილი, სიმშვიდეს იზოგავს; სხეულით იცრემლება – არა თვალით! დაცვარულ სახეს იმშრალავს; სამძიმრის მაღლობებს შორის თითებს ისუფთავებს, ხელისგულს იწმენდს, რომ ჩუმი კრძალვით ქალის თმას შეეხოს – დედას თმას უსწორებს. მისი შუბლიდან კეფისკენ მოძრაობს ფართო მტევანი. ისევ და ისევ.



გაკვეთილი.

„...ჭრილობაც დაუხურეს, კანიც ამოუკერეს. დოლბანდიც დაადეს. უწამლეს. დაბანეს. ჩააცვეს. სუნამოც აჰკურეს. წააფარეს. წაატირეს. წააყარეს. წავიდნენ“, – ჩაიკითხა ნოველა მასწავლებელმა.

– დედაჩემს ჰგავხართ, მას, – ამოაყოლა ბიჭმა სუნთქვას.

– რითი ვგავარ? – ქუთუთო მოჭუპნილი მზერით მიუბრუნდა კითხვა.

– თვალებით, მას. დედასაც თქვენსავით დიდი თვალები აქვს და ზუსტად თქვენაირად იღიმება, – აუხსნა.

– ჰოდა, კარგია. არც გაკვეთილს გააცდენ, არც გამაზრაზებ, არც გულს მატკენ, რომ ყოველთვის გაღიმებული მნახო. ხომ გინდა, სულ

ვგავდე დედას? – შიშნარევი სიამოვნებით პასუხობს ქალი. ცოტაც წითლდება, სულ ცოტა.

– გაწითლდით, მას! – უკვირს.

– მართლა, ჰოო? – მოსრესილ თითებს ჩასჩურჩულა ქალმა. – დედა არასდროს მიწოდო, შენ გყავს დედა! გესმის?

– მესმის, მას, – გაწითლდა ბიჭიც. უფრო მეტად.



მამა სახლშია. სულ სახლშია. მხოლოდ თვეში ერთხელ, დილით გადის. ბანკისკენ მიიქარის. ფეხით გაუყვება ქუჩას, კედელ-კედელ. ხელებს მიაქანებს, „სამხედრო“ შარვლის ჯიბე ცარიელი აქვს, შიგ მუჭებიც არ უწყევია. მიწას დასჩერებია. ვინმემ მზერით არ გამოიჭიროს.

სადილამდე სადარბაზოსთან ტაქსი ჩერდება, იქიდან თავმოწონე მიმიკით გადმოდის იგივე კაცი, საბარგულიდან მძიმედ იღებს ცელოფნებს. ლილინებს კიდევ.

– მოვა და შეჭამს! – პასუხობს მაგიდისკენ თავისივე ხელით მიჩოჩებულ სკამს. იქვეა თეფში. ლიმონათიც.

დანარჩენი – მაცივარში, განჯინაში, საკუჭნაოში.

– ერთ თვეს იკმარებს! – ასე სამზარეულოს კარს მიმართავს გამოხურვისას. მერე რთავს ტელევიზორს, წამოწვებასავით, ლუდის ერთ ბოთლს ყბაზე მიიყუდებს, სამს მოიმარაგებს. „პასებს“ ითვლის.

– ჩემთვისაც გამოგზავნიდა დედა, დამპირდა, – დანაყრებულმა შვილმა შეაკითხა მამას.

– მე მექნება, რად გინდა ჯიბეში, დახარჯავ უაზროდ! – ბრძანებასავითაა.

– არ დავხარჯავ! მჭირდება, მომეცი ჩემი ფული! – ღრენას ჰგავს.

– ერთად წავალთ და ვიყიდოთ, რაც გინდა! – მიუბრუნებლად გამოსძახა მთელმხრე თავმა.

– ერთად არაა... – ორმა სიტყვამ სიძულვილი გამოიხმო, ზიზ-ლიანმა ჰაერნაკადმა ტუჩი გვერდულად გააპო.

თანვე შენიშნა მამამ ბიჭის აქნეული ხელის ჩრდილი. მისაღები ოთახის კარიცჯერ გარახუნდა, მერე ინერციით გაიღო, ბოლოს რკინის რკინაზე ძლიერად დარტყმის ტალღამ შეარხია წვეროსანი მამაკაცის მხრები. ხმა კიბეზე სწრაფად ჩარბენამ დაასრულა.

– გაბრზბითოროემ, შემაშინერაა! შენ დედას შევეცი! მომინდომა ბიჭმა ფულეზიზიში! ბეზიანის ტრავმა! – თავი მოუყარა გინებაში მთელ ოჯახს კაცმა, თან ქშენით წამოდგა, მთავარი კარის კლიტეში გასაღები ოთხჯერ გადაატრიალა და ადგილს დაუბრუნდა. – მე მოგარჯულებ!



შვილი დაღამებულზე შემოვიდა. მკრთალ შუქზე ივანშმა. ჭურ-ჭელი დარეცხა. იატაკზე დაყრილ ნამცეცებს ჩახედა. ლანჩა წაჰკრა და უფრო ქვეშ მიმალა. გავიდა. ტელევიზორი არ ჩაურთავს, ახლოს წამოუწვასავით, მიიღულა, მიფიქრიანდა.

არ გატირებია, არ უდარდია, არ მონატრებია, არც დასიზმ-რებია დედა. მხოლოდ ფინანსური საჭიროებისთვის უკავშირდება. მაშინაც სწერს – არ ურეკავს! მხოლოდ ერთხელ მოესურვილა, გვერდით ჰყოლოდა, როცა, ვერცხლის კოვზების ძეხნისას, წააწყ-და ფოტოებს – მშობლები ერთად! მერე სახე მიუახლოვა, თითები მის გამოსახულებაზე გადაატარა: რამ მოაწონა ეს კაცი?! ქალაქში ბინათუარ ექნებოდა, ახალგაზრდას მაინც გაჰყვებოდა ცოლად. რა ლამაზია დედა! – დანანებით ჩაილაპარაკა. მაშინვე უკან შეჩურთა შავ-თეთრი ქაღალდები, მხოლოდ ძვირფასი ლითონი მოიხელთა. ასე ჯობია: მოსწონს მარტოობა შინ – დედა არ არის, მამას არ ამჩ-ნევს, თვითონ უცხოა.



ახსოვს.

იმ წელიწადს პირველად მაშინ ჭამა ეზოს ბალი, ტკბილი წვენი ჩასდგომოდა. ტუჩი მოეთხუპნა სასაცილოდ, გამზიარულდა. დაწო-ლამდე იბედნიერა. ძილისპირულს ბეზია ახლოს დაუჯდა, ფეხებზეც წააფარა და ისიც უჩვეულოდ დატკბა:

– უკვე დიდი ბიჭი ხარ. თითქმის პირველკლასელი. ხო იცი, მამამ დედასთან უნდა წაგიყვანოს. ქალაქის სკოლა უკეთესია, ბებო, თან დედა გელოდება... – ნელა ლაპარაკობდა. უკვირდა ბიჭს, ისე ნელა და თვალდახრით.

– არ მინდა წასვლა, არ მინდა სკოლა, არ მინდა ქალაქი, არ მინდა დედა... შენთან მინდა, არ წავალ, არსად არ წავალ. გავიქცევი, საერ-თოდ არ მოვალ სახლში, არ ვუყვარვარ მე დედას! – საბანქეშიდან გაჰყვიროდა.

– უყვარხარ! არ გაიმეორო ეგ მეორედ!

– აბა, რატო დამტოვა, რატო, რატო, რატოო? – ზღუქუნით ბრაზობდა. – მუცელი მტკივა, მტკივა, მტკივა, გაჩუმდი, დამანებე თავი! – ხელისგულებით ყურებს იფარავდა პატარა.



– კაი, გავალ მე, დაიძინე, ნუ ტირი! აშხელა ბიჭის ტირილი ვის გაუგონია, ბალმა გატკინა მუცელი, ბალმა. ბევრი გიჭამია, ბევრი. შემოგველოს ბებია, შენ დაგენაცვლოს ბებია. სკოლა აუცილებელია, ბიჭო! – ტკივილი ბალს გადააბრალა ქალმა, მერე არეული ხელი შეუცურა, შვილიშვილის გული მუცელთან იპოვა, მოთათუნებით დააწყნარა. მიაყუჩა.

სოფელი მაინც დაცლილი იყო ბავშვებისგან, როცა ისიც ქალაქში ჩაიყვანა მამამ. დატოვა დედასთან. თვითონ კი უკან, თავის დედასთან დაბრუნდა.



– რამდენი დღე უნდა იჯდე ფანჯარასთან, ჰაა, როდემდე? ხო ხე-დავ, არ მოდის ბებიაშენი! აქ მოდი, ისაუბრე! – შეუწყრა ახალგაზრდა ქალი შვილს, თან მიუახლოვდა, ჩაეჭიდა, შეანჯღრია.

– მოვა! გადი! არ მინდა შენთან! – სწრაფად მოიცილა თმადუვარ-ცხენლმა, მაისურაჩაჩულმა ბიჭმა უხეში ხელები.

– მე ვარ დედაშენი, მე! – ავის მომასწავებელი ხმით აყვირდა ქალი და სკამზე მიუთითა. ბიჭი შიშით მოიკუნტა, ასლუკუნდა.

– შენ არ მიყვარხარ! ბებიასთან მინდა, – იმეორებდა.

– მოდი-მეთქი! – თვითონ დაითრია უმწეოდ მობუზული, თავზე-ხელაფარებული პატარა ბიჭი.

– არ მინდა! გადი! დამანებე თავი!... არ ხარ შენ ჩემი დედა, გადი-იიი! – ტკივილითა და წყენით აკივლებული ბავშვი თავისი ნაბიჯით არ მიჰყვებოდა ქალს.

– არა, ბებიაშენია! – სიმწრისგან ბლაოდა დედა, ბრაზით სახე დამახინჯებოდა.

აიტაცა, თეძოზე მოგდებული შეიყვანა ოთახში, იატაკს დაანარცხა. აქ ეგდები, სანამ „დედას“ არ დამიძახებო, გავიდა და კარი ჩაუკეტა.

ახსოვს ის დღე – დილიდან საღამომდე. ღამე – უფრო მეტად. რა და-ავიწყებს: მხოლოდ კედლები – გალესილი, შეუღებავი – არც ფანჯარა, არც სათამაშო, არც საწოლი. ძველი ლიბისა და ადიელის გარდა – არაფერი.

თანდათან გამოივსო ოთახი სიძულვილით, შიშით, ბედნიერების საჭიროებით.

არ ახსოვს ბიჭს, რა ნახა. ვერ გამოიტანა სიზმარი. როცა გაიღვიძა, ტიროდა, მოთქმით მოუხმობდა:

– დედაა! დედაა! დედაა!

სამაგიეროდ, ხშირად აგონდება იმ აღელვებული ქალის სახე, მისი თბილი ხელები, ცრემლიანი მზერა, სველი ტუჩები, მჭიდროდ ჩახუტება და დუდუნა:

– ჩემი შვილი, ჩემი... ჩემი შვილი! მიყვარხარ ძალიან, ძალიან... ჩემო პატარა!

– მეშინიაა! ამ ოთახიდან გამიყვანე, დედა!



დადგა სექტემბერი – ერთი, ორი, სამი...

იმ დღეს თვითონ მოისმინა, იქვე იყო. სკოლის დერეფანში იდგა, აყურადებდა.

– ჩემი შვილი ყოველთვის მიჯერებს, – მოიწონა თავი მშობელმა კრებზე. – გაბედავს და ისე არ მოიქცევა, როგორც მე მინდა! იცის, რაც მოუვა, არ დავიწყებია! – დაასრულა დაბეჯითებით დედა.

– რა მოუვა? – დაინტერესდა დამრიგებელი.

– ჩემო კარგო, დედებმა უკეთესად არ ვიცით შვილის ხასიათი?! დამიჯერეთ, ფერებით ბავშვი არ იზრდება! თქვენც მკაცრად უნდა მოექცეთ. მე გაძლევთ უფლებას, თუ საჭიროა, დასაჯეთ! არ უნდა ზედმეტად გაცინება და ყველაფრის პატიება. იმიტომაც გვასხდებიან თავზე. ჰკითხეთ და გიპასუხებთ, რაც მოუვა! – ურჩია პედაგოგს.

– რას ეძახით თქვენ ფერებას, ან სიმკაცრეს? – ეს კითხვა აღარ გაუგონია ბიჭს. მოსცილდა კარს. გაიქცა. ვაითუ მასწავლებელს მაშინვე მოესურვებინა მისი დაკითხვა.

დილით სკოლაში წასვლა იოვარა. მუცლის ტკივილი მოიმიზნა. სინამდვილეში რცხვენოდა სკოლაში განცდების აღიარების. ვერაფრით გაამჟღავნებდა იმ საიდუმლოს, რომ დედის ეშინოდა. ამ ფიქრის დროსაც კი რაღაც მსგავსს განიცდიდა – საფრთხისა და ტკივილის მოლოდინს. იქნებ ასეთია დედის სიყვარული?! იქნებ ეს შიშია სიყვარული?! დედას შეუძლია, თან გაამწაროს, თან მოარჩინოს. თან აატყოს, თან დაამშვიდოს. თან მიატოვოს, თან არა. უკვე იცის, რომ დედას ეს შეუძლია. არა! დამრიგებელს ვერ ეტყვის, რომ მშინარაა, გაეცინება და თანაკლასელები დასცინებენ.

– კარგი, ჩემს მოსვლამდე იწექი, ხვალამდე გაგივლის, – თმაზე შუბლიდან კეფისკენ ხელს უსვამს დედა.



გასაღები არა აქვს. ქუჩაში ვერ გავა. სოფელში კარი სულ ღიაა, მერე რა, თუ ბებია ეზოს გარეთაა, მამახომ რჩება შინ?! ნეტა იქ იყოს. ის და მამა ნადირობანას ითამაშებდნენ. ის ჩექმა აღარც მოერგება. ალბათ, ბებიამ გოგიას აჩუქა. მისი ხის თოფები კი დახვდება, ვერც მიაგნებდა, ისე გადამაღა. ტყავის ქამარი უნდა წამოეღო, ბიჭებს აჩვენებდა; ახლა, ვინ იცის, სადაა მიგდებული; ან ქურთუკი რატომ დატოვა იქ? მერე როგორ უყვარდა; გია ბიძიამ მოსკოვიდან ჩამოუტანა. ნეტავ ნაძენარში ისევ თუა მონადირის კარავი? მთელი დღე აშენებდნენ ის და მამა. ნახსლავი ტოტებით დახურეს, შიგ საწოლიც კი შეჭედეს. ნანადირევისთვის ლურსმნები მიარჭვეს. მამა ნამდვილი თოფით ხოცავდა შაშვებს, ის კი სათამაშო იარაღს ვითომ-ვითომ უმიზნებდა. მერე მამა უნაწილებდა ნანადირევს, თითქოს თანაბრად დაეხოცათ ფრინველი. რა ბედნიერი იყო, ძლიერი, დაუმარცხებელი.

ახლა წევს მუცლის მოგონილი ტკივილით და გულიდან ისგრის: ბუჰ-ბუჰ!.. ბუჰ-ბუჰ!.. დაცივის და დამცირების ეშინია. ხვალიდან თავს არავის დააჩაგვრინებს! ბოლოს და ბოლოს ბავშვობიდან მონადირეა. მერე რა, თუ ჯერ დიდი ნადირი არ მოუკლავს. მამას ხომ შეუძლია. მან არ მოიტანა იმ დღეს ორი მელა და ოთხი კურდღელი?! თქვა, დათვი ერთ ბეწვზე გამექცაო. სოფელს თვითონაც კი იცის – ახალ წელს მამამ ხომ ასროლინა სანადირო თოფი; მანვე გაუმგერა ზურგი, ლულაც აზიდვინა, თვითონ სასხლელტს გამოჰყრა. უჰ, გული გაუსკდა, იმხელა ხმა ჰქონდა.

ხვალიდან მუცელი აღარ ასტკივდება, არც სკოლაში. ყველა დამეორჩილება. კლასელებიც იმას გაუკეთებენ, რასაც მოისურვებს, თუ არა და სცემს. დიდა და ყველას მოერევა. ნახე, რა უქნას ვალერას! აბა, დედა რომ ურტყამს, კაია?! სიტყვას არ შეარჩენს მასწავლებელს. ერთი არ დაუწერონ მაღალი ნიშანი! არავიზე ნაკლები არ არის. ეზარება თორემ, ვინაა შოთიკო?! ის სახლში მეცადინეობს, თვითონ კი შესვე-

ნებაზე გადაკითხვითაც მოყვება გაკვეთილს. მაგას ვერ აჯობებს?! მაგარია...ოლონდ გვანცამ შეიყვაროს!ოლონდ...მისი გვანცა, გვანცა! –ოოხ, ერთი, როდის გათენდება!



მუცელი მართლა ეტკინა. დედა ეტყოდა, ტუალეტში გადიო, ბე-ბია – თავდაღმა დაწეო. შეეზარა დამთბარი ლოგინის დატოვება, ამიტომაც ტანი ამოაბრუნა და ლეიბს გაეკრა. შემოაწყო ხელები ბალიშის ქვეშ.

ხედავს, ბაბუა უახლოვდება. ახალგაზრდა და მომღიმარი, როგორც იმ სურათზე, ბებიას საძინებელში რომ კიდა. გვერდით უზის და წერილს აწვდის: დავბრმავდი, ბაბუ, იქნებ წამიკითხოო. ცოლის გამოგზავნილი წერილია. უკითხავს:

„გამარჯობა, დათიკო, როგორ ხარ? ალბათ, დაგავიწყდი, თორემ შენ გერმანელები ვერ მოგკლავდნენ. ჩვენი ბიჭი გაიზარდა. გახსოვს, რომ წახვედი, მაგიდას აწეული ხელით სწვდებოდა. ახლანაკად ადებს. ლაპარაკიც ისწავლა. შენს სურათებს კოცნის, ყველას აჩვენებს. ერთი სული აქვს, როდის ჩამოხვალ. ნუ გეშინია, ცივ ნიავს არ ვაკარებ; რად მინდა მისი გაკეთებული საქმე. კაციც მე ვარ და ქალიც! სანამ შევიძლებ, ასე იქნება. ვინ მყავს მის მეტი?! ოლონდ ეგ იყოს კარგად და დღესვე მოგვკვდები. არა, არა, არ მოგვკვდები. ჯერ შენ ჩამოდი და მერე... მენატრები ძალიან. ამბობენ, ომი მალე დამთავრდებაო. გელოდები. როგორიც დამტოვე, ისეთივე ვარ. ოლონდ ნერვიულობამ მომაწყინა. მიხედვით თავს. წყალი მოიმარაგე, საქმელი ჭამე.“

შენი გალინა. 1945 წელი 20 თებერვალი“.

დაასრულა. მის სახეს რომ ახედა, სახტად დარჩა, დაბერებულიყო, მართლა ბაბუას დამგვანებოდა. ტიროდა. ცრემლი ჭალარა წვერს უსველებდა. ისევ ოშში ვარო და გაქრა.

სიზმარი ყოფილა. ძილის ნერწყვი ბალიშის პირს დაჩნეოდა. პირი მოიწმინდა და დამუწა. ეს წერილი ხომ ბევრჯერ უნახავს, ხელშიც სჭერია და წაუკითხავს კიდევ. ამ ფურცელს ბებიამისი იმ კლიტინ უჯრაში ინახავს; მზიან ამინდში იღებს და აფიცებს. ამბობს: ქმარი დამბრუნებოდა ამ წერილის ნაცვლადო. როგორ აღმოჩნდა ბაბუ-აჩემთან? მგონი, მისი სული მართლა ჩემთანაა, როცა მუცელი მტკიცავ. მართალია ბებიაჩემი. მაგრამ ქალაქშიც?!

ნეტავ მალე მოვიდეს დედა!

მოვიდა. სამსახურში მამას დაურეკავს, ბებია გარდაიცვალაო.

– წაიღო წერილი ბებიაშენმა, მოისვენებს ახლა!... – დედა.

– რა წერილი? – აღარ გააგრძელა. იცის, სოფლის ამბები არ აინტერესებს დედას, არ მოუსმენს, სისულელეებს მოეშვიო, ეტყვის. მაშინ თორმეტი წლის იყო.



ერთი წლის შემდეგ მამა ჩამოვიდა ქალაქში. ძველებურად ღამე კი არ გაათია, სამუდამოდ დარჩა. დედამ ასე უპასუხა შვილს: ხო იცი, ნერვიული კაცია, მართო ვერ გაძლებდა სოფელში, აქამდე ბებიაშენი არჩენდა, ახლა ჩემს ჯიბეში ჩაჯდებაო.

ბიჭი გულში ფიქრობდა: რა მაგარია, მამამ თოფი ჩამოიტანა, ნამდვილ ნადირობანას მეთამაშებაო. ამიტომაც უფრო კმაყოფილი იყო, ვიდრე დედა.

მამა მართლა ნერვიული ყოფილა. განა ბიჭს უბრაზდებოდა?! ცოლს საყვედურობდა, შვილი ვერ გაგიზრდია – არ მეცადინეობს, ან რანაირად ლაპარაკობს, ან რანაირად იქცევო. უზაროდა, დედა რომ ვერ ეწინააღმდეგებოდა. ჩუმად ისიც კი სიამოვნებდა, ისევე რომ უყვიროდა ხოლმე მამა დედას, როგორც დედა – მას. ამჩნევდა, ცოლს აღრიალებული ქმრის რომ ეშინოდა, თუმცა სულ არ ეცოდებოდა დაღ-ლილი, ატირებული დედა. ჩაცვებოდა თავის ოთახში, მაგნიტოფონს ხმას აუწევდა, თავის კანტურითა და ფეხების ბაკუნით აჰყვებოდა მუსიკის რიტმს. ასე აღარ ესმოდა შშობლების კამათი.

– ბიჭო, დაუწიე! არ გესმის? ხმას დაუწიე! ამ სახლში ვერ დაისვენებს რა კაცი! თქვენი დედა მოვტყან! – მამა.



იმ დღესაც დაიბარეს დედა სკოლაში.

– ახლა რაღა მოხდა, რა გააფუჭე, ბიჭო? მრცხენია უკვე. უნდა ავითუზო დირექტორის კაბინეტში და ვისმინო დარიგებები. მამაშენი წაიყვანე!... – გამოენთო დედა.

„ჰოდა, შეგრცხვეს. კაი ყოფილა სირცხვილი?! თავს აღარ გაგალა-ხინებ, ვიცი, რასაც ვიზამ!“ – ასე გაიფიქრა. თქმით კისხვარამ უპასუხა, საცოდავი მიმიკით:

– მაპატიე, დედა, ბოდიში! არ გაბრაზდე. მასწავლებელს სიტყვა შეეუბრუნე. აბა, რატომ დამაკლო ნიშანი? არ ამიხსნა. რაც გეკუთვნო-და, ის დაგიწერეო. ჩუმად შევაგინე, გაიგონა, აღშოთოდა და კლასიდან გამავლო. ამის გამო დაგიბარეს. ვერ ვიტან რუსულის მასწავლებელს, ვერა! დეგენერატი ქალია, არ ვისწავლი რუსულს, არ მჭირდება, მაინც არ წავალ არასდროს მოსკოვში...

– ამხელა ბიჭი ხარ და ჭკუა არ გაქვს თავში. დაფიქრდი ხოლმე! შენ რა გენალვლება, მე უნდა მიქნის თითი დირექტორმა; მაგრძნობინოს, რომ ცუდი დედა ვარ! მე უნდა მიმეორონ შვილის აღზრდის მეთოდები მასწავლებლებმა, მე! ეს ბოლო იყოს, იცოდე, თორემ იმ ცურვიდანაც გამოგიყვან და ჩემი ხელით დაგიმტვრევ გიტარას, – გაისმა მუქარა, უკვე მერამდენედ.

დედას გაეცალა. გვანცას კორპუსის წინ დააღამა. გვიან ავიდა სახლში. შშობლებს ეძინათ.

დილით მოისმინა საყვედურები:

– გემტერებიან, შე საცოდავო, გამოგადგებენ იმ სკოლიდან. ცო-ფებს ყრიდა სასწავლო ნაწილი: მაგის ცოდნა ვის რად უნდა, კაცად თუ არ ივარგაო. უფროსი და უმცროსი არ იცისო. ბავშვებს ურტყამ-სო. თვითონ არაფერს აკეთებს, ღლიცინებს გაკვეთილზე და ბეჯით მოსწავლეებს აბუზად იგდებსო, ფულის გამოძალავაშიც შევაძრწინეთო. მოგვკდი იქ. რატომ იქცევი ასე. შვილო? რა გაკლია, რაა?! მამაშენი მოგკლავს, კაცი იმედებს ამყარებს შენზე. გაგიუდება, რომ ვუთხრა... – შეუსვენებლად, დაბეპირებულივით გადმოუღაგა დედამ.

– არ უთხრა მერე! – კიდევ კარგი, გააწყვეტინა, ამოასუნთქა ქალი. – შენი ნება არაა?! რას გაიგებს. და საერთოდ, გადამიყვანე მაგ კლასიდან, ვერ მითანს დამრიგებელი, ხო ხედავ, ასჯერ დაგიბარა. დირექტორიც გადამიცა, ჩამშვებია... – შეედავა თავის დასაცავად.

– როგორ ვეტყვი, ამას ვერ გადაიტანს. თავი მოსწონს, ასეთი და ისეთი ბიჭი მებრძებაო. – დაეთანხმა დედა. – გადაგიყვან ზუსტადაც, დამალა, ჩემზე უკეთესია ვითომ?!

ასეც მოხდა. დამრიგებელი შეიცვალა. ბიჭიც.



მეთათე კლასში იყო, საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა ცურვაში. მაშინ შექმნეს მეგობრებმა როკჯგუფიც – Pink Stones. მთელი წლის განმავლობაში ბევრი მიზეზი ჰქონდა სკოლის გაცდენის, არმეცადინეობის, დაბალი ნიშნების მიღების... სახლში დაგვიანების, არმისვლის.

– დამანებეთ თავი, გაწუხებთ? არაა ჩემი პრობლემა, თუ ნერვიულობთ! რას ნერვიულობთ მერე?! გაიგეთ, არ მაინტერესებს ეს სწავლა. რაც მსიამოვნებს, იმას ვაკეთებ. შემეშვით! – უფრო აგრესიული ტონით იგერიებდა დილაობით ოჯახის წევრების შემოტყვევებს, ვიდრე სკოლაში.

– ვეღარაფერს ეღირსები ჩემგან! გაგიტყბა უზრუნველი ცხოვრება. ვნახავ ერთი, ვინ გაქმევს და ფულს ვინ მოგცემს! – ნაძალადევი დამთმობი სიმშვიდით ცდილობდა შვილის შემორიგებას ძალადაკარგული დედა.

იცის, ვინც აქმევს. მის გაკვეთილს ყოველთვის ესწრება, მხოლოდ მას უჯერებს, მისი ხმაც და სიტყვებიც აშშვიდებს, სიამოვნებით უსმენს და იმასსოვრებს. სულ რაღაც ერთი წელია, რაც იცნობს და გაუშინაურდა კიდეც. ის კი არა, სტუმრადაც მიდის მასთან, არ ერიდება.

სადილიცა და ვახშამიც სხვანაირად ეგემრიელება ბიჭს იმ ყველა-საგან განსხვავებული, სათნოდ მომღიმარი მასწავლებლის სამზარეულოში, რომელიც ისე გრძნობს მოსწავლის წუხილსა თუ სიხარულს, ვითომ მის შვილს გადახდენოდეს თავს. როგორ არა, დაუტუქსავს კიდეც, ოღონდ არა ლანძღვით, არა დამუქრებით. რამდენჯერ ჩასძინებია დივანზე მშვიდი ხმით რჩევა-დარიგების მოსმენისას. ხშირად დილა მდეც. იქნებ ეს იყო სიყვარული? ეს სახელდაურქმეველი, უსიამოვნო განცდებისგან თავისუფალი ემოცია. ამ გრძნობის არც დათმობა, არც უარყოფა არ შეეძლო ბიჭს.



მაისში დაამთავრებდა სკოლას. ადრე შემოდგომაზევე მოგვარდა დედის საბუთები.

– იქნებ ზაფხულში შევძლო დაბრუნება. რომ არ წავიდე, როგორ დაგიქირავენ რეპეტიტორებს? ვინ მოგცემს ბანკეტის ფულს? მამაშენი ლუდს და სიგარეტს ვერ შეელია, თორემ მე იოლად მიშორებს თავიდან. რა გქნა, შვილო, ხელფასი აღარაა საკმარისი ამ დანგრეულ ქვეყანაში. მამაშენს ჰგონია, ნადირობით არჩენს ცოლ-შვილს. არაა მასე, არა!... ტანსაცმელსაც გამოგიგზავნი და ფულსაც. როცა მთხოვ, მაშინვე. ოღონდ მიხედეთ თავს. ნუ მომძლავ! შენი იმედი მაქვს... – ნაწყვეტებად გადმოყარა ტექსტი დედამ აკანკალებული ტუჩებიდან.

– ტუალეტში გავალ, რაღაც მუცელი მიბუყბუყებს, – გაერიდა ბიჭისედას. წყლის დაშვების ხმას მხოლოდ კითხვა გამოჰყვა: ვისთან მტოვებ, ვისთან?! ეს კაცი არც მიცნობს... – თვითონ კი თვალი სარკის გამოსახულებას მიაშტერა. გვიან მიხვდა, რატომ მოიქცა ასე – თურმე საკუთარ თავთან დარჩენის უფრო ეშინოდა, ვიდრე მამასთან.

– შეერევი, მამაშენია, – იცრემლებოდა. – მიაქციე ყურადღება, წნევა უწევს ხოლმე, ჭკვიანად იყავი, არ გააგჟო კაცი. – ახლად ნაპოვნი სიმშვიდითა და ნაზი თითებით გადაივარცხნა ნაადრევი ჭალარა დედამ...



ძილმა ჩაითრია მოგონება.

უნდოდა, დედას გაჰყოლოდა. აგვიანებდა, მინდორზე გარბოდა, ჯერ წერტილს ხედავდა, მალე ვერტმფრენიც გამოჩნდა, ჰაერში ტრიალებდა, ზუზუნებდა. აჩქარდა, ეძახდა, ვერ აგონებდა. მიუსწრებს, აი, მიუახლოვდა კიდეც. წაბორძიკდა, ცალი ფეხსაცმელი გასძვრა, მეორეც დატოვა, უკვე ათ ნაბიჯზეა, ითვის: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა... წაიქცა. ადგილზე შეტკომა და გააღვიძა.

ამის ხმა ყოფილაო, მსხვილი შავი ბუზი მინას თავით ეხლებოდა, ზრიალებდა. ადგა, ფანჯარა გამოაღო, მწერი გაუშვა – გაათავისუფლა. შურით გააყოლა მზერა განათებული ქუჩის სიღრმეში. შორს მფრინავმა წერტილმა სიზმრის დასასრული მოაგონა – როცა წაქცეულმა მზერა დაადევნა ვერტმფრენს, შენიშნა, რომ მასში სხვა იჯდა; გაარჩია – მასწავლებლად ცქეულიყო დედა. არ ეშლებოდა, ვერტმფრენში ნამდვილად ის იჯდა, ის!.. უღიმოდა.

ოთახის სივრცე მიდუმდა. ფული აქაც არ დაუტოვებიაო! – წყენით მოათვალიერა საძინებელი.



არც დილით გადასცა. ვერ დაარწმუნა მამა, რომ აუცილებელად უნდა ჰქონოდა იმ დღეს ფული. ვერ გაუმხელდა, რისთვის უნდოდა. იცოდა, სერიოზულად არ მიიჩნევდა, აბუჩად აიგდებდა. მას ხომ არ ესმოდა, რა იყო სიყვარული. არადა, გვანცასთვის ძვირფასი საჩუქრით უნდა მიელოცა დაბადების დღე, ვარდებიც უნდა მიერთმია, ბოლმით უნდა გამსკდარიყვნენ თანაკლასელები, ახლოსაც ვერ გაჰკარებოდნენ თავიანთი ცემილები. ფული ძალიან სჭირდებოდა, ბევრი!

– მომეცი! – სთხოვა საუზმისას.

– არ მოგცემ! – ილუკებოდა.

– ჩემია! – მოსვა ჩაი.

– არ დაგიმსახურებია, არ იცის იმ დედამოტყნულმა, რომ არაფერს სწავლობ, სკოლას აცდენ, ქუჩაში გდისხარ, თერები კიდეც დაჩნუბობ... არ იცის, თორემ ჩემს ფეხებს გამოგიგზავნიდა! – ღრიალებდა. – არ მოგცემ! – მიაგდო დანა, პურის ნაჭერი ჩაბლუჯა.

– მომეცი! – ყბაშეკრულმა გამოთქვა, თითქოს იმ მუჭებში ჩაკუჭა სიტყვაც, რომლითაც მამა საყელოთი დაითრია.

– ვის უბედავ, შე ლაწირაკო?! – სახეში შემოარტყა ხელისგული განრისხებულმა კაცმა. შუბლი შუბლზე მიაბჯინა. – გაეთრიე ჩემი სახლიდან! შენი ფეხი არ ვნახო აქ!

არ ელოდა. წაბარბაცდა. დაცხრა.

– ჰეჰ... – ჩაივინა, – დიდიმადლობა, რომ გამათავისუფლე, მამამამა! – ზმუილით ასძახა კიბზე დაშვებულმა მტრად ქცეულ მშობელს.

მუცელი ისევ ასტკივდა, მაგრამ გული საგულეს ჰქონდა. დიდი რამე, სახლიდან თუ გააგდეს. დიდი ხანია, იცის, სადაც გაათევს ლამეს. ვინც შეიფარებს და უკეთესადაც მოუვლის – ნამდვილ დედასავით. ეჰ, რატომ არ არის მისი შვილი, რატო, რატო, რატოო! ნეტავ შეიძლებოდეს...

– სისულელეა... მაგის დედას შევეცი! – შარვლის ცარიელ ჯიბეებში მუშტებით მოერია სასოწარკვეთას.



– ალო! სკოლა გისმენთ!
– ...
– დიახ, ჩვენი მოსწავლეა.
– ...
– დიახ, გუშინ არ გამოცხადებულა.
– ...
– არა, ბატონო. ხშირად აცდენს... არ გვიცნობენია მშობლებისთვის.
– ...
– რა ჩაიდინა?
– ...
– როგორ? ჩაამსხვრია? ბევრი დაიკარგა? კამერამ დააფიქსირა?
– ...
– რას ამბობთ? განყოფილებაშია? გამთენიისას დააკავეთ?
– ...
– ვაცნობებთ მამამისს.
აცნობეს.

– შარს გადაძვიდა, შარს! – მრისხანებდა დირექტორი. – მოვა-შორებ ამ სკოლას! გავრიცხავ! სადაც გნებავთ, იქ წაიყვანეთ თქვენი ბანდიტი შვილი. არ მჭირდება პრობლემები... – დაუსრულებლად გააგრძელებდა, მამა პირში რომ არ სცემოდა.

– ახლა აღარ გჭირდებათ, არა? მისი სპორტული მიღწევებით რომ სახელი გაითქვით, კარგი იყო? საქალაქო კონცერტებზე რომ ამღერებდით, მოგწონდათ? ოლიმპიადის სიგელები რომ მოჰქონდა, აქებდით, არა? ფენი დაუცდა და მოიძულეთ, გააგდეთ... – ბობოქრობდა გამწარებული მშობელი. – თქვენ დამიღუპეთ, ხელი არ შეუწყვეთ, თქვენ შეაძულეთ სწავლა, შურმა და ბოლმამ აგავსოთ, გააბოროტეთ! – დირექტორს ცხვირწინ უტრიალებდა გაჩაჩხულ თითებს, იდობლებოდა. – უშველეთ, დაიხსენით, თორემ დაგბოცავთ! ჩემს შვილს რომ რამე მოუვიდეს, არცერთს არ გაცოცხლებთ! საცხედ არ გამიზრდია! – დერეფნები შეარყია ცხოველად ქცეული კაცის გრგვინვამ.

არასრულწლოვანებამ, ცალკე მამისა და ცალკე დირექტორის კავშირებმა ამჯერად სასჯელს კი ააცილა ბიჭი, მაგრამ სკოლიდან გარიცხეს! შედეგად, არც ატესტატი აუღია, არც ბანკეტს დასწრებია.



თვრამეტი სანთელი სულის ერთი შებერვით ჩააქრო. ტორტის კრემში ამოსვრილი ხენდრო საკუთარი ხელით დააგემოვნებინა მეგობრებს. რესტორნის მომღერალს მიკროფონი ჩამოართვა. სუფრას ბოთლის ღვინო არ შემოკლებია შუაღამემდე. გასტუდენტებული თანაკლასელები დაათრო შუშუნა სასმელმა. გვანცა იმ „ვიდაცამ“ გამოიცეკვა.

– გარეთ გამოხვალ, ჩემი ბიჭი! – შიგ ყურში ჩაეყარა ცივი სიტყვები მოცეკვავეს.

სისხლით მოისვარა ქვაფენილი. ის გადაარჩინეს - ეს დააკავეს! მაშინაც ასცდა ციხე. გაამართლეს. მეგობრებმა დაიცვეს.



01:45 საათი. ტელეფონის ზარი.
– დიახ, ჩემი შვილია.
– ...
– განყოფილებაშია? რა ჩაიდინა?
– ...
– ნარკოტიკი? ტყუილია...
– ...
– დიახ, ახლავე მოვალ!
– ...
– ნაცემი არ დამხედეს, გესმით! ადვოკატს მოვიყვან...



სრულწლოვანებამ და დანაშაულის სიმძიმემ გადაწონა. გაასაჩივრეს. ადვოკატმა დაარიგა. სასწრაფოდ დახასიათება სკოლიდანო, ცურვიდანო... მასწავლებლები მოწმედო. ფუჭი მცდელობა. სკოლას აღარ ეკისრება პასუხისმგებლობაო. გაცხადდა სასამართლო პროცესზე.

მიუსაჯეს.

მამამ განაჩენი მოისმინა. წელში მოიხარა. დაჩიავდა. იმ ნადირს დაემსგავსა, საფრთხის მოლოდინში რომ გარბის თავაშვებული. დამიღუპეს შვილიო, – ამოიგმინა და დარბაზი ისე დატოვა, რომ მის სახეზე შურისძიების წყურვილი არავის შეუმჩნევია. სისხლი გაეყინა.



მაშინ პირველად ინახულა შვილი ციხეში. გამხდარიყო ბიჭი. ხშირად მტკიცა მუცელი, ალბათ, საავადმყოფოში გადამიყვანენო. დედა მენატრებო! – თან ფიქრში გაიკვირვა: – როგორ ჰგავს ახლა მამა სიზმარში უცებ დაბერებულ ბაბუაჩემსო.

მეორედ გზავნილს დედის გამოგზავნილი წერილიც გააყოლა. იქიდან სამაგიერო ფურცელი გამოუტანეს. დანაბარებიც სიტყვასიტყვით გადასცეს: ვინმეს გაატანე, როგორმე მიაწვდინეო. მალე გარეთ ვიქნები და ერთად ვინადიროთო. გავუგზავნიო, – დაჰპირდა.



შუადღე გადასულიყო. კურდღელს ჩაუსაფრდა, დაუმიზნა, გაისროლა, ხმამ კუნთები შეუკრთო, შეფხიზლდა. სავარძელში მისძინებოდა. ცის ქუზილი ყოფილაო.

სიზმარი ენიშნა – ნადირობა ღმერთმა მიკარნახაო. მარტოობისას ტყე მშველისო, აზრზე მოეყავარო; ტყეში ის ვარ, ვინც სინამდვილეშიო. ფიქრმა გაიტაცა: იქ თოფი მაქვს, რისი მეშინიაო; ნადირივით ცხოვრება ადვილიაო; არავის წინაშე არავითარი ვალდებულება არ მაკისრიაო; სროლა თუ გამიცუდდა, არ შემრცხვებო; ძალადაკარგული ცხოველის დამორჩილება მსიამოვნებო; რაც მეტი, მით უკეთესი – ინსტინქტები მიაქტიურდება და ამით ვკაიფობო, ტყე უფრო მიყვარსო... აღტაცებამ შეაწყვეტინა დაკვირვება. გაუზარდა, რომ აჯობა თავს და აზრის სიტყვებით გადმოცემა შეძლო. ირწმუნა, გამარჯვება შემძლიაო! ესეც ჩემი ილბალიო... – ილიმებოდა კიდეც. რა კარგია, სისხლი გამიცხელდაო. პულის მართლა აჩქარებოდა.

დაბნელებას დაელოდება და წავა. მანამდე იმ ქალს წერილი უნდა მიაწვდინოს. ვის გაატანოს? ახლა არავის ნახვა არ უნდა. იძულებულია, თვითონ გადასცეს. უნდა დალიოს. ფხიზელი ვერა, ვერ შეძლებს!

ჩამოლამდა. ჩამოიღო. გააშხადა. დატენა. ჩაიტანა. ჩადო. საბარგულში უდიდესად ჩაყარა მაღალყელიანი რეზინის ჩექმები, ბუშლატი, ქუდი, საძილე ტომარა და საგზლის ჩანთა. ჩაჯდა. დაქოქა. დაძრა. ნეტა რა წერია ამ წერილშიო! – პირში იგუბებდა ინტერესს. ოთხჯერ დაამუხრუჭა შუქნიშანთან. როგორც იქნა, დასრულდა გზა. სადარბაზოს წინ გაჩერდა.

ერთი წლის წინ არ იყო, შვილს რომ მოაკითხა აქ, სახლში დააბრუნა?! ახსოვდა. მიაგნო. გაიღო.

– გამარჯობა, მობრძანდით, რამ შეგაწუხათ, ხო მშვიდობაა? – ნაცნობ მამაკაცს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, სხვაგვარად ვერ მიეგება მასპინძელი.

– შეიძლება? – არ დაელოდა ნებართვას, შეაბიჯა, მეძებარივით მოათვალიერა იქაურობა. შენიშნა, გვერდით ოთახში ახალგაზრდა მამაკაცს ეძინა.

– ჩემი ბიჭია, – ქალმა საძინებლის კარი გამოხურა დამისაღებისკენ გაუძღვა უდროო სტუმარს. სკამზე მიუთითა.

დაჯდა. თვალი შეავლო გადაშლილ წიგნებს.

– ამათ ახლავე ავიღებ. ჩაის ხომ არ ინებებთ? – დაუღბა დიასახლისი. გაუღიმა კიდეც, თუმცა მღელვარებას ვერ გაუმკლავდა. ხშირ სუნთქვას აყოლილი გულმკერდის მოხდენილმა მოძრაობამ გასცა ქალის ემოცია. კაცის ხარბ მზერას სახე მოარიდა, შებრუნდა, ჩამოჯდა. დაელოდა.

– ამდროს სტუმარს აღარ ველოდით. ახლახან ჩაეძინა... – წყნარი მობოდიშებით დაძლია უხერხულობა.

– თქვენს ბიჭს სძინავს, არა? – წამოენთო სტუმარი. – ჩემს ბიჭს იქ ტილები ესევა, ნაგავს ჭამს... ამ მაგიდასთან ასმევდი ცხელ ჩაის დილა-სალამოს?! რისთვის მოვიდოდა სახლში – ვარდივით ქალი უთბობდა ფეხებს თურმე. რითი სჯობიხარ, ქალო, შენ დედამისს, რითი?! – ხმა და ტანი ერთდროულად აეწია კაცს. მკვრივი მხრები მუჭებით დააყრდნო მაგიდას.

– რას კადრულობთ, ბატონო? თქვენს შვილსაც და მეც შეურაცხმყოფთ... პატივი ეცით მას! – სუსტად შეეცადა ქალი წინააღმდეგობას.

– შეეენი ბრაღიაა ყველაფერიიი! – რისხვამ გაწელასიტყვები. – ეს ლექსები გესწავლებინა ოჯახიდან გაქცევის ნაცვლად, ეს ლექსები! – მკლავის მოსმით იატაკზე გადაყარა წიგნები.

– მე?... ჩემი?... ის... რა ბრძანეთ?... გაიმეორეთ! – დაიბნა ქალი. – ბიჭს სახლში მისვლა შეაძლებოდა, ადამიანად არ თვლიდით!... – შეტევით მოიგერია ბრალდება.

– მე შევაძლებე?! მე? – კიდეც რამეს იტყოდა, რომ არა მტკიცე რჩევა:

– ხმას დაუწიეთ, ჩემი შვილი გაიღვიძებს!

კაცი ერთხანს მიყურდა. მზერით მიაცივდა.

– მე გაქწირეთ! – მას აღარ მიმართავდა, მის ხმას ბრაზიც ჩამოსცილებოდა, თითქოს სხვა სივრცეში გადაინაცვლაო. – ცოლმა დამტოვა,

შენ შვილი წამართვი – ორივემ მარტოობისთვის გამიმეტეთ! რა ვქნა ახლა მე?!

პასუხი არ იყო.

რალაც მოაგონდაო, აფართხალდასავით. წამოდგა. ქალიც. გასასვლელისკენ დაიძრა. გაჰყვა. სტუმრის ზურგმა შიში შთანთქმა.

– ის ციხეშია, როგორც იცით, ვინახულე დღეს, – მოულოდნელად პირით დაუდგა გამცილებელს. – თქვენთან წერილი გამომატანა, ამისთვის მოვედი. დავტოვე და წავალ, – წინადადებას ჯიბეებში ხელის ფათური ააყოლა. ვერ იპოვა. – მანქანაში დამრჩენია, ჩავალ, კარი არ ჩაკეტოთ, ახლავე ამოვბრუნდები!

– კი, ბატონო, დაგელოდებით, – შეკრთომის შემდეგ ჩვეული მოთმინებით დაუყვავა ქალმა.

უფრო მძიმე ნაბიჯით ამოვბრუნდა. ის კართან ელოდა. ასეთი გრძელი ხელი ვერ იქნებო...

– რას აპირებთ! – თითები აუკანკალდა შიშისგან... თუ სიბრაზისგან. – რას აპირებთ! – შეჰკივლა.

– მეც ჩემი შვილის გვერდით დაძინებამინდა! ჩუმად, ჩუმად... ბიჭს გააღვიძებთ! – ყურთან ახლოს უჩურჩულა.

მერე მარცხენა ძუძუზე მიბჯენილი ლულით უბიძგა, სამზარეულომდე უკუსვლით ატარა.



ახლა წევს მუცლის მოგონილი ტკივილით და გულიდან ისვრის: ბუჰ-ბუჰ!... ბუჰ-ბუჰ!...



დედამიწამ მასწავლებლის წინაშე ქუდი მოიხადა!





მედიკალიზაცია

პონტიაქია

– გუშინსად იყავით? – იკითხა მასწავლებელმა, თან მაგიდაზე მძიმე ჩანთა დააგდო და სკამი ფეხის ბრაზიანი მირტყმით გაისწორა.

ყურადღება არავინ მიაქცია. ბავშვები ჩანთებში იქექებოდნენ, წიგნებსა და რვეულებს იღებდნენ და მერხებზე ალაგებდნენ.

– დროზე მიპასუხეთ! – ხმას აუწია მასწავლებელმა. – თქვენ მე მოცლილი ხომ არ გგონივართ? აქ თქვენი გულისთვის დავდივარ, თორემ მილიონი საქმე მაქვს სახლში.

– აქციაზე, ზაზა მასწ, – ამოივნავლა ნანამ.

სწორი სვლა იყო. ნანა ზაზას საყვარელი მოსწავლე გახლდათ. სხვა მასწავლებლებსაც ძალიან უყვარდათ, მაგრამ ისტორიას ისე კარგად სწავლობდა, თვითონაც მშვენივრად ჩაგვიტარებდა გაკვეთილს.

– გასაგებია, მაგრამ არ მჯერა. აქციაზე მეც ვიყავი, არცერთი არ მინახიხართ იქ. არადა, არ იყო ბევრი ხალხი, რომელიმეს აუცილებლად შეგამჩნევდით.

– მართლა იქ ვიყავით, – დაიცვა თანაკლასელები დათომ.

– შენ გაჩუმდი. ყველასგან შეიძლება დავიჯერო, მაგრამ შენ იქ არ წახვიდოდი.

– არადა, წავედი.

– არასადაც არ წასულხარ.

– კი, ნამდვილად ვიყავი, ნებისმიერს ჰკითხეთ.

– კითხვა რად მინდა. არ ვიცოდე მაინც, რა ჩიტიც ხარ. წახვედი არა ის. მერე შენი მეგობრები რას იტყოდნენ, აი, ისინი, საღამოობით ვისთან ერთად დადიხარ. ძველები არიან თურაც ჰქვიათ, მაგათთვის ხომ არ შეიძლება, არ დაგიშალეს ვითომ? .. ეჰ, მამაშენის ადგილას სულ ქამრის ქვეშ მეყოლებოდი.

– ისინი ციყვენ თან იყვნენ. რალად როს ძველი ბიჭობაა, ვერ ხედავთ, რა ხდება? სახლში გაჩერება როგორ შეიძლება. არ მესმის ამ ხალხის. სამსახურებში დადიან, თითქოს არაფერი მომხდარა.

– ხმა ჩაიგდე. ჯერ ერთი, არ ყოფილხარ, მერე კიდე, შენ რა, გინდა, მთელი ქვეყანა გაჩერდეს? სამსახურში არავინ იაროს, საჭმელი არავინ გააკეთოს, ბავშვებს პამპერსები არავინ გამოუცვალოს, პური მეპურემ აღარ გამოაცხოს, დაჭრილებს ჭრილობა არავინ შეუხვიოს, საზღვრები არავინ დაიცვას, აფთიაქში წამალი არავინ მოგყიდოს? გგონია, ყველა თუ აქციაზე გავა, ქვეყანა აშენდება?

– ამას როგორ ამბობთ, ხომ ნახეთ, რაც მოხდა, ისტორიის მასწავლებელი მაინც არ იყო!

– კლასიდან გაეთრიე. გაკვეთილის ბოლომდე გარეთ დამელოდები, მერე დირექტორთან შევალთ. იმას აუხსენი, სად ბრძანდებოდი. აქციაზე რომ არ ყოფილხარ, ვიცი და ნუ ბოდავ რალაცებს.

– მართლა იყო, მასწ, – დაიცვა გიომ. – მაგის მეგობრებიც ჩვენთან იყვნენ, ცოტა გვიან მოვიდნენ, წყალი მოგვითანეს. ფურცლები და მარკერები გვქონდა წაღებული, პლაკატებს ვაკეთებდით. მერე მსვლელობაც მოვაწყვეთ ჩვენი სკოლის სახელით, ზებრაზე ვჩერდებოდით, მანქანების წინ. არავინ გაბრაზებულა, მანქანები სიგნალით გვიჭერდნენ მხარს.

– კი, მასწ, მართლა ეგრე იყო, – გააგრძელა გვანცამ. – იმდენი ხალხი შემოგვიერთდა... ერთგან კაფესთან ჩავიარეთ და ქალმა ღვეზელები გამოგვითანა, მომივებული იქნებით, ბავშვებო, თან დაგვლოცა.



– და ის რა მაგარი კაცი იყო, – გაეცინა ჯაბას, – ბუმტების გამყიდველი. მთელი ბუმტები მოგვცა. ზედ მოთხოვნები დავწერეთ და ქუჩაში შემხვედრ ხალხს ვურიგებდით.

– მზესუმზირის გამყიდველი ჩვენცენაა, დათოს დაუტოვა ყველაფერი და დააბარა, ვინც მოვა, უფასოდ გაუმასპინძლო, – აჰყვა თეო. – ისე, ჩვენც ბევრი ვჭამეთ, გადავწყვიტეთ, ფული შევუგროვოთ და დასადგამი ქოლგა ვუყიდოთ. სხვა დროს მზეზე ჯდომა აღარ მოუწევს.

– ყველა ერთად გაგიჟდით, თუ რა ზღაპარს მიყვებით. მესემიჩკე არა ის, არავითარი მესემიჩკე არ მინახავს. მთელი სკოლა იქ ვიყავით არადა, ყველა მასწავლებელი. გაკვეთილები მორჩა თუ არა, იქ დავდექით, არცერთი არ მინახიხართ. ალბათ პარკში ჭამდით თქვენ სემიჩკას, იმედია, არ მოიპარეთ მაინც.

– არა, რატომ უნდა მოგვეპარა, ხომ გითხარით, თვითონ დავგიტოვა, სცენაზე უნდოდა სიტყვით გამოსვლა და რიგში ჩადგა, მაინც რატომ არ გჯერათ, ვერ გავიგე. რა არის აქ ასეთი დაუჯერებელი? – გაბრაზდა დათო.

– შენ კიდეც აქ ხარ? ხომ გითხარი, გარეთ დამელოდე–მეთქი!

– მიპასუხეთ და გავალ, – დაჰპირდა დათო. – მართლაც ვერ ვხვდები, რატომ არ გჯერათ. მით უმეტეს, თქვენც თუ იყავით, რა გაჩხუბებთ. უნდა გიხაროდეთ, რომ თქვენი მოსწავლეები იქ დგანან, სადაც ქვეყანას სჭირდება.

– არ ყოფილხარ, არც შენ ყოფილხარ, არც ეს ბატები არ ყოფილან, – კიდეც უფრო ხმაძალა აყვირდა ზაზა. – არც არის თქვენი საქმე იქ ყოფნა. ქვეყანას კიდეც ის კი არ სჭირდება, რომ გარე–გარე იყილოთ და სისულელეები აკეთოთ, ქვეყანას განათლებული ახალგაზრდები

სჭირდება, პროფესიონალები. ბევრი უნდა იკითხოთ, ოღონდ ყველაფერი კი არა – რასაც უფროსები გირჩევენ. ბევრი უნდა წეროთ, ბევრი უნდა იმუშაოთ, ბევრი უნდა ივარჯიშოთ და, რაც მთავრია, ნაკლები ტყუილი დააბრეხოთ. ახლა კი წადი, ღირექტორი ამომიყვანე, ახლავე.

– მართალი ხართ, განათლება მთავარია, მაგრამ მართო განათლება არაფერი არაა და არც ისაა განათლება, რაც თქვენ გგონიათ.

დათო ოთახიდან გავიდა. დანარჩენებიც უკან გაჰყვნენ.

– თქვენ სადღა მიბაკუნებთ? ადგილზე დაეტიეთ ახლავე! – სახე წამოუწითლდა ზაზას. – თქვენ–თქვენს სკამებზე დასხედით, დროზე! ბავშვები არ ჩერდებოდნენ. ზაზა ადგა და წინ გადაუდგა.

– დროზე დაეყარეთ!

– კარგითრა, ზაზამასწ, უკვე ზედმეტი მოგდით, – გაბრაზდა ნანა.

– აღარ გვინდა თქვენი გაკვეთილი, ჩვენ თვითონ ჩავალთ ღირექტორთან და მოვითხოვთ, სხვა მასწავლებელი დაგვინიშნოს.

– ისეთი მაინც, ვინც დავგიჯერებს, – თქვა ოთომ.

– ვინც ხელების ქნევას არ მოჰყვება, – გააგრძელა ქეთიმ. – ისეთი სახით დგახართ, შეიძლება დაგვარტყათ კიდეც.

– მეტი საქმე არ მაქვს, თქვენ გამო სამსახური დავკარგო! არ გინდათ სწავლა და ჯანდაბამდე გზა გქონიათ.

– სწავლა რომ არ გვდომოდა, აქ რატომ მოვიდოდით? ისე, დე–დაჩემიც იყო აქციებზე და დათოს დედაც, ჩვენი თუ არ გჯერათ, იმათ დაურეკეთ. ნომრები ხომ ყველასი გაქვთ, სულ რეკავთ და ახლაც დარეკეთ, იმათი მაინც ხომ გჯერათ... – გაუღიმა სოსომ.

– იმათი რატომ უნდა მჯეროდეს, ოღონდ თქვენ გადაგეფარონ და ხან სიცხე გაქვთ ვითომ და ხან – განგრენა. ისინიც თქვენი კულები არიან. თან არც ისინი მინახავს აქციაზე და ასე ერთიანად სად დაწან-წალებდით, ვერავინ რომ ვერ დაგინახეთ?

– მგონი, თქვენ თვითონ იტყუებით, მასწ, და აქციაზე არ ყოფილხართ, არა უშავს, დღესაც იქნება დამოდიო. დირექტორიდან ყველანი იქ მივდივართ, – დაამშვიდა გურომ.

– გაეთრიეთ აქედან!

– დამშვიდდით, მასწ, ისედაც გავდივართ.

ყველანი ღერეფანში გავიდნენ და კიბით პირველი სართულისკენ დაეშვნენ. დირექტორის კაბინეტი იქ იყო, კიბის ბოლოში.

დირექტორის სტუმარი ჰყავდა და მოცდა მოუწიათ. იატაკზე ჩამოსხდნენ, ხმადაბლა დაიწყეს საუბარი, მალე გათამამდნენ და ისეთი ხმაური ატყდა, როგორც აქციაზეა ხოლმე. ქაოსური, თითქოს უაზრო. არადა, ყველა საქმიანად ლაპარაკობდა. გეგმებს აწყობდნენ, რა უნდა ეთქვათ, პირველი ვის უნდა ელაპარაკა და ვისი ჩუმად ყოფნა ჯობდა. თან ზაზასი ეშინოდით, არ უნდოდათ, ჩამოსულიყო და დირექტორთან მათზე ადრე შესულიყო, მაგრამ არ გამოჩენილა.

ცოტა ხანში დირექტორიც გამოვიდა.

– რა ამბავია აქ, რა აქცია მომიწყვეთ? – გაბრაზდა ამდენი ბავშვის დანახვაზე.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო თეა, უბრალოდ ზამამასწავლებელმა გამოგვყარა და უნდა დაველაპარაკოთ, – დაიწყო ისევ ნანამ.

– კაბინეტში ყველა ვერ დაეტევით, 4-5 ბავშვი შემოდიო, დანარჩენებმა გარეთ მოიცადეთ და ნუ ყაყანებთ, სასწავლო პროცესს აფერხებთ.

ნანა, დათო, ქეთი, ოთო და გვანცა შევიდნენ.

დირექტორი ვითომ ყურადღებას არ აქცევდა, თავისთვის რალაცებს ფურცლავდა. ბავშვები ხმას არ იღებდნენ, შეშინებული სახეებით იდგნენ. სულ დაავიწყდათ, ვის უნდა დაეწყო და რა უნდა ეთქვა. დირექტორმა იცადა, იცადა და როდესაც მიხვდა, საკმარისად შეშინდნენო, ბრაზიანად დაიწყო:

– თვითონ ზაზა მასწავლებელი სადაა, რატომ არ ჩამოვიდა?

– არ ვიცი, ალბათ მერე ჩამოვა, – უპასუხა ნანამ.

– და თქვენ რაზე მობრძანდით, დღეს რაღა გააფუჭეთ, მთელი სკოლა რომ შემეყარეთ და ერთ ამბავში ხართ?

– საკლასო ოთახიდან გამოგვყარა, აქციაზე არ ყოფილხართ, მატყუებთო.

– არადა, გუშინ მთელი დღე იქ ვიყავით. დილით ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, პირველივე გაკვეთილიდან გავედით.

– თან გვეჩხუბება, მეც იქ ვიყავი და თქვენ არ ყოფილხართო.

– მართლა იქ ვიყავით, ქალბატონო თეა, დედას გეფიცებით, სხვაგან არსად წავსულვარ, აი, დათოს დედაც იქ იყო.

– ყველაფერი დაწვრილებით მოგუყევით და მაინც არ სჯერა, გვიყვიროდა და დათო ოთახიდან გამოგაგლო. ჩვენც გამოვყევით. დათოს არაფერი დაუშავებია, ყველა ერთად ვიყავით.

ბავშვები ერთხმად დაცოტა გაუგებრად ლაპარაკობდნენ, მაგრამ დირექტორმა ყველაფერი გაიგო.

– აჰ, თქვენ რა გითხარით, ამაზე მანერვიულებთ მერე? აქციაზე ჩვენც დავდივართ, თუ წამოსვლა გინდოდათ, გეთქვათ და ავტობუსით წაგიყვანდით. ორგანიზებულად, კულტურულად, დროშებსაც მოგცემდით. ქართველები ხომ ხართ, დროშები უნდა გექჩიროთ.

უცხად გარეთ ხმაური ატყდა. ვილაც ივინებოდა. დირექტორი კაბინეტიდან გავარდა, ბავშვებიც უკან გაყვნენ.

გარეთ ზაზა იდგა.

დირექტორის დანახვაზე წამით გაშეშდა და პირიდან გამოჩრილი გინება ნერწყვთან ერთად ხახაში ჩაიბრუნა.

– გამარჯობა, თეა, – მიესალმა ისე, თითქოს მობოდიშება უნდოდა.

– აქ რა ჯანდაბა ხდება? – თვალებით ბურღავდა თეა.

– არაფერი ისეთი, უბრალოდ, აქციაზე დავდივართო და...

– ჰო, ვიცი, მეც ეგ მითხრეს და მჯერა კიდევ. შენ რა ჯანდაბამ გაგაცოფა, რა გჭირს საერთოდ, უნდა გიხაროდეს, შენი ბავშვები თუ აქციაზე დადიან, შენ კიდევ...

– არა, არა, ვცდებოდი. აქციაზე მართლა იყვნენ.

– მერე რაღა გაყვირებს?

– მეორე აქციაზე იყვნენ.

– ნამდვილად იცი?

– ჰო, წელან ჩანთები გავუჩხრიკე და ეს ვიპოვე.

– რა იპოვე, ამოღერღე.

– ეს ბანერი.

– და რა წერია?

– „რუსეთი ოკუპანტია“.

– რააა?

– ჰო, ეგ წერია.

– ცუდადაა საქმე.

– მეც ეგრე ვფიქრობ.

– სასწრაფოდ უნდა დავრეკო. თქვენ მერე მოგხედავთ, უმადურებო. მომინდომეს პოლიტიკოსობა. მაცადეთ, თქვენ მერე მოგხედავთ. წავიდა, დარეკა.





თამარ უსიტაშვილი

ღამაზი სიზმრები გლჳიძეებისას არ მთავრდება

გამარჯობა.

მე გვანცა ვარ.

ოცდაოთხი წლის ვარ და ახალ ცხოვრებას ვიწყებ.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია, ჩანთაში მიდევს ხელშეკრულება – ერთ კვირაში მთაში მივდივარ, ცხრაბავშვიან სკოლაში ქართულის მაწავლებელი ვიქნები.

მთავარი კი ჯერ წინაა – შინ ახალი ამბავი არ იცინა.

რაც უფრო ვუახლოვდები სახლს, მით უფრო ნელდება და მიმდებარა ჩემი ნაბიჯი. სადღაც ქრება აღმავრენა და ოცნებები, გული ბელურასავით მიფართხალებს.

– დეე, მოვედიო...

– ხელები დაიბანე და ჭამე.

ეს მოკლე დიალოგი ყოველდღე მეორდება, სხვანაირი და განსხვავებული ახლა უნდა ვთქვა. ახლა თუ არ ვიტყვი, საღამოს უფრო გამიჭირდება.

– დეე, მამა, ერთ კვირაში მთაში მივდივარ... სამუშაოდ, – გამბობ თვალდახუჭული. ისეთი სიჩუმეა, თვალს ვახელ და ვამოწმებ. არა, ნამდვილად აქ არიან.

– საუკეთესო მოსწავლე, საუკეთესო სტუდენტი... ჯერ ეს ფილოლოგია აიჩემა... ახლა?! ეს რა იდეაა, სადაა პერსპექტივა? რა გახდა ერთი სამსახური თბილისში, რა გაგიჭირდა ასეთი? – თითქოს მე აქ არც ვიყო, მამასკენ ბრუნდება დედა.

– დამაცადა ვინმემ?! სოფოსაც ვუთხარი, ესმასაც, ლამასაც. შუა წელიაო, გვაცადეო, სექტემბრიდან იქნება რამეო, – არც მამასთვის ვარ აქ.

– კიდევ ჩაიბრუნე რამე? – ზმორებით შემოდის სამზარეულოში ერეკლე. ერეკლე ჩემი ძმაა და მიხარია, ამან მაინც შემაძწნია.

– თურმე მთაში მიბრძანდება ქალბატონი სამუშაოდ, – ეს დედაა.

– მთაში რა გინდა, მწყემსის ვაკანსია გაჩითე? – ასეთი იუმორი აქვს ერეკლეს.

ჩუმი ვარ. ველოდები, როდის გადავივლის აღმავრენის პირველი ტალღა. მეც ვიცი და მათაც, არაფერი შეიცვლება. ჩემი ოთახისკენ მივდივარ მშვიდ და დედას, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ეს არ ადარდება.

გვიან ღამით მამა შემოდის ჩემთან. მე საწოლის კიდზე ვზივარ, გაბუტული, თმის ბოლოს კბილებით ვიწიწნი (ბავშვობიდან მაქვს ეს მავნე ჩვევა). მამა თმაზე მისვამს ხელს და...

– შზად ხარ ამისთვის, გვანცა?

– მა, ბევრი ვიფიქრე, სანამ გადავწყვეტიდი.

– იქსხვასამყაროა, შვილო. შეგცივდება, მოგშივდება, დაიღლები, მოიწყენ, მოგებზრდება და...

– ვიფიქრე ამაზე, მამა.

მივდივარ, მივდივარ, მივდივარ...

გზა ცამდე აზიდულ მთებს შორის მიიკლავება. თვალწარმტაცია ყველაფერი, სხვა სიმწვანეა, სხვა ჰაერი, აქ თავისუფლად სუნთქავ... რაც უფრო მაღლა ავდივარ, უფრო ფუჭდება ამინდი. მზე თითქოს ბარში დარჩა. ნისლია, ზოგჯერ ცრის. ვერ ვისვენებ, ხან ერთი ფანჯრიდან ვიყურები, ხან მეორიდან. მინდა, არაფერი გამომრჩეს. არამიწიერი სილამაზეა, საოცარი.

– ფშაფში პირველად ხარ? – მეკითხება მაღალი, ხმელი ქალი. ორი დიდი ჩანთა უდევს ფეხებთან და დიდად არ ალღევებს, რა ხდება ფანჯრის მიღმა.

– დიახ.

– მოგზაურობ?

– მასწავლებელი ვარ.

ისეთი სიამაყით ვამბობ ამ სიტყვას და ისეთი სითბო და მოწიწება ჩნდება ქალის მქრქალ ცისფერ თვალებში, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები – ეს მინდოდა.

ავტობუსიდან მანქანაში გადავსხედით. ისევ გზა – რაც უფრო წინ მივიწევთ, უფრო ცუდი.

ვიწრო ორღობეები, ტალახი, უზარმაზაროქლომდადებული სახლები...

როგორც იქნა, მანქანა ჩერდება. ძველისა ხლია, ქვით ნაშენი. ეზოს კართან შუახნის, სიმსუქნეშეპარული დაბალი ქალი დგას. მძლოლი ჩემს ბარგს იღებს და ქალს მაცნობს:

– ეს ნელია, ჩვენი სკოლის დირექტორი. მის სახლში იცხოვრებ.

– გამარჯობა, ქალბატონო ნელი.

ნელი ხელს მხევს, მაგრად მიხუტებს გულში.

– კეთილი იყოს შენი მოსვლა, შვილო.

დირექტორს ყველისა თუ ხაჭოს მომუშაო სუნი აქვს. ვერ ვიტან ყველის სუნს და ზუსტად ვიცი, დღეს შშიერი დავიძინებ.

მისაღებ ოთახში ძველი ჭურჭლის კარადა, დივანი და პატარა მაგიდა დგას. ღუმელში ტკაცუნით იწვის შეშა, იქვე სკამზე ფისუნია თევდემს.

ქალბატონი ნელი მიყვება თავის სოფელზე, სკოლაზე. ამბობს, რომ ბევრს შრომობს, ჯერ სკოლაში, მერე სახლში. ეზოს, ბაღს, საქონელს მართო უფლის. მეზობლები ეხმარებიან, მაგრამ ყველას თავისი საქმე აქვს, ცდილობს, არავინ შეაწუხოს. ხვალ დილით ძროხას მოწველის და გამაღვიძებს. სკოლაში ერთად წავალთ.

წინ ერთი ღამე მაქვს. ხვალ უკვე ნამდვილი მასწავლებელი ვიქნები. ნეტავ როგორ შემედეგებიან ბავშვები? როგორ დავიწყო პირველი გაკვეთილი? ჩანთიდან უამრავ მასალას ვალაგებ – რაც ტრენინგებზე და სახლში გავაცეთე, ყველაფერი წამოვიღე. გაკვეთილი უნდა დავგეგმო. რატომ არ გვითხე დირექტორს, ხვალ რომელ კლასში მაქვს გაკვეთილი? თვითონაც რომ არ მითხრა? რანაირი დირექტორია რაა, რძისა და ხაჭოს სუნის დირექტორი. ვწერ, ვხევ, ისე თენდება, ვერაფერს ვგეგმავ. გარეთ გავდივარ, წყალი ეზოს ბოლოსაა, საპირფარეშო – საპირისპირო მხარეს. ნაწიმიარია და ტალახში ვეფლობი. რა გულიანად გაიცინებდა ერეკლე, ახლა რომ დავენახე!

ღმერთო ჩემო, რა ჩავიცვა?

შარვალი? – იქნებ აქ საერთოდ არ აცვიათ შარვალი ქალებს.

კაბა? – მეტისმეტად ოფიციალური.

მანც კაბას ვიცვამ, ლურჯს, ელეგანტურს. ქუსლიან ფეხსაცმელს – მასწავლებელი ვარ, ბოტასებით ხომ არ მივალ.

ქალბატონი ნელი მისაღებ ოთახში მელოდება.

– ვისაუბმოთ, გვანცი, ხაჭაპური გამოვაცხე.

ღმერთო ჩემო, ისევ ყველი...

– გმადლობთ, ქალბატონო ნელი, არ ვსაუბმო ხოლმე.

– ნელი დეიდა დამიძახე, შვილო.

ტალახიან გზას მივუყვებით. ნელი დეიდას „კალოშები“ აცვია, ფეხსაცმელს ჩანთით მიაკონწიალებს, საყვარლად. მე უკვე აღარც ჩანს, რა მაცვია, მძიმედ მივათრევ ტალახიან ფეხებს. ისევ მიხარია, ერეკლე რომ ვერ მხედავს.

სკოლაში ცხრა ბავშვი და სულ ორი კლასკომპლექტია. პირველი გაკვეთილი VII, VIII და IX კლასებში მაქვს. ვაჟიკო მეშვიდეშია, ანა და



თემური მერვეში არიან, გიორგი, გოჩა და მაია – მეცხრეში. ექვსივე ერთ საკლასო ოთახში და სხვადასხვა კლასში სწავლობს. ეს უკვე ამიხსნა ნელი დეიდამ, როცა გაკვეთილის დაწყებამდე ბავშვები გამაცნო, თუმცა გაკვეთილს მაინც ასე ვიწყებ:

– მე თქვენი ახალი მასწავლებელი ვარ, გვანცა. შენ ვინ ხარ? – მივმართავ ყველაზე უმცროსს.

– მე ვაჟიკო ვარ.

– ვაჟა.

– არა, მას, ვაჟიკო.

– ვაჟიკო მაშინ იქნები, როცა დაიმსახურებ, ჯერ ვაჟა ხარ.

ალარ მედავება, უცნაურად მშვიდად მიყურებს. ჟურნალს ვშლი და... ვაჟიკოა. ვცბები. საერთოდ რად მინდოდა ეს გაცნობის ცერემონია, ისედაც ხო გამაცნო ნელი დეიდამ? კლასების მიხედვით ვშლი ჟურნალებს და გვარებს ვკითხულობ. დავასრულე. რა ვქნა ახლა? ჩანთიდან ტრენინგზე გაკეთებულ შეფასების რუბრიკებს ვიღებ და კედელზე ვაკრავ.

როგორ მახსოვს ეს ტრენინგი! ტრენერი გვასწავლის, როგორ შევაფასოთ მოსწავლეები, რომ ეს შეფასება მათთვის სასწავლო არ იყოს. „თქვენ მათი უფროსი მეგობარი ხართ, – ამბობს ის. – მეგობარი? – ქირქილებს ერთი მასწავლებელი, – რა მეგობარი, რა იციან მაგათ მეგობრობის, გაუცინებ და გადაგივლიან, პატარა მონსტრები. პირველივე წუთიდან თუ არ მიუჩინე ადგილი, მორჩა, ისე დაბერდები, გაკვეთილზე წესრიგს ველარ ელირსები“.

მეც ვიწყებ ჩემი ექვსი ბავშვისთვის „ადგილის მიჩენას“. ხმამაღლა ვკითხულობ, რა შემთხვევაში დავუწერ ერთ ქულას, რა შემთხვევაში – ორს და ასე შემდეგ.

უცებ ფხუკუნი მესმის. გოჩას და გიორგის, მეცხრეკლასელებს, ბოლო მერხებთან რომ სხედან, თავები ჩაულუნავთ და იცინიან. მაია არ იცინის, მაგრამ ისეთი წითელია, ისე უციმციმებს თვალები, ერთი სული აქვს, აკისკისდეს.

– უმიზეზო სიცილშიც ერთ ქულას დაგიწერთ.

– მიზეზიანში – ათს, მას? – ეს თემურია.

– რომელ რუბრიკაში გიწერიათ ეგ, მასწავლებლო? – ანა არ იცინის, მკაცრად მიყურებს.

საბოლოოდ ვიბნევი. რა ჯანდაბად მოვიგონე ეს რუბრიკები. მართლაც, რასასაცილო ვარ ჩემი ტალახიანი ქუსლიანი ფეხსაცმლით, მკაცრი გამომეტყველებითა და ერთიანების მუქარით.

– ღუმელი ქრება, მას, შემას შეგუკეთებ, – საქმიანი სახით დგება ვაჟიკო. ასე ორ წუთს ვიგებ და გამალებული ვფიქრობ, ახლა რა ვქნა.

– გადაშალეთ წიგნები. რა გქონდათ ჩემამდე დავალებად?

– რომელი კლასის გაინტერესებთ, მას?

– ყველა.

წიგნს არავინ შლის, ჯიუტად მიყურებენ. ჩვენ შორის ყინული იზრდება და მე არ შემიძლია მისი გადნობა.

– გადაშალეთ წიგნები, – ხმა მიკანკალებს. „პატარა მონსტრები“, – მახსენდება ფრაზა ტრენინგიდან. მეცხრე კლასის წიგნს ვიღებ. სანიშნი ოთარ ჭილაძის პოემასთან „ადამიანი გაზეთის სვეტში“ დევს.

– იცით, რა არის ვერლიბრი?

კვლავ დუმილი. უკან ისევ ფხუკუნებენ გოჩა და გიორგი. ანას მერხზე ქაღალდის ნაგლეჯი ეცემა. ვასწრებ და ვიღებ. რომელიღაცას

ლამაზი, დახვეწილი კალიგრაფიით ჩაუწიკწიკებია: „შეფასების სქემის მიხედვით, დღეს გვანცა მასწავლებელმა დიდი ერთიანი დაიმსახურა“, – ქვეშ კი მეორეს მიუწერია გაკრული ხელით: „გეთანხმები, დღეს რაღაც არ იყო მომზადებული, შევატყობინოთ მშობელს“.

უმწეოდ ვიყურები ფანჯარაში. ზარის ხმა ხსნად მეველინება.

უკანმოუხედავად გავრბივარ კლასიდან. მახსენდება: ჟურნალები და წიგნები დამრჩა. უკან ვბრუნდები. წიგნებს ჩანთაში ვალაგებ, ჟურნალები სამასწავლებლოში შემეპქვს და სწრაფი ნაბიჯით მივდივარ სახლისკენ.

ეს ის არ არის, რაზეც ვოცნებობდი. არასოდეს წარმომედგინა ასეთი გაკვეთილი. მე მასწავლებელი არ ვარ, არ ვარ!

ჩანთაში ვყრი ტანსაცმელს, ყველაფერს, რაც მოვიტანე. ახლა გვიანია, დილით ხო გამოვივლის რამე, როგორმე უნდა ჩავალწიო ავტობუსამდე.

ულონოდ, უილაჯოდ ვბივარ საწოლზე. საწოლი რკინისაა, ძველ-ბური. დაჯდები და ქვემოთ იზნიქება.

– რა გეგონა, რომ მიდიოდი, – თითქოს დედის ხმა მესმის.

– უფ, არ მოეწონა გოგოს ტალახი, წითელი ხალიჩა არ დაგიგეს, პრინცესა? – ეს ერეკლეა.

მამა ხმამაღლა ალბათ არაფერს მეტყვის, თვალებით გამციცხავს.

მთავარია, წავიდე. სანამ მივალ, მოვიფიქრებ, როგორ გავამართლო ჩემი საქციელი. მთავარია, სწრაფად წავიდე, როდის გათენდება...

და წიგნები? ნელი დეიდას უნდა მივცე, ასე ხო არ დავყრი, სირცხვილია. დიდი ხანია, სკოლიდან დაბრუნდა. შემოიხედა, ვიკახშმოთო. უარი ვუთხარი. არაფერს მეკითხება. წიგნებს რომ მივცემ, ხო უნდა ავუსხნა წასვლის მიზეზი.

კარს უხერხულად ვაღებ. მეშვიდე კლასის წიგნიდან ფარფატით ეშვება კოხტად გადაყვანილი ფურცელი. ხელის კანკალით ვშლი: „ხვალ უკეთესი დღე იქნება. გვაპატიეთ, ჩვენ უკვე შეგვიყვარდით, გვანცა მასწავლებლო“.

ისევ ულონოდ ვეშვები რკინის საწოლზე. საიდანღაც მოდის სითბო, სიმშვიდე. ვწვები, თითქოს არაფერზე ვფიქრობ. გვიან, ძალიან გვიან მეძინება. ისევ იმ ძველ საკლასო ოთახში, ღუმელიდან გამოსული ბოლი ოდნავ რომ წვავს თვალებს, სულ ბოლო, გიორგის და გოჩას მერხებთან ვსხედვართ მე და ჩემი ექვსი მოსწავლე. ვსხედვართ და დიდი ფიქრისა და კამათის შემდეგ ვადგენთ შეფასების საკუთარ რუბრიკებს. ბოლოს ერთმანეთს ათიანებს ვუწერთ და ეს ათიანი ისე მიხარია, როგორც არასდროს.


მზის სუსტი სხივები მალვიძებს. თენდება... გუშინ რატომ ვერ შევამჩნიე, რა საოცარი ხედია ფანჯრიდან?!

მერე რა, თუ წყალი ეზოს ბოლოშია და საპირფარეო – საპირის-პირო მხარეს, გუშინელი ხაჭაპურიც ისეთი გემრიელია...

ფეხსაცმელებს ჩანთაში ვაწყობ, ვეძებ ნელი დეიდას „კალოშებს“ და ფეხების ტყაპუნით გავრბივარ სკოლისკენ.

ლამაზი სიზმრები გალვიძებისას არ მთავრდება.





თორნიკე სიგაშვილი

ჯიონარი

– ყველგან შენი თმა ყრია! რა ჯანდაბაა, მთელი ოთახი თმითაა სავსე! – სააბაზანოს კარზე ლელა მიკაკუნებს. მე თბილი წყლით სავსე აბაზანაში ვწევარ. ნაცნობი სუნი დგას – რკინის და ჟანგის.



ასეთი სუნით იყო გაჟღერებული ჩვენი აბანო, ინტერნატის. ოთახის მთელი სიგრძეზე გადებული ჟანგიან მილს ორი კინკილა საშხაპე ჰქონდა და იქიდანაც ოდნავ შემთბარი წყალი მოწვეთავდა. ზამთარში უამრავ ტყუილს ვიგონებდით, რომ არ დაგვებანა. ვიმიზეზებდით თავის ტკივილს, გრიპს, გაციებას... ვიმიზეზებდით ისინი, ვისაც გრიპის ვირუსი ვერ მოგვერია, ვერც გაციება მოვახერხეთ და თავიც კარგად გვექონდა დათბილული. სხვებს ტყუილი არ სჭირდებოდათ.

დაბანა სავალდებულო იყო. კვირაში ერთხელ ამბულატორიის ექთნები ჩვენს თმაში ტილებს ეძებდნენ. ეძებდნენ საკლასო ოთახში, ყველას თვალწინ. სათითაოდ გავდიოდით მაგიდასთან, რომელთანაც ისხდნენ თეთრხალათიანი, სახელოაკაპიწებულები დეიდები და თავებს გვიხილავდნენ. გოგოებს, რომლებიც ტილიანების რიგში ხვდებოდნენ, რცხვენოდათ და ზოგიერთი ჩუმად ტიროდა. გვრცხვენოდა ბიჭებსაც, მაგრამ კლასის წინაშე ცრემლის დაღვრა არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენ, ბიჭები, ვიზრდებოდით ბიჭებში, გოგოები – გოგოებში, როგორც ჩვენი მერხების მწკრივი საკლასო ოთახში – ტილიანების და სუფთების მწკრივი. მხოლოდ იმიტომ, რომ გავიზარდე, თავშესაფრიდან პირდაპირ ინტერნატში გამაბუნძულეს. ისე მომწონდა იქ! მისაღებში ფერადი ტელევიზორი გვედგა, შეგეძლო, ნებისმიერ დროს ჩაგერთო, თუკი იყო დენი და არ იყო სადილობის ან ვახშმობის დრო. საჭმელი ბევრი გვექონდა, იმდენი, რომ ძალით მაჭმევდნენ ფლავს, ფაფას, რძიან

ფაფას – ვერცერთს ვერ ვიტანდი. სადღესასწაულოდ ზოგჯერ ნამცხვრებს აცხობდნენ ან ვილაცებს მოჰქონდათ. ერთხელ ვიდეო გადაგვიღეს. ამერიკელები იყვნენ სტუმრად. ტანსაცმელი, სათამაშოები, ბურთები გვაჩუქეს, თან ამერიკულად ლაპარაკობდნენ. ო, გაშ, ო, გაშ. მერე სურათებიც გამოგვიგზავნეს, დერეფანში გავაკარიტო. ჩვენ და გაკრეჭილი, თეთრკბილებიანი ამერიკელები. ნაის.

ინტერნატს ვერ შევეგუე. ჩახუთული, ჩაბნელებული დერეფნები, აჭედოილი ფანჯრები, ჩაკეტილი კარები. ეზოს რომ გადახედავდი, იფიქრებდი, ფინიამ მოკურკლაო და იმ ციქქნა სივრცის ნახევარიც ძველ, უბოროტებო, გაპარტახებულ ავტობუსს ეკავა. შენობის უკანა ფასადი ტყის პირს ესაზღვრებოდა და ჩვენ, ინტერნატის ბავშვები, ხშირად ვხედავდით სხვა სკოლებიდან გამოპარულ ბავშვებს, მათ ზურგზე აკიდებულ სხვადასხვა ფერის ჩანთებს და სკოლის ლამაზ ფორმებს. ჩვენ ჩანთები და ფორმები არც გვჭირდებოდა, იქვე ვსწავლობდით, ინტერნატის შენობის პირველ სართულზე, მაგრამ შორიდან ისეთი ლამაზი იყო მუქი შარვლები, თეთრი პერანგები და ბაფთები, ყვითელი, წითელი, ცისფერი ჩანთები... მივაწყდებოდით ფანჯრებს და მანამდე ვუყურებდით, სანამ ისინი არ დაგვინახავდნენ და არ დაგვეწყანებოდნენ.

– ყველგან შენი თმა! მითხარი, აპირებ თუ არა ექიმთან წასვლას? – ლელა ისევ ჩაკეტილ კართან დგას. წყალი გრილდება. გამწოვმა თბილი ორთქლი მთლიანად გაიწოვა.



თმას ყველას ისე გვჭრიდნენ, რომ თავზე არაფერი გვრჩებოდა. ამ წესს მკაცრად იცავდნენ – ინტერნატში გადასულ ყველა ბავშვს ეს პროცედურა უნდა გაეყო. აღმზრდელი აბანოში, ფეხმორყეულ ძველ ტაბურეტზე გსვამდა, ისე, რომ საკუთარ თავსაც ვერ ხედავდი,

და მთლიანად გკრეჭდა თმას - უსიტყვოდ, ყოველგვარი შესავლის გარეშე. და მერე, როცა აბანოდან გამოსული გოგონები მისაღებში მივ-რულ პატარა სარკეში იხედებოდნენ, ტიროდნენ. ზოგჯერ - ბიჭებიც.

როცა ნისა მოიყვანეს, სადილად ჩიხირთმა და ატმის წვენი გვექონ-და. ასეთი წვნიანი მას შემდეგ არსად გამისინჯავს. წყალში გახსნილი კვერცხი, ქათმის კუბიკები, ხახვი და მწვანილი. ატმის წვენი ატმის წვენივით იყო, გემრიელი.

დარბაზში შემოსვლისას ნისამ შემომხედა და გამიღიმა. შავი თმა ჰქონდა და გრძელი, ძალიან გრძელი ნაწნავები ეყარა ზურგზე. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ სულ ცოტა ხანში მისი ნაწნავები აღარც მოგვავონდებოდა, ის კი ილიმებოდა. უღიმოდნენ სხვებიც. სადილის შემდეგ დარბაზში აღმზრდელმა შემოიხედა და ნისას ხელით ანიშნა, გამომყევო. ჩვენ ვაყურადებდით, მაგრამ არც ტირილი და არც ყვი-რილი არ გავგიგონია.

მესამე დღეს გამოჩნდა თვალებდასივებული ნისა, უნაწნავებოდ. პირსახოცში იყო გახვეული და კანკალებდა. გვერდით რამდენიმე გოგონადეგა - ჩვენები, ინტერნატის გოგონები - და ელაპარაკებოდა. ზოგიერთი მხარზე ხელს ადებდა, ერთმა აკოცა. მალე სასწრაფოს მანქანა მოვიდა და ნისა წაიყვანეს. აღმზრდელი, რომელმაც მანქანა ჭიმვრამდე გააცილა, ძაღლებს წყევლიდა. გოგონებმა გვითხრეს, რომ ნისამ იდარდა, ან დაბანისას გაცივდა. ან ერთიც და მეორეც. ზუსტად თვითონაც არ იცოდნენ. ყველას ძალიან გვებრალებოდა.

მალე ზამთარი გავიდოდა.



აღარც ნისა ახსოვდა ვინმეს და აღარც ნისას ნაწნავები, რომ-ლებიც გავყიდეთ და იმ ფულით დაბლაგვებული ნაჯახები ავლესეთ ქალაქში. ჩვენზე ცოტა უფროსები ყოველ დღით აპობდნენ ძველ ავ-ტობუსთან მიყრილ უშველებელ კუნძებს და სანაცვლოდ სასწავლო პროცესის დროს თავიანთ ოთახებში დარჩენის უფლებას იღებდნენ.

ნისა თებერვლის ბოლოს დაბრუნდა. ისე აღარ ილიმებოდა, რო-გორც მაშინ, როცა პირველად შემოვიდა ინტერნატში. მე ვუთხარი, რომ მომწონდა მისი თმა. სხვებმაც უთხრეს, რომ მალე ისევე ექნებოდა გრძელი ნაწნავები, თუმცა მისი თმა არც გვინახავს - წითელ ნაქსოვ ქუდს თავიდან არ იშორებდა.

როცა თოვლი გადნა და მიწიდან ბალახმა ამოყო თავი, ნისამ ტყეში იების საკრეფად წასვლა შემომთავაზა. მთელი ღამე ვცმუკავდი, არ მინდოდა ბიჭებისთვის ამის გამხელა. ვიცოდი, რამეს მოიგონებდ-ნენ და გამაჰამპულებდნენ. გათენებისას ოთახის კართან მიყრილი ვიდაცის ფეხსაცმელები ამოვიციე. ცოტა დიდი მქონდა. საბინიდან გამოფხეკილი მატყლი ჩავუტენე წვერებში და წავედით მე და ნისა ტყეში იების საკრეფად. ნისამ თქვა, წელიწადის დროებიდან ყველაზე საყვარელი გაზაფხულიაო. მე დავეთანხმე, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი. როცა ბუჩქების ძირას ამოსული იებისგან დიდი თაიგული შეგვკარით, იქვე, ტყის პირას, გრძელმორზე დაესხედით. ცამოწმენდი-ლი იყო და შორს, ჰორიზონტზე, დათოვლილი მთები ჩანდა. ვკითხე, მოსწონდა თუ არა მთები. ნისამ მხიარულად გადაიხსიცხა:

- როცა აქედან გავაღწევ, მთამსვლელი გავხდები. მთაში წავალ და იქიდან ხელს დაგიქნევ. ნახვამდიის!



მე გკითხე, იცოდა თუ არა, რომ მთაში ჩვენს აბანოზე გაცილებით მეტად ციოდა.

- არა, იქ დარდია, - მთებისკენ გაიხედა ნისამ. - მთელი ქვეყნი-ერების დარდი იქ არის თავმოყრილი. მთამსვლელებიც იმიტომ აღიან იქ. უნდათ, რომ ამ დარდს ხელი შეახონ, ხომ გესმის?

ვუთხარი, რომ მესმოდა.

როცა ინტერნატში ვბრუნდებოდით, ჩემი შშობლების შესახებ მკითხა. ვუთხარი, რომ ორივე ოშში დაიკარგა და მათი საფლავების კვალიც კი ვერავინ იპოვა. მერე მკითხა, მახსოვდა თუ არა დედაჩემი. მე გაეჩერდი. ნისა პირველი ადამიანი იყო, ვისთვისაც ოცნების გამ-ხელა მომინდა.

- მინდა, დედაჩემი ვნახო, სიზმარში მაინც, - ვუთხარი და ცრემ-ლები წამოვივიდა.

ნისა უცებ ჩემ წინ გაჩნდა, ცოტა ხანს მიყურა თვალებში, მერე ტუჩებში მაკოცა და გაიქცა.



- მოკვდები, კლინიკაში თუ არ წახვალ. იცოდე, მართლა მოკვდები! - ლელა გაცხარებულია, ვერ იტანს, რომ არ ვპასუხობ. მე კი მგონია, რომ ამ სიტუაციაში სიტყვა „გააჯვი“ ისეთივე ხმამაღალი იქნება, როგორიც ბადი ბოლდენის მუსიკა - ნიუ-ორლეანში.



მინის ჭიქაში ჩაწყობილი იები ჯერ კიდევ ცოცხლად გამოიყურე-ბოდა, როცა ნისა ავად გახდა. აღმზრდელმა თქვა, გარეთ გაცივდაო, გოგონებმა - აბანო გააცილაო. ამბულატორიიდან ექიმი რამდენჯერმე ამოვიდა. მე სულ იქ ვიდექი, გოგონების სართულის დერეფანში, და როცა კარი იღებოდა, ნისას ვხედავდი. საწოლში იწვა და თავისი წითელი ქუდი ეხურა.

მერე სიზმარი ვნახე, ვითომ ქარს დავეყვებოდი, ის კი დაუნდობლად ქროდა ოკეანის ნაპირზე. ზედ ნაპირთან, იქ, სადაც დაბალი ჯებირია, ქალი იდგა, რომელსაც ძალიან ახლოს ჩავუფრენდი ხოლმე. როცა

ვუახლოვდებოდი, მთელი ხმით ვუყვიროდი: „გაეცალე! ტალღას გაეცალე!“ თანხელს ვუწვდიდი, რომ ტალღისთვის გამომეტაცა, მაგრამ ის უძრავად იდგა. თითქოს ვერ მხედავდა, თითქოს უჩინარი ვიყავი.

ლამით, როცა ეზოს ძაღლებიც გაჩუმდნენ, ნისას ოთახში ჩუმად შევიპარე. იქვე, მეორე საწოლზე, აღმზრდელი ფშვინავდა. ნისას ჯერ ხელზე მოვქაჩე, მერე — ყურზე და როცა გაელვია, ვკითხე, ვჩანდი თუ არა. მან მიპასუხა რომ კი, ყველაზე ძალიან ვჩანდი.

მეორე დღით ინტერნატის ეზოში სასწრაფოს ნაცრისფერი მანქანა შემოხრიგინდა და ნისა წაიყვანა. აღმზრდელემა თქვეს, რომ მის ავადმყოფობას ჩვენთან ვერაფერს უშველიდნენ და ამიერიდან ნისა თავისი წითელი ქუდით სხვა ქალაქში იცხოვრებდა, ზღვასთან ახლოს. შეიძლება, სულაც იქვე, ზედ ნაპირთან.



წყალი სულ გაცივდა. სააბაზანოდან აკანკალებული გამოვედი და ლელას გავხედე. სამზარეულოს მაგიდასთან ზის, წინ ყავით სავსე ფინჯანი უდგას და წიგნს კითხულობს. რომ დამინახა, მკითხა: „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“ წაკითხული გაქვს თუ არაო.

— არა, მაგრამ აზრზე ვარ, — გავძახე და ლოგინში ჩავეწევი.

ლელამ კითხვას თავიმიანება და ოთახში დაიწყო ბორიალი. ჩემი თმის ცვენის ამბავზე წუხდა და კლინიკაში ვიზიტის საათებს მითანხმებდა. ბამბის საბანში გახვეული ჩემი სხეული ნელ-ნელა თბება. თვალები მეხუჭება.



ლამით სიზმარი ვნახე. სიზმარში ვითომ ბავშვი ვარ. დედა რამდენიმე ცალ ლიქორიან შოკოლადს მაძლევს, თვითონ კი კარადიდან გამოღებულ ტანსაცმელს ლამაზად კეცავს და ჩემოდანში აწყობს. ზოგჯერ ფანჯარასთან ჩერდება კაბით ან ჩემი შარვლით ხელში და სივრცეში თვალგამტერებული იძახის: „ეჰ, ეჰ“. „დუდა დე, დუდა დე“, — ვლილინებ მე. ლაპარაკი მხოლოდ დედასთან შემიძლია, გარეთ მემინია. სკოლაშიც, როცა ლაპარაკს ვიწყებ, მასწავლებელი მუდამ მეჩხუბება და გასაღებების ასხმას მიმიზნებს.

დედა ამბობს, რომ ყველაფერი ომის ბრალია და როცა ომი დასრულდება, მეც დავანებებ თავს სახის ჭყლეტას და თვალების ხამხამს. „ომი ჩვენგან ძალიან შორსაა“, — ხშირად იმეორებს დედა დამიკითხავს ზღაპრებს უშველებელი წიგნიდან, რომელიც საწოლთან, სანთლების გვერდით გვიდევს. მე კი შოკოლადს ვჭამ. ერთს რომ გავკვნეტ, მერე წყალს ვაყოლებ. თან არ მომწონს, თან გემრიელია. ოთახში ცვილის და პეპლების წამლის სუნი დგას.

დღით ადამიანები მოვიდნენ. ისე ჩუმად, რომ სანამ მათმა ჩრდილებმა მზე არ დააბნელა, ვერ გავიგე. ეზოში ვზივარ და ნიჟარებს ქვიშაში ფვლავ. ადამიანები არიან ბევრნი და შვილებიც თან ჰყავთ. ისინი უნდობლად მიყურებენ. კიკინებიანი გოგო პირდაპირ ჩვენ წინ იჩიქნის ცხვირს, მაგრამ მას არავინ ეჩხუბება.

— ჩქარა, ჩქარა! — ჩქარ-ჩქარა ამბობენ ადამიანები.

ჩვენ წავედით. დედამ თავზე მაკოცა და ჩუმად მითხრა: „ნუ გეშინია!“ მე კი არაფრის მემინია. მინდა ვთქვა: „დედა, არ მემინია!“ — მაგრამ თვალები მექავება. მინდა, მოვიფშვინტო — თითქოს ახლა გავიღვიძე, მინდა, სულ თვალებს ვიფშვინტდე.

გზად სამგლოვიარო პროცესია შეგვხვდა: რამდენიმე კაცი, დანარჩენი — ქალები. მომეჩვენა, რომ მირბოდნენ, რომ ცხედარს, რომელიც ყვითელი ფიცრებისგან შეკრულ კუბოში იწვა, ძალიან ეჩქარებოდა და გამეცინა. პროცესიას ორი ქალი გამოეყო და დედაჩემს ჩხუბი დაუწყო. ერთმა, მეორეზე მსუქანმა, სილა გამაწვნა. მე წავბარბაცდი, მაგრამ დედა ხელი მტაცა და დამიჭირა. ვილაცხები აყვირდნენ და ჩვენ დანარჩენებთან ერთად გავიქეცი. ზურგს უკან თუნუქის სათლი საშინელი ხმაურით დაეცა ძირს. „დამპლები!“ — თქვა დედაჩემმა. როცა დავიღალეთ, ცოტახნით შევჩერდით. ახლა ჩვეულებრივ მივიღვართ, მაგრამ ყველა უკან იყურება. ბავშვები სლუკუნებენ. შეიძლება, ძაღლების გამოჩენისა ეშინიათ, დიდი, გრძელბეწვიანი ძაღლების გამოჩენისა. მაგრამ ძაღლები არსად ჩანან. ალბათ სადმე ახლოს იმალებიან.

ქუჩის ბოლოს ჩემი კლასელი შეგვხვდა.

— მეგონა, ყველანი დაგბოცეს, — გაუკვირდა. — აი, კიდეც რამდენი დარჩენილხართ!

მხრები ავიჩიჩე. დედამ გაგვილიმა და გზის გაგრძელება მაიძულა. ადამიანები ისევ უკან-უკან იყურებიან. კისერი მტკივა და გადავწყვიტე, უკან აღარ მივიხედო. წინ ჩანს ჩემოდნები, პარკები, ზურგზე აკიდებული ტომრები, მათ გვერდით კი — ჩვენი და სხვა ადამიანების ჩრდილები. ისინი ზოგჯერ პატარავდებიან, ზოგჯერ ძალიან იზრდებიან. ირგვლივ წითელი და ყვითელი ფოთლები ხმაურით ცვივა. ყველა ჩქარობს, მე კი სახე ძალიან მეწვის.

ტყის ბილიკს რომ დავადექით, დედამ ჩემოდანი იქვე, გზაზე დატოვა. ჩვენთან ერთად ძალიან ბევრი ადამიანია. ამდენი ერთად არსად მინახავს. ალბათ მილიონი იქნება. ზოგიერთი ყვირის და ილაჩხლება. შორიდან სროლის ხმა ისმის. დედა კი ამბობს, რომ საშიში არაფერია, ცოტას კიდეც ვივლით და მერე ვერტმფრენით გავფრინდებით.

ძალიან დიდხანს მივდივართ. მგონი, ხუთი წელია, მივდივართ. ირგვლივ მხოლოდ ადამიანები, ტალახი და აღმართია. ზოგჯერ სატვირთო აივლის და ადამიანები ყვირილს იწყებენ, სატვირთო კი ღმუის და ცხვირიდან ორთქლს უშვებს. პლედში ვარ გახვეული, თავზეც პლედი მაქვს შემოხვეული. დღე გრძელი და ჭუჭყიანია, თანაც ისეთი ცივი, როგორიც ყინულის მოედანზე.

გზიდან შესასვენებლად რომ გადავედით, გორაკზე მჯდარი ორი მოხუცი დავინახე და მათთან მივედი. მოხუცები ყოველთვის მაძლევენ საჭმელს: პურს, კარტოფილს, ყველსაც კი. ერთხელ ლორის ნაჭერი და პიტნის კანფეტი მომცეს ჩუმად, ვინმეს რომ არ დაენახა, მაგრამ ახლა ხმას არცერთი არ მცემს. ზედაც არ მიყურებენ.

— თქვენც ომიდან გამოიქეცი, გამოიქეცი, გამოიქეცი? — ვეკითხები. — მმმ და დედაც გამოვიქეცი, გამოვიქეცი.

ისინი კი ისე სხედან, თითქოს არც ესმით, არც აინტერესებთ. უფრო ახლოს მივედი და ერთ-ერთს თავსაფარზე მოვქაჩე, მერე მხარზე მივარტყი ხელი, ისინი კი მაინც ჩუმად არიან. შეიძლება თამაშია — ვინც მიპასუხებს, წააგებს. თამაში მეც მინდა. ერთხელ მე და დედამაც ვითამაშეთ სიჩუმობა და დედამ მოიგო.

თვალებზე ვილაცხი ყინულივით ცივ ხელს ვგრძნობ — დედა. სველ ბალახზე ძლივ ძლივ ბითმი მათრევს, უცებ ჩერდება, სახეში მიყურებს და მეუბნება: „წამოდი, ეგენი გაიფიქსენ!“ თუ ვინმე გაიფიქსება, ზაფხულამდე ასე იქნება, ვეღარ გაიღვიძებს, სამაგიეროდ ნაირ-ნაირ სიზმრებს ნახავს და არც დილაადრიან მოუწევს ადგომა.

ცივა და ცოტა მეძინება. დედამ ხელში ამიყვანა. მას შავი, უკუნ
ლამესავით თვალები აქვს.



სროლისხმამ გამაღვიძა. მუცელში ტკივილს ვგრძნობ, კუჭისაშინ-
ლად მეწვის, თითქოს მუცელში ჭიანჭველები მყავდეს. მოშორებით
ავტომატიანი კაცები იგინებიან და ადამიანებს ეჩხუბებიან. ფეხსაცმე-
ლები ყველას ტალახში ამოსვრია. ერთ-ერთს ლურჯი ქუდი ახურავს,
რომელსაც ორი თეთრი, წვრილი ზოლი აქვს, როგორც დიდ გემებს.

იქ, სადაც მე და დედა ვდგავართ, სხვა ადამიანებიც არიან და ერთ-
მანეთს სულელებივით უყურებენ. თითქოს ლაპარაკიც არ იციან და
ყველამ ორიანი მიიღო. დედა წიქარას ზღაპარს მეჩურჩულებს: „ერთ
პატარა ბიჭს დედა მოუყვდა და მამამ მეორე ცოლი შეირთო, მაგრამ
დედნაცვალი ცუდი ქალი გამოდგა...“

ავტომატის კაკანი ისევ გაისმა. ჩვენ წინ ვილაცამ ჩაიმუხლა და
სქელ ტალახში სახით ჩაემხო. მერე კიდევ ერთი გადავარდა, ოღონდ
წინ კი არა – უკან დახელით სხვა ადამიანის ზურგზე აკიდებული ბარგი
დაითრია. გაისმა ქალების კივილი და ჩვენ ისევ გავიქეციით. „დე, დე,
დე, ბიჭის დედას რა მოუვიდა, გაიფიჩხა?“ – ვუყვირი დედას, მაგრამ
ის არ მისმენს.

ბევრი არ გვირბენია, სხვა ავტომატიანი კაცები წინ გადაგვიდგ-
ნენ. ავტომატებზე ლურჯი ლენტები აქვთ მიბმული, ისეთი, როგორიც
ჩვენს დანებს სამზარეულოში.

– ვაა, შენ აქ საიდან?! – მომესმა უცებ. დედაჩემი ხელს ხელზე
მაგრად მიჭერს და არ ინძრევს.

ავტომატიანი კაცი გვიახლოვდება, გვიახლოვდება, გვიახლოვდე-
ბა და დედას ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა ეკითხება:

– შენ რა, ჩვენს მხარეს გადმოხვედი?!

დედაჩემი უძრავად დგას და პასუხის გაცემას არ ჩქარობს. სიჩუ-
მობანას თამაში ამათავიციან. მე თვალები მექაება და ძალიან მინდა,
რამე ვთქვა, ჩურჩულით მაინც, მაგრამ უფრო ის მინდა, რომ მოვიგოთ.

– ჰაა-მეთქი! – ყვირის ავტომატიანი კაცი და დედას აჯანჯლა-
რებს. თითქოს კურდღელი-ყულააა და ხურდები უნდა დასცვივდეს,
ხუტაკაკიანები და ოცკაკიანები.

– მე ამის მხარეს ვარ! – ყვირის დედა და ხელს ჩემკენ იშვერს. მგონი,
წავაგეთ – დედაჩემმა დაილაპარაკა.

– იცი, რა გვიქნეს შენებმა? – ყვირის ავტომატიანი კაცი და ისვრის.
სხვებიც ისვრიან. იმდენს ისვრიან, თითქოს ოშში ვიყოთ. ტალახში
ყვითელი ტყვიები ცვივა და ბოლი ასდის.



თბილ ოთახში ვიღვიძებ. ყურებში შიშინი ჩამესმის, თითქოს ჩემს
ყურთან ვინმეს ტარხუნის ლიმონათით სავსე ჩქიქიქიროს. ნისლივით
ბინდია, მაგრამ ვილაც ქალებს ვხედავ.

– აბა, ჩემი ბიჭი. ეჰე, ბუდუ-ბუდუ, – ისე მეფერებიან, თითქოს
მაგათი შვილი ვიყო.

დედაჩემი კი არსად ჩანს.

– დედაჩემი სად არის? – ვეკითხები ქალებს. – სად არის, სად არის,
სად არის?

ქალები ერთმანეთს უყურებენ.

– დედაშენი? დედაშენი წავიდა, მაგრამ არ იდარდო, – მეუბნება
ოქროსფერთმიანი ქალი და თმაზე მეფერება.

– დედა თუ წავიდოდა, მეც წამიყვანდა.

– არა, – მპასუხობს ყველა. – არ წავიყვანდა!

თბილი კარტოფილი და თაფლი მაჭამეს. ისე მექცევინა, თითქოს
მათი ახალი შვილი ვიყო. დაძინებამდე ოქროსფერთმიან ქალს გვით-
ხე, გაიფიჩხა თუ არა დედაჩემი. ქალმა თავი დამიქნია. ახლა მთელი
ზამთარი უნდა ველოდო, შვიდი ან რვა წელი, შეიძლება თხუთმეტიც.
ყველა ამბობს, რომ ზაფხული მალე მოვა, ზამთრის შემდეგ გაზაფხული
იქნება და მერე. ვერტმფრენით რომ ვიფრინე, მაგის არ მჯერა. ვერტ-
მფრენში რომ ვმჯდარიყავი, გამეღვიძებოდა – მთასავით ხმა აქვს.



ლელამ გაიღვიძა, მაკოცა და ფანჯარასთან შიშველი დადგა.
მომწონს, როცა ჩვენი სხეულები ერთმანეთს ეხება, როცა ერთად
ვვანშობთ, ვეწვეით, ვსვამთ. მაშინაც კი, როცა ჩემთან არ არის,
შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ ზის ლითონის საწოლზე შიშველი,
თავზე ვარდისფერი პირსახოცით, და ეს ნამდვილი იყოს. მაგრამ ამის
ხმამაღლა თქმა არ შემიძლია, რაღაც მაკავებს. თითქოს მთელი სხე-
ული ჩაპრესილი გრძნობებით მქონდეს გამოტენილი.

– ქაჯანა გახსოვს? – გვითხე ლელას.

– ქაჯანა?

– ქაჯანა, ნიკო ლომოური, – მაგრამ ლელამ მაინც ვერ გაიხსენა.

ჩაის დალევას ვერ ვასწრებ. საჩქაროდ მოგწესრიგდი, საწერ
მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები მოვხვეტე, ჩანთაში ჩავიტენე და
ქუჩაში გამოვედი.

გარეთ ფურთხის დაავტომობილების გამონაბოლქვის სუნით დგას,
ცა კი ისეთი ფუტუროა, თითქოს ჩრჩილს გამოუფუქავსო. სკოლაში
მივდივარ. იქ ბავშვებს ისტორიას ვუყვები. სკოლა შორს არ არის
– რამდენიმე ქუჩას გაივლი და იქ ხარ. მესამე შუქნიშანი რომ შემხვ-
დება, ქუჩას გადავკვეთ, გადავჭრი პატარა სკვერს, კიდევ ერთხელ
გადავკვეთ ქუჩას და სკოლის ნაცრისფერი შენობაც გამოჩნდება.
ბავშვებიც გამომჩნდებიან ნაირ-ნაირი ტელეფონებით ხელში. ზოგს
მშობელი მოაცილებს, ზოგიც თვითონ მოვა. დიდიხანა არ არის, რაცაქ
ვმუშაობ, მაგრამ ბავშვებს უკვე შევაყვარე თავი. ისინი არ ფიქრობენ,
რომ უცნაური ვარ. ისინი ფიქრობენ, რომ მე ვე ვარ.

შუქნიშანთან შევჩერდი. უცებ მომეჩვენა, რომ ავტომობილში,
რომელმაც გვერდით ჩამიქროლა, ნისა იჯდა. რამდენიმე ნაბიჯი გა-
დავდგი, ინსტინქტურად გავეკიდე და გავჩერდი. ზოგჯერ მემართება
ასე, მაშინ, როცა მოგონებებს ვერ ვუმკლავდები.

სილამაზის სალონების რიგს ჩავუარე. ფანჯარაში განცხადებაა
გამოკრული:

„შევისყიდი ნატურალურ თმას მაღალ ფასად!“

ქურთუკის შიდა ჯიბეში სავარცხელი მოვქექე და ზურგს უკან
მოვისროლე.

გაკვეთილი არ დამიგეგმავს. არ მახსოვს, რა არის პროგრამაში.
არც მჭირდება. დღეს ბავშვებს მოვუყვები ომზე, ფაშოზზე, კო-
მუნიზმზე, ჰოლოკოსტზე, გოლოდომორზე; მოვუყვები ყველა იმ
საშინელებაზე, რაც ადამიანებმა მოვახერხეთ; მოვუყვები, როგორია
ბავშვობა დიდობაში.





ნაჩიზ ბუნიძე

**ხეობის ბერძებიან,
სახეობის, იმ სახეობში
აღამიანების...**

ბედნიერებაა, როცა ბერდები. წლები წისქვილიდან ზურგით წამოღებული ფეხების ტომარასავით თანდათან მძიმდება. ცდილობ, შეისვენო, თუმცა ჩამოლება გიჭირს. კიდევ რომ ჩამოიღო, მერე როგორღა უნდა მოიგდო მხრებზე?

ასეა, ბერდები და წლებიც გიმძიმდება. შენც მძიმდები. ისე მძიმდები, ხერხემალიც კი უკვე ხშირად შეგახსენებს – გაიმართე, მომეხმარეო. შენ ცდილობ, არ შეიმჩნიო. მერე ამასაც ვეღარ ახერხებ და ყურსაც აღარ უგდებ, რადგან მისი თხოვნის შესრულება უფრო და უფრო გიჭირს. ვითომ არ გესმის. არა, არ გესმის კი არა – არ გინდა, გესმოდეს.

მიდიან წლები. იმ სარკეში, მზითვად წაღება რომ აღარ დაგჭირდა, ჯერ უნაოჭო ტუჩის ღიმილი გიხდება, მერე ეს ღიმილი დანაოჭებული ბაგეების კუთხეებში ჩერდება. ისე ჩერდება, ზედა ტუჩის ბოლოს დაბლა სწევს, მაგრამ მაინც ღიმილია და ოქროს ფასიც ადევს.

უხდება ადამიანს ღიმილი. როგორ არ უხდება. ეგ კი არა, სულაც არ უნდა, მის უკან ვინმემ დარდი, ტკივილი და თავსაფრის კუთხეში კვერებივით გამოკრული სინანული დაინახოს.

ღილით მზე გააღვიძებს ან მზეს დაასწრებს ადგომას. საღამოს მთვარე გაუნათებს ეზოს ბილიკს ჭიშკრის ჩასაკეტად წასულს. უკან მობრუნებისას მის ლანდს წააგრძელებს, უცებ რომ არ შემინდეს და მიხვდეს, თვითონ რომ არის და არა ეზოში შემოსული უცხო.

სიბერეში ღამე კიდევ უფრო გრძელია, ვიდრე სინამდვილეში. ესაა, ზამთარში უფრო გაუსაძლისია, ვიდრე ზაფხულში, თუმცა არასდროს უხარია მისი დადგომა.

თუნდაც უხაროდეს... უნდა კი გაწელილი საათებისა და წუთების წიკწიკი ყურში, უნდა კი ყურთბალიშის ზემოთ-ქვემოთ აწევ-დაწევა? უნდა კი საწოლში ფეხებთან შემომძვრალი კატა, რომელმაც ერთი საათის წინ მისი თევზიდან ხორცის ის ნაჭერი აწაპნა, რომლის გამოც

ეს კერძი ძლივს გააკეთა?

არ უნდა. არ უნდა, მაგრამ საჭიროა. საჭიროა და აუცილებელიც. იმისთვის, რომ დილით ისევ მზემ გააღვიძოს ან მზეს დაასწროს ადგომა.

არ უნდა. არ უნდა, მაგრამ იმ საღამოს რას უშვრება, რომელიც დადგება? ჭიშკარი ხომ უნდა ჩაკეტოს. მთვარეს რას უპირებს? ის ლანდი, მის გასამხნეებლად რომ დააგრძელა, სად გადაინახოს? არავის იცნობს ისეთს, ვისთვისაც გაემეტება.

ღამემ, ღამემ რაღა ქნას? მასაც ხომ უნდა, ამაღამ უფრო სხვანაირი იყოს, თუნდაც იმისთვის, რომ არ მოზებრდეს და არ თქვას, რა ყველა ერთმანეთს ჰგავსო.

ჰოდა, დადგება ეს საინტერესო ღამე – თავი რომ არ შეირცხვინოს, ნამუსი რომ მოიწმინდოს და მის თვალებში ჩახედვის არ შერცხვეს. იქნებ მოახერხოს და სიზმარი გამოუგზავნოს. სიზმარსაც ხომ გააჩნია. სოფლის კლუბში ზეწარზე გაშვებული ფილმივით, მხოლოდ უნდა უყუროს, თუ ისიც შიგ უნდა შევიდეს...

დავუშვათ, შევიდა ამ სიზმარში. დავუშვათ, მოუნდა, ხელით შეეხოს ადამიანს, ვისთანაც წლები აკავშირებდა და ვინც მასზე ადრე უთხრა უარი დილის, დღისა და ღამის დადგომას. მაშინ რაღა ქნას? იქნებ ის შეხვდეს, უთენია, ახალგაშობივით, ჭიშკრის იქიდან რომ მოივითხავს, როგორ ხარო, ან ის, თავისი ბოსტინიდან ღობის აქეთ ჩითილებს რომ გადმოაწოდებს, ან ის, თონიდან ახალგაშობივით პურს ხელებში ხტუნვა-ხტუნვით რომ მოუტანს და ერთი სული ექნება, მისცეს, თონიდან გამოყოლილ ოხშივართან ერთად გადააბაროს და დამწვარ ხელებზე სული შეიბეროს.

ეს სიზმარიც რა უცნაური რამეა! როცა არ უნდა, მოვა, როცა უნდა, ისე დაიკარგება, შიში კლავს, სად არის, ხომ არაფერი დაემართა, გული ხომ არ ატკინა...



ელოდება, ელოდება და არა და არ ჩანს. ალბათ, დადის, დაეძებს ბალიშზე გვერდულად დადებული თავებს, აკვირდება ტუჩის ბოლოებში საღამოდან გამოყოლილ ღიმილის ნარჩენებს, მკერდზე ყურს დაადებს და ამოწმებს, როგორ ადის და ჩადის ზემოთ და ქვემოთ. მერე დიდხანს ფიქრობს და ან გადაწყვეტს მოსვლას, ან არა.

რასაქმიანი გამხდარა ეს ოხერი! ვითომ ისე არ ჰყოფნის ადამიანს და სიზმარშიც ხელში თოხს დააჭერინებს. შეიძლება, ნაჯახი, წალდი ან ნამგალიც კი შეაჩეროს და, მთელი დღის შრომით დაღლილს, საქმე ძილშიც აკეთებინოს.

მაინც ელოდება. კარგია სიზმარში ცხოვრება. საინტერესოა. კიდევ უფრო საინტერესო, ვიდრე მის გარეშე.

ამიტომ უნდა მოვიდეს მასთან, მასთან ერთად დაწვეს და დილაზე თუ არა, საწოლში პირველ გადაბრუნებაზე მასთან იყოს.

სამ ათეულ წელზე მეტია, ყოველ საღამოს ძველი კარადის ძველი უჯრიდან რეზინშემოხვეულ რვეულებს დიდი სიფრთხილით იღებს, გვერდით მიდებულ სათვალესაც ამოაყოლებს, მაგიდასთან ჯდება და თიხის პირჩამოტეხილი თასიდან, ძაფის კოჭების, ცარიელი წამლის შუშების, თიხის გროვიდან წითელ კალამს იღებს. ლურჯსაც მარჯვენა მხარეს მოიდებს და იმ საქმეს შეუდგება, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს და რომელსაც ყველაზე მეტი მონდომებით და გულისყურით აკეთებს.

ჯერ რეზინის ტყეობიდან გაათავისუფლებს, მერე პირველ რვეულს გადაშლის ფრთხილად, მერე – მეორეს, მერე – მესამეს...

სამ ათეულ წელზე მეტია, ერთსა და იმავე რვეულებში შეცდომებს ასწორებს. ხაზის დასაწყისიდან ხაზის დასასრულამდე კალამს გააყოლებს, თავისთვის ჩურჩულებს.

მერამდენედ გადაშალა, მერამდენედ გადაფურცლა, მერამდენედ ჩაასწორა, მერამდენედ მოიმარჯვა ლურჯი კალამიც.

დაღალა რვეულები. თავად კი არა და არ დაიღალა.

დაასრულებს. კვლავ ერთმანეთზე დააწყობს. ჯერ პირველს, მერე – მეორეს, მერე – მესამეს. მერე ფერგადასულ რეზინს კვლავ ფრთხილად შემოაკრავს, ხელსაც ჩამოუსვამს, რომელიმეს ყდა ან ფურცელი რომ არ გადაეკეცოს. ძველი კარადის ძველ უჯრას გამოაღებს, თავის ადგილზე ჩადებს და გვერდით სათვალეს მიუდებს – ხვალ რომ ძებნა არ დასჭირდეს და დრო არ დაკარგოს.

ისეთი სიზმარი, იმ ღამეს რომ ესტუმრა, ჯერ არ სტუმრებია. მართალია, დაავიანა, მაგრამ მაინც მოვიდა.

კარი გაიღო და განა ერთი და ორი, განა სამი და ოთხი... შემოვიდნენ და შემოვიდნენ, შემოვიდნენ და შემოვიდნენ. დიდები, მათზე უფრო დიდები, გაჭალარავებულები, საფეთქელშეთოვლილები. ზოგი – მორიდებით, ზოგი – როხროხით, ზოგი – მხიარული, ზოგი – მოწყენილი. ფრთხილად დახედეს თეთრთმაგადაფენილ ბალიშს. ზოგმა გაუღიმა, ზოგმა გოაცებულმა დახედა, ზოგს სახეზე უცნაური მზერა გაუჩერდა. ზოგი სკამზე დაჯდა, ზოგი კედელს მიეყრდნო, ზოგი ბუხარში ნახევრად შემძვრალ კატას მიეფერა, ზოგი მძინარეს ფეხებთან ჩამოუჯდა, ფრთხილად, რომ არ შეაღვიძოს და სიზმრის გარეშე არ დატოვოს.

ან საიდან მოიყარეს თავი, ან საიდან მოიფიქრეს.

მერე რიგრიგობით გამოართვეს ერთმანეთს თიხის პირჩამოტეხილი თასიდან, ძაფის კოჭების, ცარიელი წამლის შუშების, თიხის გროვიდან ამოღებული წითელი კალამი. მთვარის შუშზე თავწახრილნი, რამდენიმე წამით ჩააჩერდნენ უჯრიდან ამოღებულ, რეზინშემოცლილ და ბოლო გვერდზე გადაშლილ რვეულს.

ღიმილი იმატებს მძინარის სახეზე. მერე ეს ღიმილი დანაოჭებული ტუჩის ბოლოში ჩერდება. გვერდზე გადაბრუნებას არ აპირებს. ეშინია, ყველა ერთად არ გავიდეს სახლიდან.

ყველა ახსოვს, ყველა იცნო, ყველას სახელი და გვარი იცის. ის კი არა, მათი მშობლებიც კი გაიხსენა. ყველა დღე, ყველა გაკვეთილი, ყველა ნიშანი, ყველა შენიშვნა, წერის დროს დაშვებული ყველა შეცდომა.

რამდენია ეს დღე, ეს გაკვეთილი, ეს ნიშანი, ეს შენიშვნა, ეს შეცდომა...

ესენიც რამდენი იყვნენ...

გათენდა. დილით მზემ გააღვიძა, თუ მზეს დაასწრო ადგომა.

მაგიდაზე გადაშლილი რვეულები დახვდა. თიხის პირჩამოტეხილი თასიდან, ძაფის კოჭების, ცარიელი წამლის შუშების, თიხის გროვიდან წითელ და ლურჯ კალამთან ერთად სათვალეც ამოიღო.

ყველა რვეულის ბოლო ფურცელზე ის ნიშანი ეწერა, რომლის დაწერაც ყველაზე მეტად უყვარდა და უხაროდა.

ფრთხილად დააწყო ერთმანეთზე. ჯერ – ერთი, მერე – მეორე, მერე – მესამე... ფერგადასული რეზინიც ფრთხილად შემოაკრა, ხელიც ჩამოაყოლა – სადმე ფურცლის კიდე რომ არ გადაეკეცილიყო. ძველი კარადის ძველი უჯრა გამოაღო და თავის ადგილზე ჩადო.

ჭიშკრის იქიდან ერთმანეთზე მოხვედრის იმედი მოიკითხა, როგორ ხარო. მეორემ ბოსტნიდან ახლა სხვა ჩითილები გადმოაწოდა. მესამემ შეგრილებული თონის პური მოუკითხა, ამიტომ არც ოხშივარი გამოჰყოლია და არც ხელებზე დასჭირვებია სულის შებერვა.

იმდღეს საქმისთვის ხელი არ მოუკიდებია. აღარც ჭიშკარი ჩაუკეტავს, რადგან არც გაუღია.

საღამომ ისევ სიზმრის მოლოდინში გაიარა. ახლა მათი ნახვა უნდოდა, ვინც წინა ღამეს ვერ მოვიდა და მისთვის ნიშნის დაწერა ვერ მოახერხა.

ეს სიზმარიც უცნაური რამეა. როცა არ გინდა, მოვა, როცა გინდა, ისე დაიკარგება, შიში გკლავს, სად არის, ხომ არაფერი დაემართა, გული ხომ არ ატკინე...

მაინც ელოდება. საინტერესოა სიზმარში ცხოვრება, კიდევ უფრო საინტერესო, ვიდრე მის გარეშე.





ლევან ღოჩია

ბელუჩები ლაშქრით არ დაფრინავენ

ათენი უპირველეს ბრძენს ასამართლებდა. ყველა, დიდი თუ პატარა, სკოლებსა თუ სახლებში, ბაზრებსა თუ თეატრში, სტადიონებსა თუ ვიწრო, მტვრიან ქუჩებში მისალმებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ აუცილებლად სოკრატეზე ამბობდა რამეს. ის ყბედი ავათონიკე, სოკრატემ რომ რიტორიკის სწავლებაზე უარი უთხრა – ჯერ სიჩუმე უნდა ისწავლოო, ქალაქის მთავარ ბაზართან გამომდგარიყო და მოქალაქეებს ხმამაღლა მოძღვრავდა: თუ მართლა ბრძენია ის მსუქანა, თვალებდაჭყეტილი და ცხვირპაჭუა, თავს რად ვერ გადაირჩენსო. ენა ჩაიგდევ, შე არამზადაო, – დაუძახა პლატონმა, სოკრატეს მოწაფემ, და საცემად გაიწვია. მოქალაქეებმა გააშველეს. პელოპონესის ომი ახალი დამთავრებული იყო. ცუდი დროება ედგა ათენს. ქრისტეს შობამდე 399 წელს პოტიდიის, დელიუმის და ამფიპოლისის ბრძოლების გმირი, დელფოს სამისნოს ორაკულის მიერ ყველაზე ბრძენ ბერძენად შერაცხილი სოკრატე ახლასამსჯავროს წინაშე იდგა და ხუთას მსაჯულს მისთვის განაჩენი უნდა გამოეტანა.



– კარგი, გურამ, საკმარისია!
– მასწ, რა კარგად მოყვა, არადა, მეგონა, ძველ ბერძნულ ქანდაკებად გადაიქცეოდა.
– მასწავლებლო, დამანებოს რა თავი! სესილი, იცი, რას გეტყვი? შენ თვითონ ხარ ქანდაკება, ოღონდ ენაჭარტალა! მასწ, რას მიწერთ?
– გურამ, აბა, შენ თვითონ შეაფასე შენი თავი, ოღონდ ჯერ მითხარი, რა ეწერა დელფოსის ტაძრის ფრონტონზე?
– „შეაფასე თავი შენი“!

– მთლად ასე არ ეწერა, მაგრამ იგივეა თითქმის – „შეიცან თავი შენი“. აბა, ენახოთ, როგორ შეიცანი შენი თავი და რას უწერ.
– გიზო მასწ, მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, ალბათ რვიანს დავუწერდი, მაგრამ ცხრიანი დამიწერეთ რა!
– ჩემს ადგილას შენ რატომ უნდა იყო? ამქვეყნად ყველას თავისი ადგილი აქვს. მემანტერესებს, შენს ადგილას მყოფი, ანუ მოსწავლე გურამ გაგნიძეს?
– ცხრას!
– თავმდაბლობით ნამდვილად არ გამოირჩევა, არ არის რვა ცუდი ნიშანი. და რატომ მაინცდამაინც ცხრიანი?
– დედაჩემმა – თუ ისტორიაში ცხრას მიიღებ, შემწვარ ახალ კარტოფილს გაჭმევ, კამით და ახალი ტყემლითო!
– ანუ იმისთვის სწავლობ, რომ შემწვარი კარტოფილი ჭამო?
– მასწ, ყველა ასე არ არის?
– სესილი, შენც?
– შენც, ბრუტუს?!
– შენ, კეისარო, თუ ზურაბ, შენც ასე ფიქრობ?
– მასწ, მეც მიყვარს შემწვარი კარტოფილი!
– ...
– გაცინებთ მე თქვენ!
– მასწ, რისთვის ვსწავლობთ, აბა? მარტო ჭამისთვის არა, მაგრამ ერთ-ერთი მიზანი ხომ ესეც არის?
– არის, ზურაბ, ოღონდ ყველაზე ბოლო და უმნიშვნელო!
– და პირველი რა არის?
– პირველიც და უპირველესიც – გარჩევა შეძლოთ, თეთრი და შავი განასხვაოთ...

– მასწ, ეგ სკოლაში მოსვლამდეც ვიცოდი, სახელებიც კი ვიცოდი ინგლისურად: ბლექ ენდ ვაით...

– სესილი, აქ ფერების გარჩევაზე არ არის საუბარი. საუბარია, როგორ განვასხვაოთ სიციფი და ბოროტება, და უმთავრესი – ვიპოვოთ სიმართლე, ჭეშმარიტება...



– მსაჯულნო, ზევსს გეფიცებით, მამაცებო. თქვენ გინდათ, მე თვითონ გამოვუტანო ჩემს თავს განაჩენი? ანუ რა გამოდის – გინდათ, ვაღიარო, რომ დამნაშავე ვარ და თუნდაც ერთი დრაჰმა დავადო ჩემს თავს სასჯელად? არადა, ამ ქალაქმა ჩემი ღვაწლისთვის სასჯელი კი არა, ჯილდო უნდა მომანიჭოს და უფასოდაც უნდა დამაპუროს, როგორც ოლიმპიური ჩემპიონები. თუმცა, ალბათ, მეც დავსჯიდი საკუთარ თავს, იგივე რომ მომესმინა, რაც ჩემმა ბრალმდებელმა მეღვთებ მოგახსენათ ჩემზე, რომ არა ერთი რამ – არცერთი სიტყვა მართალი არ იყო!

– ფრთხილად, ათენელი მსაჯულნო, თავისი მჭევრმეტყველებით არ შეგაცდინოთ სოკრატემ!

– მეღვთე, ისევ ცდები, მე მჭევრმეტყველი არ ვარ. მოქალაქენო, ხუთასო მსაჯულნო, ვისაც კი ჩემთვის მოუსმენია, დამეთანხმება: ჩემი სიტყვები არასდროს ყოფილა ტკბილი, როგორც ბერძნული თავლი. სიმწარე უფრო იყო მათში, თუმცა თავლიც ერია და ეს იყო მწარე სიტკბო, რასაც სიმართლე ჰქვია. ჩემი მეორე ბრალმდებელი, მდიდარი დიოდორე, მამუნათებს, თუ ჭკვიანი ხარ, მდიდარი რად არა ხარო. ამის პასუხად ერთს გეტყვით მხოლოდ: მრავალმდიდარს დაივიწყებს დრო, მაგრამ ყოველთვის ეხსოვება ჩემი მოწაფე დიოდორე, რომლის ერთადერთი სიმდიდრე მისივე გონებაა. თუმცა ყველაზე მეტად მაინც მეწაღე ლიკონი მაკვირვებს, დამნაშავედ რომ გამოვყავარ... ერთადერთი დანაშაული, რაც მის წინაშე მიმიძღვის, ის არის, რომ ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი დავდიოდი...

– „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული?“

– ჩუმაღ, გურამ! განაგრძეთ, ბავშვებო!

– გვიცავ ზევსს, მრავალი მშობელი ჩივის, რომ მათი შვილები შენ უფრო გიჟდებოდნენ, ვიდრე თავად მათ!

– მსაჯულნო, დააკვირდით, მეღვთე მამებს, არადა, ალბათ, გეგონათ, – და მეც ასე მეგონა, – ბრალს მდებდა... თავად განსაჯეთ, განა ჩემმა მოსწავლემ ისევე არ უნდა დამიჯეროს მე, როგორც ადამიანმა – ექიმს და მშობლისთვისაც ექიმის აზრი არ უნდა იყოს მთავარი? ან მშობელი განა იმიტომ არ მიაბარებს ხოლმე შვილს მასწავლებელს, რომ ის უფრო განსწავლულად მიაჩნია და ენდობა?



– ალო!

– დიახ, გისმენთ!

– სოკრატე მასწავლებელი ბრძანდებით?

– თქვენ ალბათ გიზო მასწავლებელს კითხულობთ.

– მაპატიეთ, გიზო მასწავლებლო, სახლში ბავშვი სულ თქვენზე საუბრობს – სოკრატე მასწავლებელმა ეს გვითხრაო, სოკრატე მასწავლებელმა ის გვითხრაო და...

– ეგ არაფერი.

– რატომ გაწუხებთ, გიზო მასწავლებლო... სესილის დედა ვარ, ერთი თხოვნა მაქვს, უარი არ მითხრათ!

– არ ვიცი, ქალბატონო, შევეცდები... თხოვნას გააჩნია.

– მერიდება კიდევ... სესილიზე უნდა გთხოვოთ. იცით, ვერ ვასწავლე ყოველ დილით კბილების გამოხეხვა, არადა, ლამაზი გოგოა, კბილებიც ლამაზი აქვს. სადღაც წაუკითხავს, კბილის ჯაგრისი მინანქარს აზიანებსო... იქნებ თქვენ უთხრათ, თქვენ დაგიჯერებთ.

– მე, ქალბატონო, სესილის ისტორიას ვასწავლი, ჰიგიენას კი არა. არ ვიცი, როგორ გამომივა... ახლა ძველ საბერძნეთს გავდივართ და იმ დროს საერთოდ არ იყო კბილის ჯაგრისი.

– ...

– გამითიშა! რა ეწყინა?

– გიზო მასწავლებლო, სესილის დედა ხომ არ იყო? ამ დილით ტელეფონი მთხოვა თქვენი.

– დიახ.

– მომკლამაგ ქალის პრეტენზიებმა. ამასწინათ მეუბნებოდა, დამრიგებელმა ქალმა ის როგორ ვერ მოახერხეთ, კლასს ერთი კონცერტი ფილარმონიაში ჩატარებინაო!

– ისევ რეკავს! გულნაზი ჰქვია, ხომ?

– კი, გულნაზი!

– ალო, ბატონო სოკრატე... უი, ისევ ბოდიში, გიზო მასწავლებლო, მქონდეს თქვენი იმედი?

– ქალბატონო გულნაზი, ეს ისეთი დელიკატური საკითხია, დაფიქრებასაჭირო. სესილი პატარა აღარ არის... უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩავაგდოთ, მის აზროვნებაზე არ უნდა ვიძალადოთ. დაე, თვითონ მიხვდეს, რა არის კარგი.

– თვითონ რომ ვერ ხვდება და თქვენი რომ სჯერა, იმიტომ გთხოვთ დახმარება და თქვენც უარს მეუბნებით! მართალია ჩვენი მთავრობა, მოძულებული რომ ჰყავს მასწავლებლები! ყველას არ უნდა ერქვას მასწავლებელი!

– დახმარებაზე უარს არ გეუბნებით. უბრალოდ, ეს დელიკატური ფორმით უნდა მივანიშნოთ.

– მომკლა თქვენმა დელიკატურობამ... კარგი, აბა, დელიკატურად მიანიშნეთ მაშინ!

– ვეცდები.



– ჩემო მეუღლე, შენი ხასიათის წყალობით ყველა ადამიანს ვეგუებოდი, შენთან ურთიერთობამ ძალა შემმატა! გმადლობ, რომ მოხვედი! ბიჭები სად არიან?

– აკი დააბარე შენს მოსწავლეებს, რომ არ წამოშეყვანა?!

– ნუთუ ასეთ დროს მათი ნახვა არ მომინდებოდა?! მეგონა, როგორც ყოველთვის, უკულმა გაიგებდი ჩემს სათქმელს და მაინც მოიყვანდი!

– სოკრატე, ისევ ეს შენი ირონია... ახლა მაინც იყავი ნორმალური, სხვებივით...

– ქსანტიპე, ჩემო ძვირფასო, განა, სხვებივით რომ ვიყო, გეყვარებოდი? რა საცოდავი ვარ, გუმანმა როგორ მიმტყუნა, თუმცა ახლაც მგონია, ჩვენი ბიჭები სადღაც აქ არიან და გვისმენენ. ჩვენი ბიჭები... ქსანტიპე, დამპირდი, რომ ჩვენი ქალაქი საკუთარ თავზე მეტად ეყვარებათ!

– ამ ქალაქმა შენ სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანა, სოკრატე, და კიდევ მასზე ზრუნავ?!

– მთელ ქალაქს ნუ დასდებ ბრალს იმ ბრყინვათ გამო, რომელნიც უმრავლესობაში აღმოჩნდნენ - უმრავლესობა ხშირად უგუნურია, ქსანტიპე, დაიმასხოვრე. დამპირდი, რომ ბიჭებს ამ ქალაქს არ შეაძულებ, იმიტომ რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად ის მიყვარს!

– აქ არიან, სოკრატე, ჩვენი ბიჭები, კედელს არიან მოფარებულნი და ისე გისმენენ! გამოდით, შვილებო.

– ასეც ვიცოდი, შვილი ყოველთვის უნდა უსმენდეს მშობელს! ქსანტიპე, არც კედელს, არც კალთას არ ამოაფარო ისინი! ჩემო შვილებო, მაპატიეთ დრო, რომელიც დაგაკელით. მეგონა, ამით ჩემს ქალაქს შევძენდი მეტს.



– გიზო მასწავლებელო, რა კარგი ღია გაკვეთილი გამოგივიდათ, არაჩვეულებრივი სპექტაკლი დადგით! განსაკუთრებით სესილიმ გამოცა ქსანტიპეს როლში!

– გმადლობთ, ქალბატონო თეა. რამინდაგთხოვთ, ინტეგრირებული გაკვეთილი ხომ არ ჩავატაროთ, ქიმი-ისტორია?

– რა ვიცი, ბატონო გიზო, აქვს კი რამე საერთო ქიმიას და ისტორიას?

– რატომ, ბევრი რამ აქვს საერთო. აი, თუნდაც ასეთი თემა: „კბილის პასტა, ჯაგრისი და ისტორია“.

– არ იქნება ცუდი, თანსწორედ ახლა ნეიტრალიზაციის რეაქციას გავდივართ.

– ეს ის არ არის, მუჟა და ფუძე რეაქციის დროს რომ წყალს და მარილს წარმოქმნის?

– ნამდვილად ასეა. ალბათ, ისიც გახსოვთ, ჭამის დროს ნერწყვი მუჟა გარემოს რომ ქმნის, ეს გარემო კი მინანქარს აზიანებს. ამიტომ საჭიროა კბილის პასტა, რომელიც ფუძეს შეიცავს.

– მშვენიერია!

– გიზო მასწავლებელო, ჩათვალეთ, რომ ჩემთან უკვე ჩატარებული გაქვთ ინტეგრირებული გაკვეთილი. დავალბა მივეცი ბავშვებს, მათემატიკური ამოცანა უნდა მოეფიქრებინათ, რომელიც ორუცნობიან განტოლებათა სისტემით იხსნება...

– ქალბატონო ლია, არ მითხრათ, ისტორია გამოიყენესო...

– სწორედ! თანაც სოკრატეს ისტორია! თქვენ გითქვამთ, ხუთასი

კენჭიდან თეთრი ოცდათერთმეტით მეტი თუ აღმოჩნდებოდა, სასამართლო სოკრატეს გაამართლებდაო.

– ნამდვილად ასეა.

– ჰოდა, ზურაბმა – წინაპირობიდან გამომდინარე, თუ მსაჯულთა რიცხვი ხუთასი იყო, საბოლოოდ რამდენმა გაამართლა სოკრატეო!

– მშვენიერია!

– გამომივიდა ისტორია-მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილი. მე თვითონ რამდენი რამე არ ვიცოდი სოკრატეზე, ჰოდა, მიყვებოდნენ... ისე, მართლა საოცარია, კენჭებმა გადაწყვიტა უდიდესი ბერძენის ბედი! თუმცა რა არის გასაკვირი, იერუსალიმში დიდებით შესული იესო ერთი კვირის შემდეგ ჯვარს არ აცვეს?!

– ღია მასწავლებელო, ეს არის ჩვენი ცხოვრება, თეთრი კენჭი – შავი კენჭი...



– კრიტონ, როგორ ვამაყობდი შენით, საუკეთესო მოწაფედ მიმაჩნდი, შენ კი გინდა, ქურდით გაშაპარო ათენიდან?

– მასწავლებელო, ჩვენ შევეცდებით, დავარწმუნოთ მსაჯულები, რომ უდანაშაულო ხართ, რომ თქვენ წინააღმდეგ გამოთქმული ყოველი ბრალდება აბსურდია და უკან დაგაბრუნოთ!

– კრიტონ, კანონი კანონია, მეც ამ ქალაქთან ერთად ვქმნიდი ამ კანონებს. ვინც კანონებს იცავს, მშვიდობიან დროს ბედნიერია, ომის დროს კი – ძლიერი. განა საზოგადოება შეძლებს არსებობას, თუ კანონებს არავითარი ძალა არ ექნება? ამიტომ იქნებ ჩემი სიკვდილი სიცოცხლეზე ძვირფასი იყოს ახლა და ეს იქნება ჩემი ბოლო გაკვეთილი! იცი, რა უნდა მოგიყვე? იმ დღეს, როცა სასამართლოში დამიბარეს, გზად მიწაზე დაცემული ბელურას ბარტყი ვიპოვე...

– მასწავლებელო, ქალაქმა სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანათ, ხვალ განაჩენს აღასრულებენ, თქვენ კი რაღაც უმნიშვნელო ბარტყზე ფიქრობთ?!

– კრიტონ, ნურასოდეს იტყვი, თუნდაც ყველაზე მცირეზე, რომ ის უმნიშვნელოა!

– ბოდიშს გიხდით, მასწავლებელო... დრო არ ითმენს, მცველები მოსყიდულნი არიან. ამაღამ გაგაპარებთ!

– ბოდიშს ნუ მიხდი, დროს კი ჩვენ თვითონ ვქმნით და თუ ვინმე დასასჯელია, ის მცველები და შენ... კანონი კანონია, თუმცა მათაც გადავარჩენ და შენც... დიას, სასამართლოსკენ მიმავალმა ვნახე ბარტყი, რომელსაც არც ფრენა შეეძლო, არც სიარული, უსუსურად ეგდო მიწაზე და კატა ეპარებოდა... და მე ცხარე ცრემლით დავიტირე ის ბარტყი... და როცა ვტიროდი, მახსენდებოდა დედაჩემი ფენარეტი, რომელიც ბეზბაქალი იყო და მამაჩემი სოფორნისკუსი, მოქანდაკე...

– მასწავლებელო, რა კავშირი აქვს მკვდარ ბარტყს თქვენს მშობლებთან?

– კრიტონ, მკვდარი არ მითქვამს, უსუსური-მეთქი, ვთქვი. მეგონა, მიხვდებოდი, რომ კატა დავაფრთხე. რაც შეეხება მშობლებს, მე ხომ ორივე მათგანის პროფესია ავითვისე – ერთი მხრივ, ვცდილობდი,



ჭეშმარიტებას დაბადებაში დაეხმარებოდი, მეორე მხრივ კი – გამომე-
ქანდაცებინა ის, რათა კლდე სავით ძლიერი გამხდარიყო. შევძელი კი?

– მასწავლებლო, თქვენ ეს შეძელით!

– ვერა, კრიტონ, მე ვარ ის უსუსური ბარტყი, რომელსაც გზაზე
დავტყუროდი. საკუთარ თავს დავტყუროდი, გამოდის... მე, მოხუცი,
თითქოსდა მრავლისმნახველი შენი მასწავლებელი, ის უდღეური
ბარტყი ვარ, რომელმაც ფრთების გამაგრებამდე გადაწყვიტა აფრენა.
გინდა, ახლა ეს ბარტყი საკუთარ ბუდეს მოაშორო?

– მასწავლებლო, რა მოუვიდა იმ ბარტყს?

– მისი მშობლების ძებნა და ვიწყე, მაგრამ ამაოდ – არსად ჩანდნენ
ბელურები. მერე ბუდე მთავარი თვალი და თუმცა ტანმალაი არ
მეთქმის, შევწვდი და ბარტყი დავუბრუნე. მართალია, კანონს სურს,
კატასავით მომეპაროს, მაგრამ მეც ჩემს ქალაქში, ჩემს ბუდეში დავრ-
ჩები და საწამლავით სავსე თასსაც ბოლომდე შევსვამ!

– თქვენ ხომ სამართლიანობას გვასწავლიდით, უდიდესი უსამარ-
თლობა იქნება თქვენი სიკვდილი!

– ჩემო კრიტონ, ზევსი დაიფიცე, მაშ, შენ გინდოდა, სამართლიანად
მომკვდარიყავი?



ქრისტეს შობიდან 2019 წელი იდგა. მსოფლიოს უძველეს ცივი-
ლიზაციათა შორის მესამე, პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა, რომელმაც
გამოიარა აღზევნება და დაცემა, ოქროს ხანაც და მსოფლიოს
უდიდესი იმპერიებისგან მრავალწლიანი დაპყრობა და დაქუცმა-
ცებაც, ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობის ოცდამერვე წელს
ითვლიდა. რუსეთის უზარმაზარ იმპერიას, რომელსაც დედამიწის
მეექვსედი ეკავა, თითქმის ორსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგაც არ
ემეტებოდა საქართველოსთვის თავისუფლება და მისი ორი რეგიონი
კვლავ ოკუპირებული ჰქონდა. თბილისი ბოხოქრობდა, ტელევიზიით
მთელმა ქვეყანამ ნახა, როგორ იჯდა პარლამენტის თავმჯდომარის
სავარძელში ოკუპანტი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრი. ეს

სულ რამდენიმე წუთი გაგრძელდა. მალე მან თვითმფრინავით და-
ტოვა ქვეყნის საზღვრები, საქართველოს კი დაუტოვა არეულობა და
შინააშლილობა. ქვეყნის მთავარი ქუჩა მოქალაქეებმა ააესეს. მმარ-
თველი პარტია თავს იმართლებდა, ის კაცი იქ არ უნდა მჯდარიყო,
რეგლამენტი დაირღვა, სხვებივით ტელევიზიით გავიგეთ ეს ამბავიო.
პარლამენტის თავმჯდომარე უცხოეთში იყო, ოპოზიციური პარტიები
კი ხალხს მოუწოდებდნენ, მაღლა აწეული ხელებით პარლამენტში
შევიდეთო. პარლამენტში შეჭრა რევოლუციასთან ასოცირდებოდა
საქართველოში, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან
არასრულ სამ ათეულ წელიწადში უკვე ორი რევოლუცია გადაეტანა
– ერთი სისხლიანი, მეორე უსისხლო. დრომ გამოაჩინა, რომ არც ერთ
მათგანს სიცოცხლე არ მოუტანია ქვეყნისთვის. მაღლა აწეულ ხელებში
მალე ქვები და რკინები გაჩნდა. პოლიცია, რომელიც პარლამენტს
ფარებით და ხელჯოხებით იცავდა, იძულებული გახდა, რეზინის
ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინა.



– მოგვდევენ, მასწ?

– არ მოგვდევენ! გურამ, ფეხში ხარ დაჭრილი? ახლა სასწრაფოც
მოვა.

– მასწ, თქვენც სისხლი მოგდით.

– ეგ არაფერი.

– როგორ არაფერი, მასწ, პერანგის სისხლით გაქვთ მოსვრილი.

– კარგი, ორივეს მოგვხედავენ. ეტყობა, არ არის თავისუფალი
ბრიგადა, ბევრი ხალხი გადაიყვანეს.

– მასწ, თქვენც აქ იყავით?

– ვიყავი, სანამ პოლიტიკოსები გამოჩნდებოდნენ.

– აბა, როდის დაბრუნდით, მასწ?

– როდის და როცა დავინახე, რომ ხალხმა სამართალდამცავებზე
ძალადობა დაიწყო. უბედურება დატრიალდება – მეთქი, ვიფიქრე...
მერე პოლიციელებში ზურაბი შევნიშნე, მოძალადე ხალხში კი – შენ...

– არ ვიცოდი, მასწ, ზურა თუ იყო... ხალხმა რომ დაიძახა, მივაწვე-
თო, მეც მივაწვეე. მერე ერთი პოლიციელი გამოვათრით და ჩაფხუტო
რო მოხადეს, მაშინ ვიცანი...

– ჰოდა, მეც სწორედ მაშინ მოვედი...

– მასწ, რა მაგრები ვართ, რომ ზურა გადავარჩინეთ და სასწრა-
ფომდე მივაცილეთ, თორემ ხო შეიძლება, ხალხს ჩაექოლა.

– არა მგონია, ასე მომხდარიყო, თუმცა კარგია, რომ იმწუთას
ორივე იქ ვიყავით.

– იცოდით, მასწ, პოლიციაში რომ მუშაობდა?

– არა, არ ვიცოდი, ჯარში მეგონა.

– არადა, სულ ათოსანი იყო, სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა.

პოლიციაში სამსახური თვითონ მოისურვა. რა ნიჭი გააჩნო, არა?

– ვინ თქვა, რომ გააჩნო? პირიქით, ქვეყანას ემსახურება!

– მასწ, ხალხს ტყვიები ესროლეს! თქვენც მოგხვდათ, მეც...

– რეზინის!

– მასწ, მეგონა, ჩემკენ იყავით!

– სოკრატე ხომ გახსოვს?

– მასწ, როგორ არ მახსოვს, სულ სოკრატეზე გვესაუბრებოდით.

– აბა, ისიც გაიხსენე, სოკრატე ვისკენ იყო?

– ჭეშმარიტებისკენო, ასე გვასწავლიდით.

– ჰოდა, მეც ვცდილობ, ჭეშმარიტებისკენ ვიყო.

– ჩემკენ ხომ არის მერე, მასწ, ჭეშმარიტება?

– ჩემი ორი მოსწავლე ერთმანეთს რომ ურტყამს, სადღაც შუაშია
მაშინ.

– მე რომ ვიცანი, მასწ, არ დამირტყამს! მასწ, ნახეთ, ზურა მოდის!

– ზურა, როგორ ხარ? გამოგიშვეს ექიმებმა?

– უკეთ ვარ, მასწავლებლო. ტვინის მსუბუქი შერყევადი, მითხ-
რეს. არ გავყვეი საავადმყოფოში. ორი მძიმედ დაჭრილი მომიტინგე
და ერთი პოლიციელი მოიყვანეს. თვალები ჰქონდათ დაშავებული
და ისინი გადაჰყავთ... თქვენ როგორ ხართ, მასწ?

– როგორ იქნება! ტყვიები რომ დაგვახალეთ, მანამდე გეკითხათ!
ტვინის შერყევა გაქვს ნამდვილად შენ, ვისაა, რომ იცავ? ამას უწერ-
დით მასწ, ათიანებს?

– კაცო, გურამ, წელან არ მეუბნებოდით, რა მაგარია, ზურა რომ
გადავარჩინეთო?!

– კლასელია მაინც, მასწ... ბიჭო, ზურაბ, არ გეშინია, პოლიციელის
ფორმით რომ ხარ, ხალხმა რამე არ მოგწიოს? თუ ამათ ციხესიმაგრეს
გინდა ჩაეშენო ზურაბივით?

– კარგი, გურამ, კარგი... გიზო მასწ, მალე თავისუფალი ბრიგადა
მოვა და ორივეს საავადმყოფოში გადაგიყვანთ.

– ხალხმა შეიძლება გადაგიაროს-მეთქი და ეს ჩვენზე ზრუნავს.
ნორმალურია ახლა ეს, მასწ?!

– გიზო მასწ, აი სასწრაფოს ბრიგადაც...

– უი, სესილი, მასწ, ნახეთ სესილი?

– გურამ, ზურაბ... სოკრატე მასწ... უი, მაპატიეთ, გიზო მასწ...
როგორ ხართ?

– როგორ ვიქნები... ამ შუალამისას შენს ორ კლასელს ვაშველებ!
შენ ექიმი გახდი?

– დიახ, მასწ, ერთი კვირაა, რაც სასწრაფოში დავიწყე მუშაობა!
ბოდიში, მასწ, სოკრატეს რომ გეძახდით სკოლაში...

– რა ბოდიში, ეს პატივი იყო ჩემთვის! უკვე ხუთი წელია, რაც
სკოლა დაამთავრეთ?

– დიახ, მასწ!

– იცით, გუშინ სიზმარში გნახეთ სამივე, ისევე ისტორიის გაკვეთილი
გვექონდა. თქვენ გამომცდელები იყავით, მე და სოკრატე კი – მოსწავ-
ლეები და თქვენ ნიშნებს გვიწერდით.

– რა საოცარია, მასწ!

– მასწავლებლო, თქვენ არ გითქვამთ, მაგრამ იმ ხუთას მსა-
ჯულში, რომლებმაც სოკრატეს ბედი გადაწყვიტეს, შეიძლება მისი
მოსწავლეებიც ერიგნენ.

– შეიძლება, ზურაბ.

– მაშინ ის თეთრი და შავი კენჭები ნიშნები გამოდის?

– ჰო, ასე გამოდის.

– მასწ, ნახეთ, ბელურა მოფრინდა. გახსოვთ, ბელურას ბარტყზე
რომ გვიყვებოდით? სასამართლოსკენ მიმავალმა სოკრატემ რომ
იბოვა...

– მახსოვს. არადა, მეგონა, ბელურები ღამით არ დაფრინავდნენ.





ქაჩია ქაჩიუნი

ნაციონალი

სკოლისთვის უკვე დანებებული გვექონდა თავი მეც და გიორგისაც და კაფე „ქეიფთაუნის“ წინ ქოლგის ქვეშ მოკალათებული ლუდს ვწრუპავდით. რა თქმა უნდა, ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობდით, უფრო სწორად, გიორგი ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი. არწივისებური ცხვირი და, ჩემს წარმოდგენაში, ხანძთელივით გამზმარი სხეული მეტ დამაჯერებლობას აძლევდა მის თეზისებს. ჯერაც მასწავლებლობისას მათხოვა შესანიშნავი წიგნი, ნევისისა და ქომანჯერის „ამერიკის ისტორია“. მაშინ კი არა, ახლაც უნიკალურია, მგონი. ექვსასგვერდიანი იქნებოდა. შეგაყვარებდა ამ ქვეყანას, რომც გძულებოდა. მთლად აბდაიც „კენტაგონის“ ამერიკის სურნელს ვერა, მაგრამ ლინკოლნისა და ანი რათლევსისას ნაღდად გაგრძნობინებდა. იშხანად ამერიკაზე, ასე მთლიანად რომ მოეცვა მისი ისტორია, მხოლოდ „ამერიკის პრეზიდენტები“ მქონდა წაკითხული, ქართველი პროფესორის გამოცემული, ჩვენი კოლეგა ისტორიკოსი, საკმაოდ მხცოვანი, მუდამ რომ აკრიტიკებდა - ნაშრომი არ უნდა დაერქმია ამ წიგნისთვის, არ ეკადრებოდაო. თუმცა მე საუკეთესოდ მიმაჩნდა, სანამ გიორგის ნათხოვებ მონოგრაფიას წავიკითხავდი. მომწონდა, მაჯისცემასავით რომ მისდევდა პრეზიდენტების ამბები ერთმანეთს, სანიკის სტილში: და ეს იყო ამერიკაში დაბადებული პირველი პრეზიდენტი; და ეს იყო პირველი მოკლული პრეზიდენტი; და ეს იყო პირველი პრეზიდენტი, ვისაც სხვა პრეზიდენტის ვადის გაგრძელება მოუწია... მოკლედ, ვსაუბრობდით მე და გიორგი და უეცრად თვალი მოგვკარი - კაფესკენ შემოუზვია, საბავშვო ეტლს მოაგორებდა. იმანაც დამინახა და გაოცებულს გამკრა გულში: „ლმერთო, ისაა!“ ლურჯი, მომცრო ეტლი იყო. შიგ ქერა გაღიმებული გოგონა იჯდა და მიყურებდა. ისევ დედაზე გადავიტანე მზერა. ქათქათა თეთრი საბავშვო კაბა ეცვა, წინ ლილეზიანი, ექთნის ხალათს რომ ჩამოჰკავდა თითქოს, მაგრამ უზომოდ უხდებოდა.

— გამარჯობა, ავთო მასწ! — ისევ ქერა იყო, ოდნავ მზემოკიდებული, თუმცა დაქალბუღი იყო უკვე. ღიმილი კი შერჩენოდა ბავშვობისდ-როინდელი, მაგრამ უპეები, დაღლილობის ჩრდილგადკრული სახე და რალაცნაირად სიმძიმეშეპარული სხეული გაფიქრებინებდა, რომ საკმაოდ ეჯახირა ცხოვრებასთან. წამოვდექი და გადავკოცნე. ახლაც გავაცნობიერე, რომ ყოველთვის თვითონ მკოცნიდნენ, მე არასოდეს მიკოცნია მათთვის.



საკლასო ოთახში შესვლისთანავე მომავრთხილდებოდნენ. ჯერ ერთი გადამოკცნიდა, მერე — მეორე. მეთერთმეტე კლასელები. სულ რაღაც ერთი თვის შესული ვიყავი მათთან. კლასი ორად გაიყო და მეთერთმეტე „ა“ მე მომცეს, მასწავლებლობაც ახალდაწყებული მქონდა. ერთი სემესტრი იყო გასული, ისედაც ძლივს ვაბამდი თავს და ახლა კიდევ — ყოველი გაკვეთილის წინ ორი ულამაზესი გოგონა, გამოწერილივით. ერთი — არაქართულად ქერა, — ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც ვერ გავარკვევ, შეღებილი ჰქონდა თმა თუ ბუნებრივი, — და მეორე — არაბულ-ევგიპტური იერისა. ახლა ეს როგორია, თავად წარმიდგინეთ როგორმე, მე არ ვაჭარბებ, მართლაც, არაბულიც იყო მასში რაღაც, ეგვიპტურიც. ალბათ, ვინმე უბრალოდ იტყოდა, მულატიო, ლათინო-ამერიკელიო, შავგრემანიო, მაგრამ არა, ასეთი აღწერა, ვგონებ, დააკნინებდა მის სილამაზეს. „გამარჯობა, ავთო მასწ!“ — მოაყოლებდნენ გულწრფელი ალტაცებით და მე, ყურებამდე გაწითლებულს, მათი თანაკლასელების გაკვირვებულ-გაოცებულ სახეებზე გადამქონდა შემცბარი მზერა. მეჩვენებოდა, რომ ირონიანარევი ღიმილით მიყურებდა ყველა, და საერთოდ, ეჭვი მღრღნიდა, რომ ეს ორი ჩემს გასამასხარავებ-

ლად იქცეოდა ასე, მაგრამ ამგვარი ფიქრისთვის ვერ ვიმეტებდი საკუთარ თავზე უფრო იმათ. რაღაცის გარჩევა მეც ხომ შემეძლო: მოსწონდათ ჩემი გაკვეთილები, პატივსაც მცემდნენ და მასხარაობას და აგდებას ვერ ვატყობდი ვერცერთს. დიდი გამოცდილება – არა, მაგრამ იმდენი თავმოყვარეობა კი მქონდა, ასეთი რამის შემწნევისთანავე დამეხურა ქუდი, უფრო სწორად, რადგან ქუდს აღარ ვატარებდი, დამეკეცა საკლასო ჟურნალი ნერვიულად, გამეჯახუნებინა კარი ბრაზით და მეტად აღარც შევსულიყავი მათთან. წარმოდგინეთ, დირექციის თხოვნით, ერთ დამატებით საათს ჰაგიოგრაფიაზე რომ ვუტარებდი, იმსვენავსილი უშუალოდ ამზავსაც კი ისმენდნენ, თემებსაც წერდნენ, საზეპიროებსაც იზუთხავდნენ და კლასგარეშე კრიტიკასაც კი მოიძიებდნენ ხოლმე. მოდი და გეფიქრა ახლა, ეს ორი ანგელოზი, გაკვეთილზე შესვლისთანავე: გამარჯობა, ავთო მასწო! – რომ იკივლებდნენ და ჯერ ერთი რომ მომახტებოდა და ლოყაზე მაკოცებდა, მეორე მორჩილად უცდიდა დაროგორც კი პირველი უკან დაიხევდა, ახლა ისიც, თითქოს დილის თუ შუადღის – რა ვიცი, როდესაც მიწევდა მათთან გაკვეთილი – რიტუალი ყოფილიყოს, ცალ ხელში ჟურნალჩაბლუჯულს მხარზე რომ მომიკიდებდა ხელს და იმავე ლოყაზე მაკოცებდა, ისე კი არა, ნაცნობებს რომ ვკოცნით მისალმებისას, მპუაო და ბაგეები ჰაერს რომ გაელაშენება, – არა, გაკვეთილის ბოლომდე რომ ვგრძნობდი ლოყაზე ტუჩების ნოტიო სიმბურვალეს, ისე. ჰოდა, მოდი და გეფიქრა, რომ ეს განზრახ, ჩემს გასაშარჟებლად ხდებოდა. თავიდან ვიფიქრე, პომადის კვალით ხომ არ მიპირებენ გაპამპულებას-მეთქი და, საბედნიეროდ, მუქი წაბლისფერი კარადის სარკეში ჩახედვას ვასწრებდი დაფაზე გაკვეთილის საათურის დასაწერად მიმავალი. დაფაზე თეზისების ჩამოწერას კი, მასწავლებლობას ახლად შეჭიდებულნი, არასოდეს ვიზარებდი – რა იცი, როდის გაგჭედავდა მესსიერება თუ შფოთვა. ახლა, კომპიუტერებისა და პროექტორების ეპოქაში, ალბათ, უფრო ადვილია. კაცმა რომ თქვას, ჟორდანისას დროზე კი არ ვცვები, ის კი არა და, გამსახურდიას დროზეც არა – ეს საუკუნე ახლად ფეხმეოდგმული იყო. კი იდგა კომპიუტერები ტექნიკურ ოთახში, როგორც ჩვენი დამფუძნებელი და მესაკუთრე ეძახდა სამასწავლებლოს გვერდით მდებარე ინფორმატიკის კაბინეტს და გვეუბნებოდა კიდევ, როცა დრო გექნებათ, პერსონალმა ისწავლეთ კომპიუტერზე მუშაობა, ღმერთია მოწამე, ჩემთვის არ გთხოვთ, თქვენვე გამოგადგებათო, მაგრამ ლამის ხუთასბავშვიან კერძო სკოლაში კომპიუტერებს იშვიათად ეცალა ჩვენთვის. გაკვეთილების შემდეგაც შეიძლებოდა, მაგრამ მე და ჩემი მეგობარი, გამოცდილი მასწავლებელი, ოცი წლის სტაჟის მქონე ისტორიკოსი გიორგი, თავისუფლების ჰაერჩასუნთქულნი, უმაღვე სახლებისკენ გავეშურებოდით ხოლმე. ახლა კი არის სასაცილო, და რაღა ახლა, ორი ათას ექვსისკენ უკვე მიმაჩნდა სასაცილოდ, როცა კომპიუტერი შევიძინე და ბლოკნოტებიც სამუდამოდ დავივიწყე, ჩემი საყვარელი უბის წიგნაკებიც და გონებაში გაჭაჭანებულ თითოეულ აზრს კლავიატურაზე ავკენავადი ხოლმე... გაცეხული ვიხსენებ, როგორ შემეძლო, ასე არ მცოდნოდა კომპიუტერი, მაგრამ მასწავლებლობა სამი თუ ოთხი წლის მიტოვებული მქონდა და კიდევ კარგი, თორემ ახლა რომ ვუყურებ, იმდენი შესაძლებლობა აქვს

ინტერნეტს და კომპიუტერს და თუნდაც სმარტფონს, რომ იქნებ ვერც შევლეოდი ამ საშინლად მძიმე და ასტრონავტობაზე რთულ პროფესიას. ალბათ მღვდელს თუ ექნება მასწავლებელზე მძიმე ტვირთი... ჰო, იმიტომაც ჰქვია მოძღვარი. ნამდვილ მღვდელს ვგულისხმობ, კი მიმიხედვით, თორემ მრევლის ქალბატონებს რომ ეპრანჭებიან, იმათზე არ მაქვს საუბარი. ბუნებრივია, არც იმათზე, პროფესია რომ ჰგონიათ მღვდლობა და კარგ, მსუყე სამრევლოებს რომ ეძებენ. ინტერნეტი და ტექნოლოგიები მართლაც გამოადგება კარგ მასწავლებელს, როგორც ვთქვი, მაგრამ მე მაშინ ეგ ვერაფერს მიშველიდა და ღმერთმა მიშველა. ამ წამს მომაფიქრდა, ჯერ ასე ყოვლისმომცველი რომ არ იყო სოციალური ქსელი – წარმომიდგენია, იმ ორის გადამკიდეს რა დღე დამადგებოდა, ის მოფართხალება მესენჯერში და პირად და საჯარო მიმოწერაში რომ გადაითქვიფებოდა... აი, მაგის მომრევი ჩემი ოცდახუთწლიანი სასიცოცხლო გამოცდილებით ნამდვილად ვერ ვიყავი, თუმცა იქნება და პირიქით, დამხმარებოდა კიდევ.



ყველაფერი კი იმ კლასში შესვლიდან ერთ თვეში დაიწყო. სხედან გასუსულები და ჩუმად კრუსუნებენ. ერთი, ქერა, დამჯდარა თემურთან, ყველაზე წყნარ, მაგრამ ზარმაცის ერთ ბავშვთან და ემძაჟურად იხედება დროდადრო. კი მესამეშა, მუდამ ერთად იყვნენ და ერთადაც ისხდნენ მერხთან, ახლა ცალ-ცალკე რატომ დამსხდარან, ხომ არ წაკინკლავდნენ, ხომ არ გაებუტნენ ერთმანეთს-მეთქი. ის-ის იყო, უნდა მეკითხა, რომ დამადგა ეგვიპტელი თავზე და მიჩურჩულა: „ავთო მასწ, გთხოვთ, ეს შეინახოთ და არავის მისცეთ!“ – და ხელში პატარა გასალები ჩამიჩურთა. დახედე. ერთი ციდა კლიტე იყო, ვერცხლისფრად ბზინავდა. „რისია?“ – ვკითხე გაკვირვებულმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შემოლაგდნენ: დირექტორი, სასწავლო ნაწილი, ორგანიზატორი, დამფუძნებელი და, როგორც მივხვდი, ქერას დედა. ავისმომასწავებელმა სიჩუმე ჩამოსუსხა.

– თუ გაარკვეით, ბატონო ავთანდილ? – მომმართა დირექტორმა. აშკარად ეტყობოდა, იცოდა, მოულოდნელობის ეფექტი როგორც დამახნვდა ისედაც შეფიქრიანებულს ამდენი სტუმრით.

– რა, ქალბატონო გულნარა?

– როგორ თუ რა, ბრმა ხართ? ვერ ხედავთ, რომ გადაჯაჭვულნი არიან?! – მითხრა თან ბრაზით, თან ნიშნის მოგებით და კვლავ კლასს მიუბრუნდა: – უკანასკნელად გეკითხებით, სად არის გასალები? – ბოლო სამი სიტყვა მთელი ხმით აღმოცდა.

გაცურებ კლასს. ქერას თავი ამჯერად ლამის მერხამდე დაუხრია, თემურს კი ყვინჩილასავით წამოუწევია და ამბობს:

– ხომ გითხარით, მასწ, გავიხუმრეთ და დამეკარგა გასალები, გარეთ დამივარდა სადღაც, მთელი კლასი ეძებდა და ვერ იპოვეს!

სიცივე თუ სიმბურვალე ნელა დაიძრა ტერფებიდან და დაუარა თმისძირებს. ვუყურებ და ახლად გაცნობიერებ, რომ ხელბორკილით არიან ეს ქერა და თემური გადაბმული ერთმანეთზე. პოლიციელის შვილი იყო თემური, მამას მოპარა, როგორც ჩანს.

– ოცი წუთი ხომ მოგეცით, ვურეკავთ ახლა მამაშენს და როგორც უნდა, შეგხსნას ეგ ჯაჭვი. მე რომ მკითხოს კაცმა, ორივე ხელზე უნდა

გაგიკეთონ ორივეს და ჩაგაყუდონ კოლონიაში, მაგრამ ვინ დამიჭერს მხარს! – მიაჩერდა დამფუძნებელს, რომელმაც მე მომმართა:

– ბატონო ავთო, იქნებ თქვენ იცოდეთ რამე?

– ახლალა შევნიშნე, ბატონო დენა, არც კი ვიცოდი! – ისე საწყლად ვთქვი, რომ დამიჯერა. არადა, მინდა, ყველას თვალწინ გაგვლიჯო ორივე, ორივე რა – სამივე, სამივე რა – მთელი კლასი! ქერა თავს არ სწევს, აი, მეორეს კი ვბურღავ თვალებით. ის კიდე უტიფრად, თვალებგაბრწყინებული მიყურებს და ბაგეებით მადლობას მიხდის. არც კი ვიცი, როგორ მოვიკრიბე ძალა და ფაქტობრივად აბსოლუტურად მოუშზადებელი ღია გაკვეთილი ჩავატარე, სადაც გადახვეწილი ხმით, რომელიც თავადაც არ მესმოდა. პალატები მეფეთა კი არა, ციხის საკნები მედგა თვალწინ. ეს ციკქნა გასაღები მწვავდა ჯიბეს ჰობიტის ბეჭედივით და ბრაზი მახრჩობდა.

მხოლოდ შესვენებაზე მომეშვა ცოტა, როცა დამფუძნებელს ვთხოვე, ცოტადრო მომეცით, იქნებ ვათქმევინო, გასაღები სად არის – მეთქი. იმან კიდე, გაფითრებულმა – აბა, შენ იცი, გადამარჩინე, თორემ ხომ იცი, ის პოლიციის უფროსია, ამისი მამა – ფრაქციის თავმჯდომარე; დედამისი კი დავითანხმე, მაგრამ გაკვეთილების ბოლომდე თუ არ მოვაშორე ეს ჯანდაბა, ორივე დამაცხრება თავზეო.

როცა ხელბორკილი ჩავაბარე დამფუძნებელს თავისი გასაღებით, საკუთარი მამაცობით აფოფინებულმა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უპატიებელ პედაგოგიურ შეცდომას ვუშვებდი, იქნებ პროფესიად რომ დამეჯდომოდა, ისეთს, და ვერც იმას ვიფიქრებდი, რომ დამფუძნებლის გვერდით გაყურსული დირექტორი, ვერაფრით რომ ვერ დააცდენინა ბავშვებს, სადაც გასაღები, ამის მპატიებელი აღარ იყო.



ის-ის იყო, დავდე ჟურნალი მაგიდაზე და შავტუხამაც გადამოკცნა, რომ თვალი შევასწარი კართან ატუხულს და გამაცივა. არ ვიცი, განზრახული ჰქონდა გაკვეთილზე დასწრება თუ იმწუთას გადაწყვიტა – შემოვიდა და სანამ წინა მერხს მიუჯდებოდა გვერდულად, როგორც იცოდა ხოლმე, გაოცებულ იმილიანმა, მკითხა თუ უფრო რიტორიკულად იკითხა: „რა ამბავია ამდენი ხვევნა-კოცნა?“ აუ, ახლა რა უნდა ავუსხსნა ამას – მეთქი და სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ წარსულში დარჩენილიყო საბჭოური პედაგოგიკა და ახალი თაობა ახალი ხასიათით მოსულიყო უკვე. ჯერ – ქერამ: რა მოხდა, ქალბატონო გულნარა, გვიყვარს ავთო მასწავლებელიო! – უთხრა ისეთი მტკიცე და შეუვალი ხმით, სახტად დავრჩი, მერე კი მთელმა კლასმა დასცხო ოვაციები. შემტბარმა დირექტორმა, რომელსაც, ჩემგან განსხვავებით, მხოლოდ მოსწავლეობა კი არა, მასწავლებლობაც საბჭოთა სისტემისგან მომდინარეობდა, მაგრამ ცდილობდა, თანამედროვეობისთვისაც აეწყო ფეხი, ხმა გაკმინდა. მე კიდე თითქმის მთელი ის გაკვეთილი სულ ჩემს ბავშვობასა და უბედურ დირექტორზე ვფიქრობდი, ერთხელ რომ დაგვადგა თავს მეცხრეკლასელებს ფიზიკულტურის გაკვეთილზე ეზოში ფრენბურთის თამაშისას. ვისაც სოფელში უსწავლია, ალბათ ყველას იგივე გამოცდილება ექნება. ეზოს ბოლოში იყო დიდი ტუალეტი, რომელსაც იქითადა აქეთა მხარე ჰქონდა, ქალებისა და კაცებისათვის. ჰოდა, მოგვადგას

დირექტორი შუა თამაშში, ამლამის ასი მეტრით დაშორებული ფეხსა-ლაგიდან სვენებ-სვენებით მომავალი, და რაღაც ცუდის მოლოდინში გაქცევებულებს მოგვმართა ბიჭებს, გოგონების თვალწინ: „კი მაგრამ, კედელს რომ ხვრეტო ამ ტუალეტში, რა გგონიათ, თუ გაიჭვრიტინებო და გოგონებს იმას დაუნახავთ, მოგცემენ?!“ გაუთხოვარი ქალი იყო, კარგი, უმკაცრესი ქიმიკოსი, მოწინავე კოლმეურნეც იმავდროულად. არავინ უწყოდა, როგორ ახერხებდა. რამდენიმეჯერ ცოტა დააკლდა სოციალისტური შრომის გმირობას... მოკლედ, ვერ წარმომედგინა ასეთი სიტყვების ასე პირდაპირ მოსმენა მისი ბაგეებიდან, თანაც – თანაკლასელი გოგონების თანდასწრებით. ბიჭებს, ცალკე – ასეთი ვულგარულობისგან და ცალკე – ასეთი უმსგავსო ცილისწამებისგან, ენა ჩავვივარდა. და სწორედ მაშინ მოხდა ჩემთვის წარმოდგენილი რამ: ჩვენმა კლასელმა მარიმ, სიტყვაუთქმელი რომ გვეგონა მანამდე, სახელწოდება, მთელი სერიოზულობით, დიდი ქალივით უთხრა: „რას ამბობო, ზაირა მასწავლებელო, არასოდეს ჩვენი ბიჭები არ იკადრებენ ამას. ეგ ტუალეტი ბაბუაჩემის ხნისაა და დალპაფიცრები!“ ის სახე, რაც მაშინ ზაირას ჰქონდა, ალბათ არცერთს არ დაგვაგვიწყდება არასოდეს და იმდღის შემდეგ შეგვიყვარდა მგონი შეიდივე ბიჭს მარი. დანარჩენი ხუთიცი შეიყვარებდა, მაგრამ მათი მოგვარე იყო და სხვა თვალით ვერ შეხედავდნენ უბრალოდ.



ზუსტად ვიცოდი, რომ არ შემრჩებოდა, მაგრამ იმავე დღესვე თუ გადაწყვეტდა ანგარიშის გასწორებას, რას ვიფიქრებდი. დამიბარა კაბინეტში და მეუბნება: „არა, შევცდი, ჯერ ადრე იყო შენთვის ამხელა ტვირთის აკიდება! მეთერთმეტე „ა“ კლასიდან უნდა გამოხვიდე“. ღმერთო, არადა, მართლა ერთი სული მქონდა, საბაბი მომეცემოდა და ის კლასი დამეტოვებინა, სანამ მართლა რამე შარში გავხვეოდი, მაგრამ ეშმაკი რომ შეგიჩნდება თუ რა ვიცი, პატივმოყვარეობა ჰქვია ამას, ანდა, გულწრფელი რომ ვიყო ახლა მაინც, ეტყობა, მაინც არ მეთმობოდნენ... მართლაცდა, უკვალოდ ხომ არ იკარგება სამყაროში ამხელა სითბო, ის კი არადა, ეგ ორი რომ გამოხატავდა, იქნებ მარტო ამ სითბოსთვისაც ღირდა სიცოცხლე... ეტყობა, იმანაც იმოქმედა, რომ იქვე, კუთხეში, სავარძელში ჩასკუპებული დამფუძნებელ-მეპატრონის თვალწინ მეუბნებოდა ამას. „და რატომ, ქალბატონო გულნარა?“ „არ მომწონს შენი გაკვეთილები, ჯერ მეტი გამოცდილება უნდა შეიძინო, მრავალფეროვნება გაკლია. ასეთი ინერტული როგორ ხარ ახალგაზრდა კაცი! შენედე მართას, სამოცდაათი წლის ქალი ვერცხლისწყალივითაა!“ „კი მაგრამ, თუ არ მოგწონთ ჩემი გაკვეთილები, სხვა კლასებში როგორ მტოვებთ?“ თითქოს შეცბა ტყუილში გამოჭერილი ბავშვივით, მაგრამ გამოცდილებით შეუდარებლად მჯობნდა და რა დააბნევდა. „როგორ არ გესმის, ბევრია ჯერ შენთვის ამდენი კლასი ერთად!“ ვიგრძენი, რომ ან ახლა არ უნდა დამეთმო, ან სულაც დამენებებინა თავი სკოლისთვის. „მაშინ ჯობია საერთოდ წავიდე სკოლიდან!“ „აი, შეხედე! წაბრძანდი, ბატონო, ადვილია გაქცევა!“ დამფუძნებელი, ვითომ რომ არც კი გვისმენდა ამდენ ხანს, ღიმილით წამოგდა. მათემატიკოსი იყო, პროფესორი, საკუთარ სკოლაში აღარ ასწავლიდა, მაგრამ ვიცოდი, რომ კარგ ლექტორად ითვლებოდა. „მოიცა, კაცო,



რას ჰქვია წახვალ. შენ ახლა პირად შეურაცხყოფად კი არ უნდა მიიღო ყოველი შენიშვნა და რჩევა! ქალბატონი გულნარასგან, კი იცი შენ, მეც ვსწავლობ და მიხარია, რომ რჩევებს მაძლევს. თანაც ახალგაზრდა კაცი ხარ, სკოლებში ისედაც ცოტანი მოდიან მამაკაცები, მით უმეტეს, ფილოლოგები სანთლით გვყავს საძებნი და წახვალ კი არა, პირიქით, ყოველნაირად ვცდილობთ, მოვიზიდოთ... მე გთხოვთ, ქალბატონო გულნარა, რაღა დარჩა, ორი თვე, დამივცეთ შანსი. ახალი სასწავლო წლიდან კი თავად გადაწყვეტთ, რამდენი საათი მისცეთ ან დარჩება თუ არა საერთოდ“. პრაგმატიკოსი იყო აშკარად, სიმპათიებიც კი ჰქონდა ჩემდამი, მაგრამ უფრო ის ამბავი იყო, რომ ახლა ორი თვით სად ეპოვათ მასწავლებელი. ყველას გადატვირთული ჰქონდა საათები თუ ცხრილი. იმ ერთი კლასის მიცემა უნდოდა სხვისთვის დირექტორს, თორემ დანარჩენი ოთხი ვისთვის გაენაწილებინა? დამფუძნებელი ხვდებოდა - გამოცდილ და კარგ მასწავლებელს ჩემზე მეტი ხელფასი დასჭირდებოდა, გამოუცდელსა და საცდელს კიდევ ისევ მე ვერჩივნი. თუმცა დირექტორს ეს ალბათ სულაც არ ადარდებდა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მაინც ეცდებოდა შურისძიებას.



განწყობა კი არ მეცვლებოდა, ვგრძნობდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შემეძლო. მართალია, დავრწმუნდი, რომ მათი სალამი, გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გარდა, არაფერს გამოხატავდა და უკვე აღარც მათი თანაცლასელების მზერაში მეჩვენებოდა რამე განმაქიქებელი თუ ირონიული, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო. ის კი არადა, მერჩივნა, მართლა ეშაყირათ, ჩემი გამასხარავება ეცადათ - გაგზავნებოდი მაინც და ბოლმის

გადმონთხვევის საშუალება მომეცემოდა. არა, მათი გულწრფელი, მონდობილი სიყვარული მაცოფებდა. ნეტავი მეთქვა რამე მაშინ გიორგისთვის, გამოცდილი პედაგოგი ნამდვილად მირჩევდა რამე ჭკვიანურს, ანიქნებ ვერც ვერაფერი ერჩია - რას გაუგებ წარსულში მოსაცემი რჩევის მოსალოდნელ შედეგს, აწმყოში მოცემულ რჩევებს ვერ ვუგებთ ვერაფერს. ერთადერთი რამ ვიცოდი დანამდვილებით - სიკვდილივით მეშინოდა, დირექტორს ავი შურისძიებისთვის არ გამოეყენებინა ეს ბავშვები. ის იძულებითი ჩაჩუმება, ვიცოდი, ასმაგად ამოხეთქავდა. წვრილმანებად პროფესიონალი იყო, აცხონოს ღმერთმა კი არადა, ღმერთმა უშველოს, სადაცაა ახლა, იმ სამყაროში, მაგრამ რომ ვაკვირდები, საბოლოოდ მასწავლებლობა მაინც მან შემაძულა. მიუხედავად იმისა, რომ უკიდვანოდ გამოცდილ პედაგოგს ვაკვეთილის გარჩევაც კარგად შეეძლო, ჩატარებაც და რჩევებსაც კარგს მოგცემდა, ყველა ეს თვისება თეფშზე დიდი ხნის წინ დასხმული სპირტივით უსარგებლო იყო, რადგან საშინლად ეჭვიანი და პატივმოყვარე გახლდათ. ხატივით უნდა მოქცეოდი. მართალია, მთლად ლოცვასა და სანთლის დანთებას არ ითხოვდა, მაგრამ მოწიწებას - ნამდვილად. ამას დაუმატეთ საშინლად რუსოფილური განწყობა: ამ უძველესი ქართული გვარის ქალს - ქართველიშვილს - საქართველოში რუსულ სკოლაში სწავლამ, რუსეთში დამთავრებულმა უმაღლესმა დარუსულმა ფილოლოგიამ საკუთარზე მეტად შეაყვარა რუსული კულტურა. მეც და გიორგიც უმთავრესად ამის გამო აგვითვალწუნა და, ამასთანავე, თუ მასზე მეტად ვინმეს სცემდნენ პატივს მოსწავლეები, დამთავრებული იყო საქმე. მოკლედ, გული მიგრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ჩემს თავს დასატეხი მუხი. ბავშვებზე უფრო ვნერვიულობდი - დანამდვილებით ვიცოდი, სისხლს გაუშრობდა.



ერთი კარგი ინგლისურის მასწავლებელი გვყავდა, ჩემზე უმცროსი. დაქალობდნენ ის და დირექტორი, უფროსწორად, მასწავლებელს ეგონა, რომ დაქალობდნენ, ბავშვები კი ამბობდნენ, დამსმენად ჰყავსო. მე არ მჯეროდა ამ ჭორების და როგორც კი რომელიმე მათგანი რამე ამგვარზე მიმანიშნებდა, უმკაცრესად ვპასუხობდი. ვერ წარმომედგინა, ეს სიმპათიური გოგონა, მოკლედ შეჭრილი ღია ფერის თმითა და გამოხედვით შარლიზ თერონს რომ მაგონებდა, დირექტორთან ამბის მიმთრევი ყოფილიყო. ვეუბნებოდი კიდეც გიორგის: „კარგი რა, მართლა ახლობლობს იმ ქალთან, რა მოხდა მერე, თუ დირექტორია. დასხდებიან ერთად და ათას რამეზე ჭორაობენ ალბათ, რატომაც ეს დასმენა?“ გიორგის ელიმებოდა. „შენ მაგ ბავშვობიდან არ უნდა გამოხვიდე, კაცო?“ – მეუბნებოდა სიცილით. „ვეყო, – ვეუბნებოდი მისივე სტილში, უყვარდა ასე მომართვა, – ათას რამეზე ვსაუბრობთ მე და შენ, დამსმენები ვართ?“ „კარგი, ჰო, არ არის დამსმენი, მიდი და გადაუშალე გული“. მეც, სიცილის გარდა, აღარაფერი დამრჩენოდა, მაგრამ სულაც არ გამცინებია იმ გაკვეთილის შემდეგ, რომელზეც ეს თერონის თვალზე ინგლისურის მასწავლებელი მესწრებოდა. მესწრებოდა კი არა, მეთერთმეტე „ა“ კლასის დამრიგებელი იყო და გთხოვ, ცოტა ხანს დავედები, ჟურნალი მაქვს მოსაწესრიგებელი, მთხოვა. ახლა სხვანაირადაა, მგონი, ელექტრონული თუ რა ვიცი... ისიც არ ვიცი, ეს ჯობია თუ ის ჯობდა, თუმცა ის რომ არ ვარგოდა, ვიცი. მოკლედ, ზის გაკვეთილზე და თავს არ სწევს მაღლა, ისე ჩაჰკირკიტებს ჟურნალს. არც კი აქცევს ყურადღებას ჩემს თავგამოდებას. მისი ხათრით ლამისაა კანიდან გამოვძვრე და ლეონიძე გავაცოცხლო თავისი ბუნუნახმით. მოკლედ, მივერეკები და შემობრძანდა ამ დროს დირექტორი. ასე იცოდა, არც ბოდიში, არც ტაქტი, შუა გაკვეთილზე შემოვიდოდა და დაჯდებოდა ხან ბოლომდე, ხან ცოტა ხნით. მერე ამ შემოვარდნებს შაბათის თათბირებზე განიხილავდა და იყო ხოლმე ძირითადად ლანძღვა-დაცინვა. არ მახსოვს, რა ჭირად მინდოდა, თემურ-ლენგი ვახსენე – ერთ-ერთი ბრძოლისას დაკოჭლდა-მეთქი. იმან კიდეც, დირექტორის შემოსვლის შემდეგ საერთოდ რომ არ გახსენებია ჟურნალი და ოდნავ შესამჩნევი სარკასტული ლიმილითაა მისმენდა თუ მაყურადებდა, უნიჭო პროვინციელი მსახიობივით, მარჯვენა, კალმისტარჩაბლუჯული ხელი ზეაღმართა და იყვირა: „არა, ეს სიცრუეა!“ მოულოდნელობისაგან გავოგნდი. ბავშვებიც ელდანაცემები გაისუსნენ. დირექტორი ლიმილით მიაჩერდა ჟურნალიდან თავმოწონედ თავალერებულ ინგლისურის მასწავლებელს, მან კი გააღმასებით, თითქოს საშინელი მკრეხელობა ჩამედინოს, მრისხანედ მითხრა: „ბრძოლაში კი არ დაკოჭლებულა, მამამ დაჭრა ბავშვობაში!“ ეტყობა, მაინც ვერ მოვბოძე. მის უტიფარ სახეს, რომელიც უკვე აღარ მიუგავდა ჩემი „ტკბილი შემოდგომის“ შარლიზ თერონს, და დირექტორის მოზეიმე გამომეტყველებას რომ შევხედე, მუდამ მედდა რეტჩედს რომ მაგონებდა „გუგულის ბუდიდან“, ველარ მოვითმინე და ალბათ მაინც ვერ დამალული ბოლმითა და ბრაზით, თუმცა მოგონილი სიმშვიდით, დავუმარცვლე: „არ ვიცი, თქვენ როგორ გასწავლეს ქანტურიშვილის კოლეჯში, მაგრამ თემურ ლენგთან ფროიდი და ოიდიპოსის კომპლექსი არაფერ შუაშია. როგორც მე

მასწავლეს, ნაღდად შეტაკებისას დაიჭრა და მას შემდეგ დაკოჭლდა. და კიდეც, მე ისიც მასწავლეს პედაგოგიის ლექტორებმა, რომ არაფრითარ შეიძლება, რა შეცდომაც უნდა დაუშვას, მასწავლებელს მოსწავლეების თვალწინ მისცე შენიშვნა!“ დირექტორმა პირი დაალო. პირველად ვნახე ასე დაბნეული. ინგლისურის მასწავლებელმა კი, გაცოფებულმა – შენ რა უნდა გელაპარაკოო! – წამოხტა და კარი გაიხურა. დირექტორი რომ არა, ალბათ გაიჯახუნებდა. დირექტორი კი ვერ შეეკავებულ ბრაზით წამოგდა – მერე დაგელაპარაკებო! – გამოცრა კბილებში და გავიდა.

„ბრავო, ავთო მასწო!“ – წამოიძახა დათომ, ყველაზე მაკვარანცხმა და ნერვების მოშლელმა, მაგრამ უჭკვიანესმა მოსწავლემ, და ტაში დასცხო. დანარჩენებიც აჰყვნენ და გამართეს ოვაცია. ეს ორი კიდეც წამოხტა, მომვარდა და ჯერ ქერამ – მიყვარხარ, ავთო მასწო! – ჩამკოცნა, მერე – მეორემ, ელვის უსწრაფესად. მაგრამ ამჯერად მეყო ნებისყოფა თუ გამბედაობა და გამეტებით, ამდენი ხნის ნაგროვები გავეშებით ვიყვირე: „დასხედით ახლავე! გაგანებივრეთ მე თქვენ, არ დაგინახოთ ახლოს მოსული!“ ორივემ გაცეცხით შემომხედა და შავგრემანმა, აი, იმ ეგვიპტელ-არაბმა თუ ლათინამერიკელმა – რა მოხდა, ავთო მასწო! – კი ამოიგნავლა, მაგრამ სასწრაფოდ დასხდნენ და დანარჩენ კლასთან ერთად გაისუსნენ. მე კიდეც მართლა ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ხმალი ტამერლანისა კი არადა, ჯანდაბა დამჯახებოდეს.

